საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

2014 წლის სტრატეგია

თბილისი 2014

შინაგან საქმეთა სამინისტროს მისია **13**

შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის პრინციპები **13**

შსს-ს 2014 წლის პრიორიტეტები **16**

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის რეფორმა **16**

დეპოლიტიზების კურსის გაგრძელება 16

ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა 17

საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმების დახვეწა 18

ადამიანის უფლებების დაცვა 20

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება 23

ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება 24

სამინისტროს ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა 26

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობა 26

გენდერული თანასწორობა სამინისტროს სისტემაში 26

საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის რეფორმა 27

შიდა აუდიტის სისტემის დანერგვა 28

ნორმატიული ბაზის დახვეწა 29

საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა . **30**

გამოწვევები 32

არასრულწლოვანთა ჩართულობა დანაშაულებრივ საქმიანობაში 32

ოჯახური, მათ შორის, ქალისა და არასრულწლოვან პირთა მიმართ ჩადენილი ძალადობა 32

შსს-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების შესაძლებლობების გაუმჯობესების საჭიროება 33

საზოგადოების არასაკმარისი ინფორმირებულობა 33

საგზაო უსაფრთხოების ზომების შემდგომი გაუმჯობესების აუცილებლობა 33

საზოგადოების მიერ ავტოსაგზაო უსაფრთხოების წესების უგულებელყოფა 33

2014 წლის პრიორიტეტები 33

საზოგადოებასთან თანამშრომლობა....33
არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია....34
დანაშაულთან ბრძოლაში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება....34
პოლიციის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება....34
ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა....34
ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა....35
საგზაო უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესება....35
საპატრულო პოლიციის შესაძლებლობების გაუმჯობესება და მოქმედების არეალის გაზრდა....36
საგზაო უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება....36
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სახდელების სისტემის დახვეწა....36
შსს-ს კრიმინალისტიკური ექსპერტიზის შესაძლებლობების გაუმჯობესება....36
საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და საგზაო უსაფრთხოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება....37
დროებითი მოთავსების იზოლატორების ფუნქციონირების გაუმჯობესება....37
გამოწვევები....38
ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების აუცილებლობა....38
ქალ თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდის აუცილებლობა....39
დროებითი მოთავსების იზოლატორთა თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობა....39
ნორმატიული ბაზის დახვეწის აუცილებლობა....39
დაკავებულთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების აუცილებლობა....39
2014 წლის პრიორიტეტები....39
დაკავებულთა უფლებების დაცვა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება....39
ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება....40
თანამშრომელ ქალთა რაოდენობის გაზრდა....40

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება 40
ნორმატიული ბაზის დახვეწა 41
სასაზღვრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა 41
გამოწვევები 42
დაუდგენელი სახელმწიფო საზღვრები 42
სასაზღვრო სექტორების ინფრასტრუქტურის გაუმართაობა 42
სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთის რთული რელიეფი 43
ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები 43
საქართველოს საზღვაო სივრცეში არსებული საფრთხეები 43
მეზობელ ქვეყნებში კონფლიქტური კერების არსებობა 43
2014 წლის პრიორიტეტები 43
სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების გაუმჯობესება 43
სექტორების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება 44
რადიოკავშირის სისტემის მოდერნიზაცია 44
სანაპირო დაცვის შესაძლებლობების შემდგომი გაუმჯობესება 44
პირადი შემადგენლობის მომზადება/გადამზადება 45
საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება 45
სასაზღვრო–სამიგრაციო კონტროლის მექანიზმების დახვეწა 46
საგანგებო სიტუაციების პრევენცია და ეფექტიანი მართვა 46
გამოწვევები 47
ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის გაუარესება 47
ტექნოგენური კატასტროფების საშიშროება 48
საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი 48
ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული ხარვეზები 48
მატერიალურ–ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების აუცილებლობა 48
შესაბამისი ნორმატიული აქტების დახვეწის აუცილებლობა 48

2014 წლის პრიორიტეტები 49
რისკის რუკების განვითარება 49
პრევენციისა და რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესება 49
მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება არსებული რისკების, პრევენციისა და რეაგირების კუთხით 50
სამოქალაქო თავდაცვისა და კატასტროფების მართვის კუთხით კანონმდებლობის დახვეწა 50
საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის რეფორმა 51
ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარება 51
გამოწვევები 52
რეგიონსა და ქვეყანაში არსებული მაღალი საფრთხის შემცველი ობიექტები 52
ქბრბ ნივთიერებების უკანონო ტრანზიტი 52
ბიოლოგიური საფრთხეები 53
2014 წლის პრიორიტეტები 53
ქბრბ უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს ჩამოყალიბება 53
ქბრბ საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავება 53
ბიოუსაფრთხოების კუთხით უწყებათშორისი კოორდინაციის მექანიზმების დახვეწა 53
ბიოლოგიურ ინციდენტებზე რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესება 54
„ქბრბ მეცნიერებისა და შედეგების მართვის კონგრესის“ ჩატარება 54
სამართლებრივი ბაზის დახვეწა 54
ქბრბ უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში შსს–ს გამოცდილების გაზიარება 54
მიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვა 55
გამოწვევები 56
არალეგალ მიგრანტთა მიერ ქვეყნის დატოვების მექანიზმების ჩამოყალიბების აუცილებლობა 56

მიგრაციის ნაკადების მონიტორინგისა და სტატისტიკის წარმოების სისტემის დახვეწის აუცილებლობა 57
უცხოელთა არასათანადო ინფორმირებულობა 57
2014 წლის პრიორიტეტები 57
არალეგალ მიგრანტთა მიერ ქვეყნის დატოვების მექანიზმების ჩამოყალიბება .57
საკანონმდებლო ბაზის დახვეწა 58
მიგრაციის მართვაში ჩართული შსს-ს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება 58
სრულყოფილი სტატისტიკის წარმოება და მიგრაციული ნაკადების მონიტორინგი 58
მიგრაციის მართვის სფეროში შიდაუწყებრივი კოორდინაციის გაუმჯობესება.59
ლეგალური მიგრაციის სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება....59
რეადმისიის ხელშეკრულებებისა და საიმპლემენტაციო ოქმების გაფორმება 59
ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა 59
გამოწვევები 61
საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა 61
პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის განხორციელების აუცილებლობა 61
სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული და ზოგიერთი ფსიქოაქტიური ნივთიერების შემცველ კომბინირებულ სამკურნალო საშუალებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის ნაკლოვანება 62
შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორებში ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მომხმარებელთა მკურნალობის, რეაბილიტაციისა და ზიანის შემცირების საშუალებებით უზრუნველყოფის აუცილებლობა 62
2014 წლის პრიორიტეტები 62
საზოგადოების ცნობიერების ამაღლება 62
პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალური ბრუნვის მონიტორინგი 62

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ, აგრეთვე, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული და ზოგიერთი ფსიქოაქტიური ნივთიერების შემცველ კომბინირებულ სამკურნალო საშუალებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა 63

შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოხვედრილ ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების მომხმარებელ პირთა სამედიცინო დახმარების მექანიზმების დანერგვა 63

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული დანაყოფების შესაძლებლობების განვითარება 64

ნარკოტიკების უკანონო მოძრაობის შესაძლო მარშრუტებზე კონტროლის შენარჩუნება/გაძლიერება 64

ნარკომანიასთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაგრძელება და გაღრმავება 64

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა 64

გამოწვევები 66

ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობა 66

ტრეფიკინგის მსხვერპლთან /პოტენციურ მსხვერპლთან მოპყრობის სტანდარტების დახვეწის საჭიროება 66

პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება 67

საკანონმდებლო ბაზის შეუსაბამობა თანამედროვე გამოწვევებთან 67

მიუსაფარი ე.წ. ,,ქუჩის ბავშვების“ იდენტიფიცირების, ინფორმირებისა და დახმარების ხელშეწყობის მექანიზმის დახვეწის აუცილებლობა 67

საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა 67

2014 წლის პრიორიტეტები 67

პრევენციული ზომების გაუმჯობესება 67

სამართლებრივი ბაზის დახვეწა 68

ტრეფიკინგის (პოტენციურ) მსხვერპლთან მოპყრობის სტანდარტების შემუშავება/დახვეწა 68

შსს–ს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება 68

ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებში პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება 69
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა 69
გამოწვევები 71
კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლაში ჩართული შსს-ს დანაყოფების შესაძლებლობების განვითარების საჭიროება 71
საკანონმდებლო ბაზის გადახედვისა და დახვეწის საჭიროება კორუფციასთან ბრძოლის სფეროში 71
კორუფციასთან ბრძოლაში ჩართულ უწყებებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა 71
2014 წლის პრიორიტეტები 71
შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს შესაძლებლობების შემდგომი განვითარება 71
საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში 72
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ბაზის ანალიზი და საჭიროებისამებრ, ცვლილებების ინიცირება 72
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში უწყებათშორისი კოორდინაცია 72
ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა 72
გამოწვევები 74
ოკუპირებული ტერიტორიები 74
იარაღის უკანონო შემოდინების, გავრცელებისა და ტრანზიტის საშიშროება 74
რადიკალური ისლამის (ვაჰაბიზმის) გავრცელება 74
საერთაშორისო ტერორიზმი 74
ქართული კანონმდებლობის ნაკლოვანებები ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში 75
2014 წლის პრიორიტეტები 75
საზღვრების უსაფრთხოების განმტკიცება 75
შსს–ს კონტრტერორისტული შესაძლებლობების გაძლიერება 76

საქართველოში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის, სპეციალური მოწყობილობებისა და ტექნიკის კონტროლი 76
ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ზონების ოპერატიული კონტროლის გაძლიერება 76
თანამშრომლობის გაღრმავება რეგიონულ, ორმხრივ და საერთაშორისო დონეზე 76
ტერორისტული დარტყმის პოტენციური სამიზნეების გამოვლენა და პასპორტიზაცია 77
ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საკანონმდებლო ბაზის დახვეწა 77
კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა 77
გამოწვევები 79
საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებელი 79
საკანონმდებლო ბაზის დახვეწის აუცილებლობა 79
კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული სტრუქტურული დანაყოფების შესაძლებლობების განვითარების საჭიროება 79
2014 წლის პრიორიტეტები 80
საზოგადოების ცნობიერების ამაღლება 80
კიბერდანაშაულთან ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ბაზის პერიოდული გადახედვა და საჭიროებისამებრ, ცვლილებების შეტანა 80
კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული სტრუქტურული დანაყოფების შესაძლებლობების განვითარება 80
კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავება 81
საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება 81
მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება 81
შსს-ს მომსახურების სააგენტო 81
გამოწვევა 83
მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და ახალი სერვისების დანერგვის საჭიროება 83
2014 წლის პრიორიტეტები 83
მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება 83

მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების სისტემის დახვეწა 84
პერიოდული ტექნიკური დათვალიერების შემოღებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება 84
ახალი ტიპის სანომრე ნიშნების შემოღება 84
ახალი ელექტრონული სერვისის დანერგვა 84
ავტოსკოლების რეფორმა, საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის წესების საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა 84
საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და გამოცდილების გაზიარება 85
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „112“ 85
გამოწვევები 86
სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფის აუცილებლობა 86
ზარის ინიციატორის ადგილსამყოფელის დადგენის შეუძლებლობა 87
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სისტემის ადაპტაციის საჭიროება 87
მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობა 87
არამიზნობრივი ზარები 87
2014 წლის პრიორიტეტები 87
არსებული პროგრამის გაუმჯობესება 87
„112“-ის ალტერნატიული ცენტრის შექმნა 87
ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა 88
სტატისტიკის პროგრამის შექმნა 88
ზარის ინიციატორის ადგილმდებარეობის განსაზღვრისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება 88
სისტემის ადაპტაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის 88
ოპერატიული და სადისპეტჩერო სამუშაო პროცესის ტექნოლოგიური გაუმჯობესება 89
„112“-ის მომსახურების პაკეტის დივერსიფიკაცია - უსაფრთხოების სერვისების დანერგვა 89

„112“-ის ცნობადობის გაზრდა და არამიზნობრივი ხასიათის ზარების რაოდენობის შემცირება 90
სამუშაო პროცედურებისა და შინაგანაწესის მოდიფიცირება და დახვეწა 90
მონიტორინგი და ხარისხის კონტროლი 90
საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება 91
დაცვის პოლიცია 91
გამოწვევები 92
ობიექტების დაცვის ორგანიზების ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობა 92
ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის აუცილებლობა 92
ნორმატიული აქტების დახვეწის საჭიროება 93
სოციოლოგიურ-მარკეტინგული კვლევების წარმართვისა და სარეკლამო საქმიანობის განხორციელების აუცილებლობა 93
2014 წლის პრიორიტეტები 93
დაცვითი-საგანგაშო ქსელის უსაფრთხოებისა და საიმედოობის გაზრდა 93
GPS და ნავიგაციის სისტემების დანერგვის არეალის გაფართოება 93
შიდა კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემების განვითარება 93
საფინანსო-სამეურნეო სექტორის თანამედროვე კომპიუტერული სისტემებით უზრუნველყოფა 94
დაცვის პოლიციის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება 94
ნორმატიული ბაზის დახვეწა 94
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის გაუმჯობესება 94
საქართველოს შსს-ს აკადემიის შესაძლებლობების განვითარება 95
გამოწვევები 96
უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსის მოპოვების აუცილებლობა 96
შსს-ს საშუალო რგოლის საპოლიციო მენეჯერულ პოზიციებზე შესაბამისი აკადემიური განათლების მქონე კადრების ნაკლებობა 97
სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემის არარსებობა 97

პოლიციელთა მომზადების პროფესიულ პროგრამებში რიგი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა 97
სერტიფიცირებულ მეხანძრე-მაშველების ნაკლებობა 97
სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება 97
აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობა 98
საარქივო ინფრასტრუქტურის არარსებობა 98
საარქივო მასალების რეაბილიტაციის აუცილებლობა 98
2014 წლის პრიორიტეტები 98
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება 98
საპოლიციო რეგულირების სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება 99
სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემის შემუშავება 99
სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/გადამუშავება 99
მეხანძრე-მაშველთა სერტიფიცირება 100
მობილური ტრენინგ ჯგუფების ჩამოყალიბება 100
დისტანციური სწავლების დანერგვა 100
სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება 100
პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება 100
შსს-ს არქივის შესაძლებლობების განვითარება და საარქივო მასალის რეაბილიტაცია/დამუშავება/გამოყენება 101
საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება 101
2014 წლის პრიორიტეტები 103
ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის გაღრმავება 103
ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, შსს–ს კომპეტენციაში შემავალი ვალდებულებების შესრულება 104
ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება 104

ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება 104

აღმოსავლეთ პარტნიორობის „საგზაო რუკებით“ აღებული ვალდებულებების შესრულება 105

ევროკავშირის სპეციალიზებულ სააგენტოებთან თანამშრომლობის გაღრმავება 105

ევროკავშირთან ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში თანამშრომლობა 105

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობის გაღრმავება 105

თანამშრომლობის გაღრმავება აშშ-ის შესაბამის სტრუქტურებთან 105

აშშ-სთან სამართალდამცავ სფეროში დადებული შეთანხმებების იმპლემენტაცია 106

თანამშრომლობის გაგრძელება სამართალდამცავ სფეროში სხვადასხვა პროექტების ფარგლებში 106

თანამშრომლობის გაღრმავება ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსა და წევრი ქვეყნების ეროვნულ ცენტრალურ ბიუროებთან 106

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გაღრმავება 106

საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარება 106

რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება 107

ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება 107

საერთაშორისო ოპერატიული თანამშრომლობის განვითარება 108

ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისა და რეკომენდაციების ჯეროვანი შესრულება 109

გამოცდილების გაზიარება 109

დონორ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება 109

დასკვნითი დებულებები 110

შინაგან საქმეთა სამინისტროს მისია

შსს-ს მისიაა უსაფრთხოების სფეროში მოსახლეობას მიაწოდოს ისეთი ხარისხის მომსახურება, რომ თითოეულ ადამიანს ჰქონდეს უსაფრთხოების მაღალი განცდა, საკუთარი ღირსებისა და ძირითადი უფლებების მაქსიმალური დაცულობის პირობები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის პრინციპები

შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და გამჭვირვალობის პრინციპებზე დაყრდნობით. აღნიშნული პრინციპების განმტკიცება საკანონმდებლო დონეზე განხორციელდა „პოლიციის შესახებ“ ახალ კანონში.

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის პრინციპი

პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, არ უნდა არღვევდეს ადამიანის სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და საკუთრების უფლებებს და სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, გაუმართლებელ ზიანს არ უნდა აყენებდეს გარემოს. საპოლიციო ღონისძიების განხორციელებისას დაუშვებელია წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.

კანონიერების პრინციპი

პოლიციელის მიერ განხორციელებული საპოლიციო ღონისძიება უნდა გამომდინარეობდეს კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპებიდან. კანონის უზენაესობის პრინციპის თანახმად, პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს. კანონისმიერი დათქმის პრინციპის თანახმად, საპოლიციო ღონისძიების განხორციელება, რომელიც იწვევს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას, დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე.

დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი

პოლიცია ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა მახასიათებლებისა.

თანაზომიერების პრინციპი

საპოლიციო ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. შერჩეული საპოლიციო ღონისძიება უნდა იყოს გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული. პოლიციელის მიერ შერჩეული საპოლიციო ღონისძიება არის გამოსადეგი, თუ ის შესაძლებელს ხდის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. პოლიციელის მიერ შერჩეული გამოსადეგი საპოლიციო ღონისძიება არის აუცილებელი, თუ ვერ იქნება გამოყენებული სხვა საშუალება, რომელიც ლეგიტიმური მიზნის მიღწევისას უფრო ნაკლებ ზიანს მიაყენებდა როგორც ღონისძიების ადრესატს, ისე სხვა პირს. პოლიციელის მიერ განხორციელებული აუცილებელი საპოლიციო ღონისძიება არის პროპორციული, თუ კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთისათვის მიყენებული ზიანი არ აღემატება იმ სიკეთეს, რომლის დასაცავადაც ის განხორციელდა. პოლიციის სამართლებრივი ქმედება უნდა შეწყდეს, თუ ამ ქმედების მიზანი მიღწეულია ან აშკარაა, რომ მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპი

პოლიცია თავისი ფუნქციების შესასრულებლად მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ფარგლებში. პოლიციელი უფლებამოსილია გადაწყვიტოს, განახორციელოს თუ არა საპოლიციო ღონისძიება. პოლიციელს მინიჭებული აქვს თავისუფლება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე საპოლიციო ღონისძიებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები, თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად. საფრთხის აღკვეთისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე საპოლიციო ღონისძიების არსებობისას საკმარისია ერთ-ერთის გამოყენება.

პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი

პოლიციელი საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს უპარტიობის პრინციპის დაცვით. პოლიციელს უფლება არა აქვს, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის პარტიული ინტერესებისათვის.

გამჭვირვალობის პრინციპი

პოლიცია ვალდებულია თავისი საქმიანობის შესახებ საჯარო ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიაწოდოს სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და დაინტერესებულ პირებს. პოლიცია ვალდებულია საზოგადოებასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს სწრაფად მიაწოდოს ობიექტური ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ, იმგვარად, რომ არ გაახმაუროს სახელმწიფო, პროფესიული, კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, პერსონალური მონაცემები და გამოძიების მასალები, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. პოლიციამ პერსონალური მონაცემები უნდა დაამუშაოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შსს-ს 2014 წლის პრიორიტეტები

<u>შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის რეფორმა</u>

დეპოლიტიზების კურსის გაგრძელება

მიუკერძოებელი და ნეიტრალური პოლიციის სისტემა დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველი და კანონის უზენაესობის გარანტიაა. 2012 წლის ნოემბრიდან სამინისტრო გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან და ჩამოყალიბდა, როგორც საზოგადოებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია. მისი ძირითადი მიზანია მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა. პოლიცია აღარ ახორციელებს პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედებას. იგი თავის საქმიანობას წარმართავს კანონის, დემოკრატიული სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვით.

პოლიციის ნეიტრალობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის საფუძვლები, პირველ რიგში, მოცემულია საქართველოს კანონმდებლობაში, რომელიც კრძალავს პოლიციის თანამშრომელთა პოლიტიკური პარტიის წევრობას, პოლიტიკურ საქმიანობას, აგიტაციას, პროპაგანდასა თუ სხვაგვარ მხარდაჭერას რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის მიმართ. არც ერთმა პოლიციელმა არ უნდა აღასრულოს თავისი საქმიანობა რომელიმე პარტიის სასარგებლოდ ან საზიანოდ. შსს-ს სისტემის თითოეულ თანამშრომლამდე ამ შეზღუდვებისა და აკრძალვების დაყვანის მიზნით, გამოიცა შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 12 სექტემბრის №713 ბრძანება „არჩევნების პერიოდში შსს-ს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“. ბრძანების მიზანია შსს–ს თანამშრომელთა მხრიდან დაცული იქნას საქართველოს კანონმდებლობით პოლიციის ორგანოებისადმი წაყენებული ნეიტრალობის დაცვის ვალდებულება. ინსტრუქცია სისტემის თანამშრომლებს განუმარტავს საარჩევნო პროცესში თანამშრომელთათვის დადგენილ შეზღუდვებსა და აკრძალვებს, ასევე პასუხისმგებლობის იმ ზომებს, რომლებიც აღნიშნული წესების დარღვევის შემთხვევაშია კანონით გათვალისწინებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპოლიტიზებისა და გაუმჯობესებული ფუნქციონირებისთვის, 2012 წლის ნოემბრიდან უწყებაში მნიშვნელოვანი რესტრუქტურიზაცია განხორციელდა. გაუქმდა კონსტიტუციური უსაფრთხოებისა (კუდ-ი) და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტები (სოდ-ი). სწორედ კუდ-ი წარმოადგენდა მმართველი გუნდის მიერ ოპონენტების მიზანმიმართული შევიწროვებისა და დევნის მთავარ საშუალებას. მასში აღრეული იყო პოლიციისა და უშიშროების ფუნქციები, მას არ გააჩნდა საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები და წარმოადგენდა სრულიად უკონტროლო სტრუქტურულ ერთეულს.

შსს-ში გაგრძელდება დეპოლიტიზების აღებული კურსი. უცვლელი დარჩება შსს-ს სისტემაში 2013 წელს დამკვიდრებული მიუკერძოებლობისა და ნეიტრალობის პრაქტიკა საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით. პოლიცია მხოლოდ საზოგადოებასა და მის საჭიროებებზე იქნება ორინტირებული. შსს-ს მთავარი ამოცანაა მოქალაქეთა

მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების, თითოეული ადამიანის ღირსებისა და უფლებების მაქსიმალური დაცულობის უზუნველყოფა.

ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

სამინისტროს უმთავრესი პრიორიტეტია ემსახუროს საზოგადოებას, უზრუნველყოს ქვეყანაში მართლწესრიგი და მოქალაქეთა უსაფრთხოება. შესაბამისად, საზოგადოებაც უფლებამოსილია მუდმივად აკონტროლოს სამინისტროს საქმიანობა და ამ უკანასკნელის საზოგადოებრივ ინტერესებთან შესაბამისობა. 2013 წელს სამინისტროს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მიმართულებით გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები.

განახლდა სამინისტროს ვებგვერდი www.police.ge. მოქალაქეს მისი მეშვეობით შეუძლია იხილოს სამინისტროს სტრუქტურა, მიიღოს ინფორმაცია სამსახურებისა და დეპარტამენტების შესახებ. გაეცნოს მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებსა და ღონისძიებებს. ვებგვერდი საშუალებას იძლევა, მოქალაქეებმა გამოთქვან რეკომენდაციები პოლიციის მუშაობის შესახებ. ასევე, მათ საშუალება აქვთ საინტერესო თემებზე პირადად მიწერონ მინისტრს.

2013 წლის მაისში, შეიქმნა მობილური აპლიკაციის სერვისი. აღნიშნულის საშუალებით დაინტერესებული პირები მობილური ტელეფონით ეცნობიან ახალ ამბებს სამართალდამცავ სფეროში, საგზაო მოძრაობის წესებსა და სხვა მონაცემებს, იხდიან ჯარიმებს, სავიზო განაცხადის საფასურს და ა.შ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, სამინისტროში შემოსული არცერთი განცხადება რეაგირების გარეშე არ რჩება. აღნიშნულის შედეგად, 2013 წელს განცხადებების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა.

2014 წელს, შსს-ს საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, იგეგმება ნდობის საბჭოს შექმნა, რომლის მოვალეობა იქნება სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის შეფასება და ექსპერტული დასკვნის მომზადება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა მოქალაქეების უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა, მასმედიასთან ურთიერთობის ინტენსიურობა, სამინისტროს საქმიანობის გამჭირვალობა და სხვა.

ელექტრონული კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება ონლაინ კონსულტაციის დანერგვა. ონლაინ კონსულტაციის ფარგლებში შესაძლებელი იქნება ყველაზე მოთხოვნადი სამსახურების - შსს-ს მომსახურების სააგენტოს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სამმართველოს – ოპერატორების ჩართვა შემოსულ კითხვებზე პასუხის გაცემის პროცესში.

რეგიონული მედიის შსს-სთან წვდომის გაადვილების მიზნით, იგეგმება ონლაინ კონფერენციების დანერგვა. ასევე, ვებგვერდზე ყოველდღიური სიახლეების გამოწერის პარალელურად, იგეგმება ყოველკვირეული მულტიმედიური საინფორმაციო ბიულეტენების დამატება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის უზრუნველყოფილ იქნება ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ამ მიზნით, იგეგმება ვებგვერდის ადაპტაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის (ახალი ამბების აუდიოვერსიების მომზადება, გამადიდებლის ფუნქციის დამატება და ა.შ).

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პროაქტიური საჯარო ინფორმაციის რესურსის დახვეწასა და განვითარებას. ასევე შეიქმნება საჯაროობის სტანდარტის მონიტორინგის მექანიზმი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმების დახვეწა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობა წარმოადგენს. აღნიშნული მოიცავს უწყების საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე საზოგადოების ჩართულობასა და სამინისტროს მიმართ ნდობის გაღრმავებას.

2013 წელს აღნიშნულ სფეროში გადადგმული ნაბიჯებით უზრუნველყოფილ იქნა შსს-სა და საზოგადოებას შორის ღია და გამჭვირვალე ურთიერთობის ჩამოყალიბება. შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სამმართველოს თანამშრომელთა საკონტაქტო მონაცემები ხელმისაწვდომი გახდა ფართო საზოგადოებისთვის. ასევე, მედიის წარმომადგენლებისთვის რეგულარულად იმართება პრესკონფერენციები და ბრიფინგები, რაც უზრუნველყოფს დეზინფორმაციისა და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების დროულად აღკვეთასა და ხელს უწყობს საზოგადოების სრულად ინფორმირებას.

საქართველოს ყველა რეგიონში დაინიშნა შსს–ს საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სამმართველოს წარმომადგენელი, რომელიც სამინისტროს ოპერატიულად აწვდის ინფორმაციას რეგიონში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

2013 წლიდან, საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სამმართველო უზრუნველყოფს მოქალაქეთა საინფორმაციო მოთხოვნების ოპერატიულად დაკმაყოფილებას. კერძოდ, ახდენს ელექტრონულ ფოსტაზე შემოსულ წერილებზე რეაგირებას, მათ სისტემატიზაციას, აღრიცხვასა და კატეგორიზაციას. ასევე, საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სამმართველოს ოპერატიულობისთვის და მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონის ამაღლებისთვის, შემუშავდა ხშირად დასმული 200-მდე კითხვა-პასუხი (FAQ).

შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობაში მოქალაქეთა ელექტრონული საშუალებებით ჩართულობის გაზრდის მიზნით, საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარმა სამმართველომ, ვებგვერდის პარალელურად, აპლიკაცია ,,გვითხარით, როგორ გემსახუროთ უკეთ“ განათავსა ინტერაქტიულ პლატფორმაზე, Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე სახელწოდებით ,,განსაზღვრე პრიორიტეტი“. მოქალაქეთა ინიციატივები წერილის სახით შემოდის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე.

იურიდიულ სამმართველოში ჩამოყალიბდა სპეციალური დარბაზი, სადაც ტარდება ადმინისტრაციული საქმისწარმოებები, რაც ხელს უწყობს აღნიშნული საქმიანობის თანამედროვე ფორმით ჩატარებას. შესაბამისად, შეიქმნა კომფორტული

გარემო არა მარტო თანამშრომლებისთვის, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში ამა თუ იმ საკითხის განსახილველად მოსული მოქალაქეებისთვის. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციის იურიდიული სამმართველო აქტიურად თანამშრომლობს სამინისტროს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემის ბიუროსთან, რაც მაქსიმალურად უწყობს ხელს ინფორმაციის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის ხარისხის გაზრდას.

„საქარათველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის დეკემბრის დადგენილების მიხედვით, განხორციელდა შსს-ს ადმინისტრაციის რეორგანიზაცია და შეიქმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი. მისი ძირითადი ამოცანებია როგორც საზოგადოების ინფორმირება საინფორმაციო არხების მეშვეობით, ასევე საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით კვლევითი/ანალიტიკური სამუშაოების ჩატარება, სახელმწიფო, არასამთავრობო, საზოგადოებრივ, ჰუმანიტარულ და რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის დამყარება, სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავება და სხვა.

2014 წელს, შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი გეგმავს საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას. მოქალაქეთა საინფორმაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ამოქმედდება სამინისტროს ცხელი ხაზი. აღნიშნული ხელს შეუწყობს აუცილებლობის შემთხვევაში სამინისტროს მხრიდან მოქალაქეთა მცირე ტიპის გამოკითხვების დამოუკიდებლად წარმოებას ან/და საჭიროებიდან გამომდინარე მათ ინფორმირებას.

სამინისტრო, ასევე განახორციელებს მოქალაქეთა კმაყოფილების კვლევასა და ხარისხის მართვას. აქედან გამომდინარე, გაადვილდება მოწოდებული ინფორმაციის ხარისხის კონტროლი და შესაძლებელი გახდება მოქალაქის შეფასებაზე დაყრდნობით შემდგომში ამავე ინფორმაციისა და უკუკავშირის გაუმჯობესება. იგეგმება გამოკითხვის წარმოება ონლაინ მომსახურების გაწევის შემთხვევაშიც, კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების ოპერატიულობის, კომუნიკაბელობის, თავაზიანობის, კომპეტენციისა და მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის ხარისხის დადგენის მიზნით.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მუშაობის ოპტიმიზაციისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, იგეგმება მასმედიის წარმომადგენლების (ჟურნალისტებისა და რედაქტორების) გამოკითხვა. ჟურნალისტებთან და რედაქტორებთან ეფექტიანი საინფორმაციო და საკომუნიკაციო არხების დასადგენად, ასევე ჩატარდება შესაბამისი გამოკითხვა.

2014 წელს შსს განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. ასევე, მნიშვნელოვანია მედიასთან ურთიერთობების გამყარება და შსს-ს საქმიანობაში მისი ჩართულობის გაზრდა. ამ მიზნით, ჩატარდება მედიატრენინგები თემაზე - „მოქალაქეთა უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა“. თემის აქტუალიზაციისთვის, იგეგმება

მედიაკონკურსების ჩატარება შემდეგ თემებზე: ოჯახური ძალადობა, ტრეფიკინგი და სხვა.

დეპარტამენტის ოპერატიულობის გაზრდის მიზნით, შეიქმნება *ექსპორტირების კომპიუტერული პროგრამა* და განხორციელდება მისი სამუშაო პროცესში ინტეგრირება. აღნიშნული პროგრამის გამოყენებით, ორჯერ შემცირდება პრესის დაიჯესტის მომზადებაზე გამოყოფილი დრო.

იგეგმება მობილური აპლიკაცია MIA Georgia-ს მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდაც. ამ მიზნით, განხორციელდება აღნიშნული აპლიკაციის პოპულარიზაცია იმ სეგმენტში, რომელიც ხშირად იყენებს მობილურ ტელეფონებს ინტერნეტში შესასვლელად და ელექტრონული გადახდების განსახორციელებლად.

მოქალაქეთა დამოკიდებულებისა და მოლოდინის შესწავლის მიზნით, ვებგვერდზე იგეგმება გამოკითხვის წარმოება. აღნიშნულის მიზანია მწვავე თემებზე მოქალაქეთა სავარაუდო რეაქციის პროგნოზირება ან გამოვლენა, შსს-ს მუშაობის ეფექტიანობის ან/და ხარვეზების შეფასება, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობის ქმედების მიზანშეწონილობის დადგენა და სხვა.

მნიშვნელოვანია სამოქალაქო ჟურნალისტიკის ჩართვა მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების პროცესში. ამ მიმართულებით, შსს გეგმავს ბლოგერებთან ურთიერთობის გამყარებას, სამინისტროს საქმიანობაში მათი ჩართულობითა და თემატური კონკურსების გამართვით.

ადამიანის უფლებების დაცვა

შინაგან საქმეთა სამინისტრო არის საზოგადოების უსაფრთხოების გარანტი, რომელიც უზრუნველყოფს მართლწესრიგის დაცვას, დანაშაულის პრევენციასა და აღკვეთას. მოქალაქეთა უსაფრთხოებისთვის პოლიცია უფლებამოსილია მიმართოს იძულების ღონისძიებებსაც, მათ შორის, დაკავებას. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სამართალდამრღვევ ადამიანს კანონი არ იცავს. ნებისმიერ პიროვნებას, მათ შორის, სამართალდამრღვევს გააჩნია კონსტიტუციით გარანტირებული ფუნდამენტური უფლებები. ამიტომ, პოლიცია თავისი საქმიანობის ყველა ეტაპზე ვალდებულია პატივი სცეს ბრალდებულის პიროვნებასა და ღირსებას.

ადამიანის უფლებების დაცვა, პირველ რიგში, საკანონმდებლო დონეზე უნდა იყოს განმტკიცებული სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპების შესაბამისად. ამ მხრივ, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 1993 წლის რედაქცია „მილიციის შესახებ“ საბჭოთა კანონის გადმონაშთს წარმოადგენდა. კანონის ეს რედაქცია პოლიციის პრევენციულ ფუნქციებს ყურადღებას ნაკლებად უთმობდა, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვის პროცესში პოლიციას უმეტეს შემთხვევაში უწევს ისეთი სამართლებრივი ქმედებების განხორციელება, რომლებიც ზღუდავს პირთა უფლებებს. საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპების თანახმად, ადამიანის უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე. ამიტომ, აუცილებლობას წარმოადგენდა პოლიციის

პრევენციული ღონისძიებების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა. 2013 წლის მარტიდან, შინაგან საქმეთა სამინისტრომ „პოლიციის შესახებ“ კანონის ახალი რედაქციის ჩამოყალიბებაზე დაიწყო მუშაობა, რომელიც განსახილველად პარლამენტს წარედგინა 2013 წლის საშემოდგომო სესიაზე. პარლამენტმა კანონი 3 მოსმენით მიიღო და მისი ამოქმედების თარიღად 2014 წლის 1 იანვარი განსაზღვრა.

„პოლიციის შესახებ“ ახალი კანონის ამოქმედება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, რადგან იგი ითვალისწინებს იმგვარი სისტემის ჩამოყალიბებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია მაღალი სტანდარტები ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტში. კანონი მიზნად ისახავს პოლიციის საქმიანობაში კანონიერების, თანასწორობის, თანაზომიერებისა და პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპების განმტკიცებას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თანაზომიერების პრინციპი, რომლითაც საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა პოლიციელის ვალდებულება, გამოიყენოს მიზნის მისაღწევად ყველაზე ნაკლებად შემზღუდავი ღონისძიება. ადამიანის უფლებების შეზღუდვა აუცილებლობას უნდა წარმოადგენდეს სხვათა უფლებების, საჯარო წესრიგისა და იმ ღირებულებების დასაცავად, რომლის არსებობაც უზრუნველყოფილია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

კანონის ძველი რედაქციისგან განსხვავებით, დეტალურადაა განსაზღვრული ყველა ბუნდოვანი ტერმინის შინაარსი, რომელიც განმარტების გარეშე მრავალგვარი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. ტერმინთა განმარტება უზრუნველყოფს განსაზღვრულობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპების დაცვას. შედეგად, ერთი მხრივ, მოქალაქე უფრო მეტად იქნება დაცული კონკრეტული პოლიციელის თვითნებობისა თუ სუბიექტური შეხედულებებისგან, მეორე მხრივ, კანონმდებელი ზრუნავს პოლიციელის დაცულობაზე. პოლიციელმა წინასწარ უნდა იცოდეს, კანონიერია თუ არა მისი კონკრეტული ქმედება კონკრეტულ შემთხვევაში და რა სამართლებრივი შედეგი მოჰყვება მას.

კანონში ექსპლიციტურად და ამომწურავად გაიწერა პოლიციის პრევენციული ღონისძიებები, როგორებიცაა: პირის გამოკითხვა; პირის იდენტიფიკაცია; პირის მოწვევა; ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება; სპეციალური შემოწმება; სპეციალური საპოლიციო კონტროლი; ადგილის დატოვების მოთხოვნა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა; პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა; ავტომატური ფოტო (რადარი) და ვიდეოტექნიკის გამოყენება; ტექნიკური საშუალებების შექმნა და გამოყენება. პრევენციული ღონისძიებების ამომწურავი ჩამონათვალი იცავს მოქალაქეს პოლიციის მხრიდან კანონით გაუთვალისწინებელი ღონისძიებების განხორციელებისგან.

აუცილებლობას წარმოადგენს საკითხის არა მხოლოდ ნორმატიულ დონეზე მოწესრიგება, აგრეთვე მისი თითოეულ პოლიციელამდე დაყვანა და სწავლება. ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, შსს-ს აკადემიაში სისტემატურად ტარდება სხვადასხვა ტრენინგები. 2014 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პოლიციელთა გადამზადებას ახალი ნორმატიული ბაზის შესაბამისად. აღსანიშნავია,

რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს საგანმანათლებლო პროგრამებში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების სწავლება წარმოადგენს.

2014 წელს შსს მონაწილეობას მიიღებს არაერთ პროექტში. მათგან ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით აღსანიშნავია „ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა ციხეებში და სხვა დახურულ დაწესებულებებში“. პროექტის მიზანია ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერება და ჯანდაცვის გაუმჯობესება ციხეებში, დაკავების ადგილებსა და სხვა დახურულ დაწესებულებებში. შსს ასევე მონაწილეობას მიიღებს პროექტში „Collaboration towards combating Child Sexual Abuse" (ბავშვებზე სქესობრივი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობა). პროექტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს იმ სისტემებისა და მომსახურების განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვებზე ძალადობის ფაქტების გამოძიებას და სხვა. პროექტის ფარგლებში ჩატარდება ტრენინგი დეტექტივ-გამომძიებლებისთვის თემაზე „სტრუქტურირებული დაკითხვის მეთოდის მნიშვნელობა მსხვერპლი ან მოწმე ბავშვისგან სრული და სარწმუნო ინფორმაციის მისაღებად.“ გარდა სწავლებისა, აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაკითხვის პროცესში უზრუნველყოფილი იქნება ფსიქოლოგების მონაწილეობა, რათა სრულად იქნას დაცული ბავშვთა უფლებები.

დაურეგულირებელი იმიგრაციული პროცესების მოსაწესრიგებლად 2013 წლის თებერვლიდან დაიწყო „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის ახალ რედაქციაზე მუშაობა. კანონის ახალი რედაქციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციად ქვეყანაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფ უცხოელთა გამოვლენა და მათი გაძევების პროცედურების განხორციელება განისაზღვრა. აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო რეგლამენტაციის დროს მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტები.

ზემოაღნიშნული ფუნქციიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აიღო ვალდებულება 2014 წლის განმავლობაში შექმნას არალეგალ მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრი.

შსს-ს ინიციატივით, კანონში განისაზღვრა დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომებიც. სასამართლოს მიერ ამ ალტერნატიული ზომების შეფარდებისას, პირს არ შეეზღუდება გადაადგილების თავისუფლება, არამედ დაეკისრება ვალდებულება გარკვეული პერიოდულობით აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს მისი ადგილსამყოფელის შესახებ. არასრულწლოვანთა და ოჯახების განთავსება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და მაქსიმალურად მოკლე ვადით განხორციელდება. აღსანიშნავია, რომ განთავსება დასაშვებია არაუმეტეს 3 თვისა.

ცენტრი აშენდება და იფუნქციონირებს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. კერძოდ, ცენტრში უცხოელები უზრუნველყოფილნი იქნებიან სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარებით. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, განთავსების აუცილებლობის შემთხვევაში, მოთავსებულ იქნებიან მათი შესაძლებლობების შესაბამისად ადაპტირებულ ოთახებში. გათვალისწინებული იქნება ბავშვთა საუკეთესო ინტერესები, მათ შორის,

განათლების უფლება და თავისუფალი დროის გატარებისთვის საჭირო პირობები. ცენტრში უზრუნველყოფილი იქნება სამლოცველო ოთახების არსებობა. ცენტრში მოთავსებულ პირებს საშუალება ექნებათ მოითხოვონ უფასო იურიდიული კონსულტაცია, შეხვდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. უცხოელებისთვის დაკავების საფუძვლები განმარტებული იქნება მათთვის გასაგებ ენაზე. საჭიროების შემთხვევაში, ისინი ისარგებლებენ თარჯიმნის მომსახურებით. უცხოელები აგრეთვე გაეცნობიან თავიანთ ქვეყნებში ნებაყოფლობითი დაბრუნების საშუალებებსა და პირობებს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება

პერსონალურ მონაცემთა დაცვა ინდივიდის პირადი ავტონომიის უმნიშვნელოვანესი სფეროა. პიროვნება დაცული უნდა იყოს მონაცემთა არამართლზომიერი მოპოვების, დამახსოვრების, დამუშავების, გამოყენებისა და გადაცემისგან. არაერთ საერთაშორისო აქტში იმპერატიულად არის მითითებული, რომ არავინ უნდა დაექვემდებაროს მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის ხელშეუხებლობაში ან კორესპონდენციის საიდუმლოებაში თვითნებურ ან უკანონო ჩარევას ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფას. მიუხედავად საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული გარანტიებისა, საქართველოს წინა ხელისუფლება უკანონო თვალთვალსა და მიყურადებას საზოგადოებაზე მანიპულაციის ქმედით საშუალებად იყენებდა. აღნიშნულის შედეგად ადამიანის უფლებების დარღვევამ მასობივი ხასიათი მიიღო.

ახალი ხელისუფლების პირობებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. 2013 წლის 15 აგვისტოს მთავრობის დადგენილებით, შეიქმნა უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს შს მინისტრი. კომისიას დაევალა შსს-ს სისტემაში აღმოჩენილი უკანონოდ მოპოვებული მასალის აღრიცხვა, სისტემატიზაცია, ანალიზი, განადგურების ან/და დაარქივების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილებით, 2013 წლის სექტემბერში განადგურდა უკანონოდ მოპოვებული პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალის ნაწილი.

ამასთან, მნიშვნელოვანი იყო არამხოლოდ წარსულში მოპოვებული უკანონო მონაცემების განადგურება, აგრეთვე აუცილებლობას წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესზე კონტროლის ქმედითი გარანტიების ჩამოყალიბება. არ არსებობდა სამართლებრივი აქტი, რომელიც პოლიციის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხს სამართლებრივ ჩარჩოში მოაქცევდა. ამ მიზნით, სამინისტროში შეიქმნა შიდაუწყებრივი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში

პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის შესახებ ინსტრუქციის“ პროექტი, რომელიც 2013 წლის 19 დეკემბერს შს მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა. ინსტრუქცია, ერთი მხრივ, ეყრდნობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს და მეორე მხრივ, ითვალისწინებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით დადგენილ სტანდარტებს. ინსტრუქციის პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზაში ჩართული იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, რომლის შენიშვნები და წინადადებები აისახა ინსტრუქციის ტექსტში.

ინსტრუქცია ვრცელდება როგორც ავტომატური ან ნახევრადავტომატური, ასევე არაავტომატური საშუალებებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე, საპოლიციო და არასაპოლიციო მიზნებისთვის. ინსტრუქცია ადგენს მონაცემთა დამუშავების ფარგლებს, მიზნებს, ძირითად პრინციპებს, მცდარი და არასრული მონაცემების გასწორების, დამატების, დაბლოკვის, წაშლისა და განადგურების საფუძვლებს, მონაცემთა გადაცემის წესს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მონაცემთა სუბიექტის უფლებები, როგორებიცაა, უშუალოდ სუბიექტისგან მონაცემთა შეგროვების შემთხვევაში მონაცემთა შეგროვების მიზნებისა და სამართლებრივი შედეგების, მისი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში მასზე არსებული ინფორმაციის გადაცემა, ასევე მოცემულია მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვის საფუძვლები. პერსონალური ინფორმაციის მოპოვება უნდა მოხდეს თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე, საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვით და უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ მინისტრის ბრძანების ძალაში შესვლის თარიღად 2014 წლის 1 მარტი განისაზღვრა. 1 მარტამდე კი შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას დაევალა სასწავლო პროგრამების შემუშავება, რათა მონაცემების დამუშავებისა და დაცვის საკითხებთან დაკავშირებით მოხდეს სამინისტროს მოსამსახურეების სათანადო მომზადება/გადამზადება. გადამზადების კურსებს/ტრენინგებს გაივლის შსს-ს სისტემის ყველა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენელი. შსს-ს თანამშრომლების სათანადო კომპეტენციით აღჭურვა ინსტრუქციის ეფექტიანი ამოქმედების გარანტია იქნება.

ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება

შინაგან საქმეთა სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობს ადამიანური რესურსების მართვის და საკადრო პოლიტიკის გაუმჯობესების საკითხს. ამ მიმართულებით, სამინისტროს სისტემის რეფორმის ფარგლებში არაერთი პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა.

2013 წელს გაუმჯობესდა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. კერძოდ, გადაიხედა და დაიხვეწა სამსახურში მიღების, შეფასების, წახალისების, დაწინაურების, ანგარიშვალდებულებისა და პროფესიული ეთიკის გაძლიერების მექანიზმები.

2014 წლიდან, ,,პოლიციის შესახებ“ ახალი კანონის შესაბამისად, პოლიციაში სამუშაოდ მისაღებ პირთა მიმართ მოიხსნა ასაკობრივი შეზღუდვა. აღნიშნული გულისხმობს, პოლიციაში დასაქმების მსურველთათვის ზედა ასაკობრივი ზღვარის (35 წელი) მოხსნას. გარდა ამისა, 2014 წლიდან პოლიციაში პირის მიღება განხორციელდება სპეციალური კონკურსის/ეტაპების გავლის შედეგად. კერძოდ, მოხდება კონკურსის გამოცხადება სამინისტროს შტატით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო სპეციალურ წოდებას. აღნიშნული გამომდინარეობს ,,პოლიციის შესახებ“ ახალი კანონისა და ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ შსს-ს მინისტრის 2013 წლის ბრძანებით დამტკიცებული ახალი წესიდან.

შსს-ს სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომლები, დონორი ქვეყნებისა და ორგანიზაციების მხარდაჭერით, მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგსა და სასწავლო ვიზიტში. 2013 წლიდან პროფესიული უნარ-ჩვევების გაზრდის შესაბამის ტრენინგებს ეტაპობრივად გადიან შსს-ს კადრების მთავარი სამმართველოსა და სხვა სტრუქტურული ერთეულების საკადრო დანაყოფების თანამშრომლები. 2014 წელს აღნიშნული მიმართულებით გაგრძელდება შსს-ს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

2013 წლის 29 ნოემბერს, ვილნიუსის სამიტზე ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში (სამოქალაქო მისიებში) საქართველოს, როგორც არაწევრი მესამე ქვეყნის, მონაწილეობისთვის სტრუქტურის ჩამოყალიბების თაობაზე. აღნიშნული მოიცავს ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში მისიების მიერ დანიშნულების ქვეყნებში საჯარო სექტორის კონკრეტული სფეროს რეფორმას. აქედან გამომდინარე, სამინისტროს ფარგლებში კანდიდატების შერჩევის პროცესის გამარტივების მიზნით, 2014 წელს დაგეგმილია კვალიფიციურ ექსპერტთა ბაზის შექმნა. აღნიშნული ბაზა დაკომპლექტდება შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილების მქონე და ინგლისური/ფრანგული ენების მცოდნე პირებით.

შსს-ს ერთ-ერთი პრიორიტეტია სამინისტროს სისტემაში უმაღლესი სასწავლებლებიდან წარჩინებული და პერსპექტიული სტუდენტების მოზიდვა. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია თანამშრომლობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. 2013 წელს შსს-ს სხვადასხვა დანაყოფში სტაჟირება გაიარა 119 სტუდენტმა, მათგან სამინისტროს სისტემაში დასაქმდა რამდენიმე პირი.

2014 წელსაც იგეგმება მსგავსი აქტივობების განხორციელება. სტუდენტებს მიეცემათ შესარჩევ პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა. შედეგად, საუკეთესო კანდიდატები გაივლიან სასწავლო პრაქტიკას/სტაჟირებას, სამინისტროში მათი შემდგომი დასაქმების მიზნით.

სამინისტროს ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობა

საქართველოში მცხოვრები მოსახლეობა ყოველთვის ხასიათდებოდა ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით. შინაგან საქმეთა სამინისტრო აცნობიერებს, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული სისტემის ჩამოყალიბება შეუძლებელია უმცირესობების წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობის გარეშე. შესაბამისად, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას მათი დასაქმება წარმოადგენს. სამინისტრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სამართალდამცავ საქმიანობაში მათი წარმომადგენლების ჩართულობას. ისინი კარგად იცნობენ ადგილობრივ ტრადიციებსა და საჭიროებებს და შესაბამისად, სამინისტროსთვის უდიდეს ღირებულებას წარმოადგენენ.

სამინისტროს სისტემაში სწრაფი ადაპტაციისთვის, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები შსს-ს აკადემიაში ეუფლებიან ქართულ ენას.

გენდერული თანასწორობა სამინისტროს სისტემაში

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა შსს-ს პოლიტიკის ერთ–ერთი ძირითადი მიმართულებაა. სამინისტრო აცნობიერებს, რომ მოქნილი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპების დაცვით. უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში, როგორებიცაა კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვა, ოჯახური ძალადობის პრევენცია და მისი დროული გამოვლენა, მდედრობითი სქესის პოლიციელთა მონაწილეობა ხშირად უფრო ეფექტიანია.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩართულია „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაერო-ს უშიშროების საბჭოს №1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012–2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმისა“ და „გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2011-2013 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულებაში. სამინისტრო ასევე აქტიურად მონაწილეობს „გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ შემუშავების პროცესში.

შს მინისტრის გადაწყვეტილებით, სამინისტროში 2013 წელს პირველად აღინიშნა ქალთა საერთაშორისო დღე - 8 მარტი. ამ თარიღის აღსანიშნავად, შს მინისტრმა 47 თანამშრომელ ქალბატონს პირადად გადასცა მედალი - „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“.

2013 წელს გაერო-ს პროექტის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, პოლიციელებმა გაიარეს ტრენინგები გენდერული ძალადობის მსხვერპლთა გამოკითხვის, გამოძიებისა და სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების კუთხით.

თბილისში უკვე ორი წელია იმართება პოლიციელ ქალთა რეგიონული კონფერენცია აშშ–ის საელჩოს საერთაშორისო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL) მხარდაჭერით. აღნიშნულ კონფერენციას ესწრებიან საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების შსს-ს ოფიცერი ქალები. ამ კონფერენციაზე ძირითადი ყურადღება ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ქალი მმართველ პოზიციაზე, მენტორული უნარ-ჩვევები, წარმატების სტრატეგია და სხვ.

გენდერული ბალანსის გაუმჯობესებისა და დაკავებულ ქალთა უფლებების დაცვის მიზნით, დროებითი მოთავსების იზოლატორებში 2012 წლის დეკემბრიდან ეტაპობრივად იზრდება თანამშრომელ ქალთა რაოდენობა.

მიუხედავად განხორციელებული საქმიანობისა, შსს–ში კვლავ არასაკმარისია ცოდნა გენდერული თანასწორობის საკითხებზე. ასევე, არაპროპორციულია ქალთა დასაქმების მაჩვენებელი შსს–ს ხელმძღვანელ და ქვედა რგოლებში.

შს მინისტრის გადაწყვეტილებით, მომდევნო წლების განმავლობაში სამინისტროს სისტემაში მომუშავე ქალთა რაოდენობა 12-დან 20 პროცენტამდე გაიზრდება. ამ კუთხით სამინისტრო გეგმავს საინფორმაციო კამპანიების წარმოებას შსს-ს სისტემაში ქალთა დასაქმების გაზრდის მიზნით. 2014 წელს, შსს–ს სტრუქტურულ დანაყოფებში გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდება შესაბამისი ტრენინგები და სემინარები. სამინისტრო უზრუნველყოფს დასაქმების თანაბარ ხელმისაწვდომობას ორივე სქესის პირთათვის.

საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის რეფორმა

2004 წლის 29 დეკემბერს, „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შედეგად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურმა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გადასცა ხანძრის პროფილაქტიკის, ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების განხორციელების ფუნქცია, შესაბამისად გადასცა მის დაქვემდებარებაში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მიზნით შექმნილი შენობა-ნაგებობები, სახანძრო ტექნიკა და სხვა ქონებაც. შედეგად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახანძრო დაცვა გახდა ქვეყანაში სახანძრო დაცვის ძირითადი სახეობა. პრაქტიკამ ცხადყო, რომ აღნიშნულმა მოდელმა ვერ გაამართლა. ადგილობრივი თვითმმართველობები სათანადოდ ვერ ახორციელებენ არსებული საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების სისტემების ოპერირებას. აღნიშნული ვითარების მოწესრიგების მიზნით, ევროპელი ექსპერტების დახმარებით იგეგმება სამოქალაქო უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება, რაც ასევე მიზნად ისახავს ზემოაღნიშნული ფუნქციების უწყებებს შორის ხელახალ გადანაწილებას.

საგანგებო სიტუაციების ეფექტიანი მართვისა და ერთიანი ორგანიზების მიზნით, დაგეგმილია ყველა დონის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების გაერთიანება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში. საგანგებო სიტუაციების მართვის ან/და სახანძრო-სამაშველო დანაყოფები, რომლებიც შედიან შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში, ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ გაუქმდება. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის ფარგლებში კი შეიქმნება სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო. ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ, დასახელებულმა ორგანოებმა დარჩენილი ქონება უნდა გადასცენ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს. ადგილობრივ დონეზე სააგენტო თავის საქმიანობას მისდამი დაქვემდებარებული საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების მეშვეობით განახორციელებს. ზემოაღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ერთიანი მართვისა და მიზანმიმართული სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებას.

შიდა აუდიტის სისტემის დანერგვა

დემოკრატიულ სისტემაში საჯარო დაწესებულებების საქმიანობის კონტროლს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფუნქციონირებს გენერალური ინსპექცია, რომელიც თვალყურს ადევნებს სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას. თუმცა, საქართველოს კანონმდებელობა მართვის ხარისხის, ხარჯვის ფინანსური მიზანშეწონილობისა და სხვა რისკების იდენტიფიცირებისთვის დაწესებულებათა კონტროლის დამატებითი მექანიზმის - შიდა აუდიტის შექმნას ითვალისწინებს.

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა შიდა აუდიტის მთავარი სამმართველო. შესაბამისად, 2014 წლიდან სამინისტროს სისტემაში ამოქმედდება შიდა აუდიტის მექანიზმი, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის საქმიანობის კონტროლის მექანიზმების დახვეწის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი რეფორმა იქნება. ეს ხელს შეუწყობს სამინისტროს მიზნების კანონიერად, ეკონომიურად, ეფექტიანად მიღწევასა და საქმიანობის პროდუქტიულობის გაზრდას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა აუდიტის მთავარი სამმართველოს ძირითადი ამოცანები იქნება: სამინისტროს საქმიანობაში არსებული რისკების დადგენა; სახელმწიფო სახსრების გამოყენების კანონიერებისა და მიზნობრიობის შესწავლა; ფინანსების მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება; ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემის უსაფრთხოების შემოწმება; ფინანსური, ადამიანური, მატერიალური და სხვა რესურსების გამოყენებისა და მიღებული გადაწყვეტილებების ეკონომიურობისა და ეფექტიანობის ანალიზი;

აუდიტორული შემოწმების შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების გაცემა; ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც გამომდინარეობს სამინისტროს ინტერესებიდან.

ნორმატიული ბაზის დახვეწა

2014 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრო გეგმავს ფართო სამართალშემოქმედებითი საქმიანობის გაგრძელებას. კანონმდებლობის დახვეწისა და თანამედროვე გამოწვევებზე რეაგირების მიზნით, 2014 წლისთვის დაგეგმილია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, მათ შორისაა:

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში და სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანა, რაც მიზნად ისახავს კოდეინის შემცველი სამკურნალო პრეპარატების ურეცეპტოდ გაყიდვაზე პასუხისმგებლობის გამკაცრებას;

„საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანა, რომლის მიზანია განისაზღვროს ის კონკრეტული შემთხვევები და საფუძვლები, როდესაც საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება საქართველოს მოქალაქეს უარი ეთქვას საქართველოდან გასვლაზე;

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანა, რითაც მასში ტერორისტული დანაშაულის დეტალური გაწერა განხორციელდება;

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანა ფარული მიყურადებისთვის დაწესებული პასუხისმგებლობის გამკაცრების მიზნით;

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ ახალი კანონის შემუშავება საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სისტემის რეფორმის მიზნით, რომელშიც გაერთიანდება ორი კანონი - „ხანძრის შესახებ“ და „ბუნებრივი და ტექნოგენური საგანგებო სიტუაციების შესახებ“. აღნიშნულში ასევე აისახება სამოქალაქო თავდაცვის ელემენტებიც;

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანა, რითაც იგეგმება საურავების სისტემის დახვეწა;

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა. აღნიშნულის მიზანია, ხელი შეუწყოს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელების პროცესში ერთიანი ტექნიკური სტანდარტის დამკვიდრებას, რაც მინიმუმამდე დაიყვანს არაუფლებამოსილი პირების მიერ სატელეკომუნიკაციო შეტყობინებებზე არაავტორიზებულ წვდომას და უზრუნველყოფს მართლზომიერი გადაჭერის განხორციელების შესაძლებლობას.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურადაა ჩართული „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შემუშავების პროცესში, რომელიც მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ინიციატივით. ამის მიზანია „სახელმწიფო

საიდუმლოების შესახებ“ კანონის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბება.

საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება მოითხოვს კანონქვემდებარე აქტების შესაბამისობაში მოყვანას. ამ მხრივ, 2014 წელს დაგეგმილია, როგორც 2013 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, ასევე 2014 წელს დაგეგმილი კანონპროექტებიდან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შემუშავება და მათი ზემდგომ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანა. მათგან აღსანიშნავია, „უცხოელთა გაძევების წესის“, „მიგრაციის ცენტრის დებულების“, „სამოქალაქო ან სამსახურეობრივ-საშტატო იარაღის ჯილდოდ გადაცემის წესის“, „სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის“, „საექსპერტო კონტროლისადმი დაქვემდებარებული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის საკითხთა გადაწყვეტის წესის“ შემუშავება.

საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

შსს–ს მთავარი ამოცანაა საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულისა და სამართალდარღვევათა რიცხვის შემცირება. ეს მოქალაქეთა თავისუფლების, განვითარებისა და სოციალური კეთილდღეობის საწინდარია. მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტია საგზაო უსაფრთხოება. საავტომობილო გზების მოდერნიზაციამ თავის მხრივ დღის წესრიგში დააყენა საგზაო უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესება. დანაშაულებრივ ქმედებებზე მუდმივი მზადყოფნის, ადეკვატური ზომების გატარების და საჭიროების შემთხვევაში საზოგადოების მოთხოვნებზე მყისიერი რეაგირების მიზნით, საჭიროა ძლიერი და ეფექტიანი სამართალდამცავი სისტემა.

2012 წლის შემოდგომიდან, სამინისტროს ხელმძღვანელობის ცვლილებისთანავე შეფასდა შსს-ში არსებული მდგომარეობა, გამოვლინდა ნაკლოვანებები და განისაზღვრა საჭიროებები. შესაბამისად, 2013 წელს შსს-ს სისტემაში საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის არაერთი ნაბიჯი გადაიდგა.

2013 წელს განხორციელდა 100-მდე სამშენებლო/სარემონტო პროექტი, მათ შორის ფოთსა და ზესტაფონში პოლიციის ახალი შენობების მშენებლობა, აგრეთვე შსს-ს ადმინისტრაციული შენობების სარემონტო სამუშაოები. განახლდა შსს-ს სტრუქტურული ერთეულების ავტოპარკი.

განხორციელდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურული რეორგანიზაცია. ქვეყნის მასშტაბით 30%-ით გაიზარდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟების რაოდენობა. შესაბამისად გაიზარდა საპატრულო პოლიციის მოქმედების

არეალი და დაიფარა აქამდე აუთვისებელი მიმართულებები და რეგიონები. განახლდა საპატრულო პოლიციის ავტოპარკი. განხორციელდა საპატრულო პოლიციის რებრენდინგი. შეიცვალა ავტომობილების შეფერილობა აღქმადობის და ვიზუალური გარჩევადობის გაზრდის მიზნით. ავტომანქანები აღიჭურვა თანამედროვე ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით, ბორტკომპიუტერებითა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით. დაიხვეწა და მთლიანად შეიცვალა საპატრულო პოლიციის უნიფორმა. საპატრულო პოლიციის ოფიცრები აღიჭურვნენ სამხრე ვიდეოკამერებითა და ახალი, პრომილეს მზომი ალკოტესტებით.

საქართველოს ძირითად საავტომობილო გზებზე და ქალაქების ქუჩებში დამონტაჟდა სიჩქარის მზომი რადარები. საპატრულო პოლიციის დაკვეთით განხორციელდა შუქნიშნების, საგზაო ნიშნებისა და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მონტაჟი. პრევენციული ღონისძიებების გატარებით, გასულ წელს 2012 წელთან შედარებით, რადარების მონტაჟის შედეგად, მათი დაფარვის ზონაში ავტოსაგზაო შემთხვევების რიცხვი 85%-ით შემცირდა. ასევე, საპატრულო პოლიციის აქტიური ქმედებების შედეგად, ქვეყნის მასშტაბით ავტოსაგზაო შემთხვევებში გარდაცვლილთა რაოდენობა 60%-ით შემცირდა.

სოციალური, სამართლებრივი და მორალური პასუხისმგებლობის გაძლიერების, სამართლებრივ უფლებებსა და მოვალეობებში ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროექტის „სამართლებრივი კულტურა“ ფარგლებში, უბნის ინსპექტორები სკოლის პედაგოგებთან ერთად, სხვადასხვა ქალაქების სკოლების მოსწავლეებს უტარებენ გაკვეთილებს შემდეგ თემებზე: ოჯახური ძალადობა, ორგანიზებული დანაშაული, ნარკომანია, ტრეფიკინგი, აზარტული თამაშები და სხვა.

შსს დიდ ყურადღებას უთმობს ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას. 2013 წელს განხორციელდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიუროსა (INL) და ესტონეთის ეროვნული პოლიციისა და საზღვრის დაცვის საბჭოს ერთობლივი პროექტი, „საქართველოს სამართალდამცავთა შესაძლებლობების ზრდა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში“. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ასევე ჩატარდა ტრენინგები ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ მოქმედ სამართლებრივ და სოციალურ მექანიზმებზე. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს „გაერო“-ს პროექტის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, განხორციელდა საპილოტე პროექტი. საპილოტე პროექტის ფარგლებში პოლიციელებმა გაიარეს ტრენინგები გენდერული, სექსუალური და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოკითხვის, გამოძიების, სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების, შემაკავებელი და დამცავი ორდერების შესრულების მონიტორინგის კუთხით.

კრიმინოგენური ვითარების კონტროლისა და დაზიანებული რაიონების გამოსავლენად, შემუშავდა დანაშაულის აღრიცხვის ახალი ფორმები. 2013 წლის იანვრიდან საქართველოში უკვე სრულფასოვნად ფუნქციონირებს სისხლის სამართალწარმოების ერთიანი ელექტრონული სისტემა (CRIMCASE), რომლის მეშვეობით ცენტრალიზებული მონაცემების საფუძველზე ხორციელდება

რეგისტრირებული დანაშაულის სააღრიცხვო-საანგარიშო ფორმების გენერაცია. თვისობრივად თავიდან გადამუშავდა მეთოდოლოგია და ანგარიშგების ძირითადი პრინციპები. ახალი მეთოდოლოგია თანამედროვე, ევროპული სტანდარტების მიხედვით შემუშავებული მოდელია, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი ევროპული ქვეყნები იყენებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო სათავეში უდგას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოს. საქართველოს მთავრობამ, 2013 წლის 2 ოქტომბერს დაამტკიცა საბჭოს მიერ შემუშავებული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია, ხოლო 2013 წლის 4 ნოემბერს უწყებათშორისმა საბჭომ დაამტკიცა სტრატეგიის სამოქმედო გეგმა.

შსს-ს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება. ამ მიზნით, 2013 წელს არაერთი ტრენინგი და სასწავლო ვიზიტი განხორციელდა. საგზაო უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, შსს-მ მასმედიის საშუალებებით გაატარა საინფორმაციო კამპანიები.

გამოწვევები

არასრულწლოვანთა ჩართულობა დანაშაულებრივ საქმიანობაში

ხშირია შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვნები მონაწილეობას იღებენ ისეთ დანაშაულებში, როგორებიცაა ხულიგნობა, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, განზრახ მკვლელობა და სხვა. ამ მიზნით, სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შემცირებაზე. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისა და რეციდივის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია მათი საზოგადოებაში რესოციალიზაცია და რეინტეგრაცია.

ოჯახური, მათ შორის, ქალისა და არასრულწლოვან პირთა მიმართ ჩადენილი ძალადობა

ოჯახური ძალადობა გამოწვეულია ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და სხვადასხვა რელევანტური ფაქტორით. იგი გამოიხატება მეტწილად ქალისა და არასრულწლოვან პირთა მიმართ სხვადასხვა სახის შეურაცხმყოფელ ქმედებებში. აღნიშნულ დანაშაულს უფრო ხშირად ადგილი აქვს ისეთ პრივატულ, დახურულ სივრცეში, სადაც მისი იდენტიფიცირება და მასზე შემდგომი რეაგირება დაზარალებულის განცხადების გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია. ამ კუთხით, აუცილებელია პოლიციისა და საზოგადოების ნდობაზე აგებული თანამშრომლობა.

შსს-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების შესაძლებლობების გაუმჯობესების საჭიროება

დანაშაულის პრევენციისა და აღკვეთის, ოპერატიულ–სამძებრო და საგამოძიებო საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისათვის, აუცილებელია გაგრძელდეს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების შესაძლებლობების შემდგომი გაუმჯობესება. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია შსს-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება.

საზოგადოების არასაკმარისი ინფორმირებულობა

დანაშაულის პრევენცია და აღკვეთა შესაძლებელია მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოებისა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით. აღნიშნული მიმართულებით საზოგადოების ინფორმირებულობისა და მართლშეგნების დაბალი ხარისხი შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. ხშირია დანაშაულის ფაქტების მიმართ საზოგადოების გულგრილობაც. აუცილებელია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების აქტიური ჩართულობა, რაც მიიღწევა მისი თვითშეგნების ამაღლების გზით.

საგზაო უსაფრთხოების ზომების შემდგომი გაუმჯობესების აუცილებლობა

2013 წელს საგზაო უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესების მიუხედავად, მნიშვნელოვანია აღნიშნული მიმართულებით შესაბამისი ღონისძიებების გაგრძელება (სიჩქარის მზომი რადარების დამონტაჟება, საპატრულო პოლიციის აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, და სხვა).

საზოგადოების მიერ ავტოსაგზაო უსაფრთხოების წესების უგულებელყოფა

ავტოსაგზაო შემთხვევები, შედეგად გამოწვეული სიკვდილიანობა და სხეულის დაზიანება მეტწილად განპირობებულია სიჩქარის გადაჭარბებით, ალკოჰოლური თრობით, გადაღლილობით, უყურადღებობითა და სხვა ფაქტორებით.

2014 წლის პრიორიტეტები

საზოგადოებასთან თანამშრომლობა

პოლიციის საქმიანობა განიხილება როგორც საზოგადოებრივი მომსახურების განხორციელება, რომელიც ეფუძნება მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულებასა და ადამიანის უფლებების პატივისცემას. თანამედროვე პოლიცია, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებაზე და მის საჭიროებებზე უნდა იყოს ფოკუსირებული. სიმშვიდის,

წესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით, პოლიციამ თავისი საქმიანობა საზოგადოებასთან პარტნიორობის გზით უნდა განახორციელოს. საზოგადოებაც აქტიურად უნდა იყოს ჩართული პოლიციის საქმიანობაში, რათა შემცირდეს სამართალდარღვევათა რაოდენობა, განხორციელდეს დანაშაულის პრევენცია და გაიზარდოს დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი. პოლიციისა და საზოგადოების სწორედ ამგვარი ურთიერთობა იძლევა იმ პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას, რომლებიც საზოგადოებას აღელვებს.

ამ მიზნით, პოლიციას მუდმივი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს საზოგადოებასთან, რათა განისაზღვროს ამ უკანასკნელისთვის ყველაზე აქტუალურ პრობლემათა და საჭიროებათა წრე და გატარდეს მათი გადაჭრის გონივრული ღონისძიებები.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სკოლებში დანაშაულზე, სამართალდარღვევებზე და მართლწესრიგზე ცნობიერების ამაღლებას. ამ მიზნით ჩატარდება ინტერაქტიული დისკუსიები და სემინარები დანაშაულის გამომწვევი მიზეზების, საფრთხეებისა და შედეგების შესახებ.

დანაშაულთან ბრძოლაში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

დანაშაულის პრევენცია და მასთან ბრძოლა ეფექტიანია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ პროცესებში სამართალდამცავ სტრუქტურებთან ერთად ჩართულია საზოგადოებაც. ამ მხრივ უდიდესი როლი ენიჭება მოქალაქეთა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. შინაგან საქმეთა სამინისტრო გაატარებს საინფორმაციო კამპანიებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქალაქეთა თვითშეგნების ამაღლებისა და ჩართულობისთვის.

პოლიციის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება

განხორციელდება პოლიციის ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ექსპლოატაციაში შევა პოლიციის ახალი შენობები.

დანაშაულის პრევენციის, ოპერატიულ–სამძებრო საქმიანობისა და გამოძიების ეფექტიანად წარმართვისათვის, გაგრძელდება სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა. საზოგადოებრივი უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია დაკვირვების ელექტრონული საშუალებების გაზრდა. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს დანაშაულის ცხელ კვალზე გახსნას და მასზე სათანადო რეაგირებას.

ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა

ოჯახური კონფლიქტების ნიადაგზე ძალადობისა და დანაშაულის პრევენცია და მასზე რეაგირება პოლიციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს. აღნიშნული

მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის მსხვერპლთან ნდობაზე დამყარებულ თანამშრომლობას. ეს შესაძლებელს გახდის სამართალდამცველმა მოიძიოს ინფორმაცია გაუცხადებელი დანაშაულისა და იმ შემთხვევების შესახებ, რომლის გამხელისგან მსხვერპლი სხვადასხვა ფაქტორის გამო თავს იკავებს. დანაშაულზე დროული რეაგირება და მსხვერპლისთვის თანამშრომლობის სათანადო პირობების შექმნა შეამცირებს აღნიშნული დანაშაულის რიცხვს.

ოჯახური ძალადობის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირებისთვის მნიშვნელოვანია პოლიციის რიგებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა, სამართალდამცავთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

შსს-ს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. 2014 წელს შსს განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის „ქურდული სამყაროსა“ და სხვა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლას, შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებს, უწყებათშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას.

საგზაო უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესება

საქართველოს მთელს ტერიტორიაზე დამატებით დამონტაჟდება სიჩქარის მზომი რადარები. საპატრულო პოლიცია დამატებით აღიჭურვება თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მოხდება საავტომობილო გზების მაღალი რისკის მონაკვეთებზე ე.წ. „შავი წერტილების“ დადგენა, შესაბამისი უსაფრთხოების ზომების გატარების მიზნით.

2014 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სატვირთო და სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებების მძღოლების მიერ ექსპლოატაციის წესების დაცვაზე კონტროლს. „საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების მუშაობის შესახებ“ ევროპის შეთანხმების (AETR) შესაბამისად, განხორციელდა სათანადო ცვლილებები. ცვლილებების თანახმად საპატრულო პოლიცია რეაგირებას მოახდენს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაციის წესების დარღვევებზე, როგორებიცაა: მოძრაობის პარამეტრების საკონტროლო მოწყობილობების (ტაქოგრაფები) გარეშე ან გამორთული/გაუმართავი ტაქოგრაფებით მოძრაობა, მძღოლების მიერ შრომისა და დასვენების ხანგრძლივობის ნორმატივების დარღვევა და სხვა. ამ მიზნით, საპატრულო პოლიცია აღიჭურვება ტაქოგრაფის წამკითხველი მოწყობილობებით.

საპატრულო პოლიციის შესაძლებლობების გაუმჯობესება და მოქმედების არეალის გაზრდა

იგეგმება საპატრულო მარშრუტების დამატება იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც არ ვრცელდება საპატრულო პოლიციის მოქმედების არეალი. განახლდება საპატრულო პოლიციის ავტოპარკი, მოხდება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ექსპლოატაციაში შევა საპატრულო პოლიციის ახალი შენობები (საჩხერე და ჭიათურა). საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში შეიქმნება გურიის მთავარი სამმართველო.

საგზაო უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების პრევენციის მიზნით, გაიმართება საინფორმაციო კამპანიები საგზაო უსაფრთხოების წესების დაცვის აუცილებლობის, მათი დარღვევით გამოწვეული საფრთხეებისა და შედეგების შესახებ. აღნიშნული მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სკოლის მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას. ასევე, დაგეგმილია საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონის გაზრდა რადიოგადაცემების მეშვეობით.

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სახდელების სისტემის დახვეწა

განისაზღვრა ახალი სახდელები საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, მათი სიმძიმისა და საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით.

მსუბუქდება ადმინისტაციული სახდელები უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთისა და სიჩქარის გადაჭარბებისთვის, აგრეთვე ჯარიმისა და საურავების გადაუხდელობის გამო მართვის უფლების ჩამორთმევის პირობები. პარალელურად მკაცრდება სახდელები უწყვეტი ღერძულა ხაზის განმეორებით გადაკვეთისთვის, ავტოსატრანსპორტო საშუალების დამუქებული მინებითა და ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში მართვისთვის.

შსს-ს კრიმინალისტიკური ექსპერტიზის შესაძლებლობების გაუმჯობესება

იგეგმება საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოსთვის სხვადასხვა სახის ელექტრონული ხელსაწყოების, საექსპერტო კვლევისთვის საჭირო მასალისა და აღჭურვილობის, მოძრავი ლაბორატორიის შეძენა და ავტოპარკის განახლება. მოხდება მთავარი სამმართველოს რეგიონული ოფისების შენობებისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და საგზაო უსაფრთხოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობა მეტწილად დამოკიდებულია სამართალდამცავი სტრუქტურის თანამშრომელთა კვალიფიკაციაზე და უნარ–ჩვევებზე. კონკრეტული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს შესაბამის კომპეტენციას. აუცილებელია მუდმივი გადამზადება დანაშაულთან ბრძოლის ახალი მეთოდების ასათვისებლად. შსს დიდ ყურადღებას დაუთმობს თანამშრომელთა პროფესიონალიზმის ამაღლებას.

<u>დროებითი მოთავსების იზოლატორების ფუნქციონირების გაუმჯობესება</u>

2013 წლის მანძილზე შსს–ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარმა სამმართველომ, დაკავებულთა უფლებების დაცვისა და უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, არაერთი ცვლილება განახორციელა. საგრძნობლად გაიზარდა მონიტორინგის სამმართველოს ფუნქციები და შემადგენლობა. დროებითი მოთავსების იზოლატორების (დმი) საქმიანობა გახდა ტრანსპარენტული. 2013 წლის განმავლობაში, მონიტორინგის მიზნით, დმი-ებში სახალხო დამცველის წარმომადგენლებისა და უცხოელი უფლებადამცველების მიერ 90-ზე მეტი ვიზიტი განხორციელდა.

2012 წლის დეკემბერში, შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორის დერეფნებში დამონტაჟდა ვიდეოკონტროლის სისტემები. დაინერგა ახალი ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფა. აღნიშნული ინოვაცია დროებითი მოთავსების იზოლატორის ფუნქციონირებაზე დროის რეალურ რეჟიმში 24 საათიანი დაკვირვების საშუალებას იძლევა.

დმი-ში არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციისა და გამოვლენის მიზნით, შემუშავდა დაკავებულთა საჩივრებზე რეაგირების ეფექტიანი სისტემა. დაკავებულის პრეტენზიის საფუძველზე ხდება მონიტორინგის საამმართველოსა და პროკურატურის ინფორმირება.

2013 წელს გაიხსნა ახალი დროებითი მოთავსების იზოლატორები ფოთსა და ზესტაფონში. განხორციელდა თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორის სრული რეაბილიტაცია. აღნიშნული იზოლატორები სრულად აკმაყოფილებენ თანამედროვე სტანდარტებს. შესაბამისად, შეიქმნა დაკავებულთათვის გაუმჯობესებული სანიტარულ-ჰიგიენური და ღირსეული ყოფისთვის საჭირო პირობები.

გენდერული ბალანსის გაუმჯობესებისა და დაკავებულ ქალთა უფლებების დაცვის მიზნით, დროებითი მოთავსების იზოლატორებში 2012 წლის დეკემბრიდან ეტაპობრივად იზრდება თანამშრომელ ქალთა რაოდენობა.

პერმანენტულად ხორციელდება შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა ტრენინგები, პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის, პირველი ღამის სინდრომის გადალახვის, სპეციალური საჭიროებების მქონე პირების დახმარების, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების, ფსიქოლოგიური საჭიროებების გამოვლენისა და მათი შემდგომი დახმარების გაწევის კუთხით.

2013 წელს გამოიცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნულმა ბრძანებამ განსაზღვრა ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს სტატუსი, ძირითადი ამოცანები, ანგარიშვალდებულება და საქმიანობის საფუძვლები. ასევე ცვლილებები შევიდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესისა და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებაში, სადაც განისაზღვრა დროებითი მოთავსების იზოლატორებში ვიდეომეთვალყურეობის წარმოების წესი. გარდა ამისა, 2013 წელს შს მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა ქცევის ინსტრუქცია. აღნიშნული ინსტრუქცია შეიცავს კონკრეტულ აკრძალვებსა და ვალდებულებებს, მათ შორის, დისკრიმინაციის დაუშვებლობას, იზოლატორში მოთავსებული პირის წამების, მის მიმართ არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის, აგრეთვე ძალადობის ან მუქარის ნებისმიერი ფორმის გამოყენების აკრძალვას და სხვა.

2012 წლის ნოემბრიდან, დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულთა უფლებების ხელყოფის არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა.

გამოწვევები

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების აუცილებლობა

შსს–ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ზოგიერთი დროებითი მოთავსების იზოლატორი განთავსებულია მოძველებულ, ამორტიზებულ შენობებში, რის გამოც შეუძლებელია საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შენარჩუნება. დროებითი მოთავსების იზოლატორები განიცდიან კომპიუტერული ტექნიკისა და ფოტოაპარატურის ნაკლებობას, რაც დაბრკოლებას უქმნის იზოლატორების გამართულად

ფუნქციონირებას. გარდა ამისა, წინასწარი დაკავების საკნების უმრავლესობა საჭიროებს ინვენტარის განახლებას.

ქალ თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდის აუცილებლობა

შსს–ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს ქალ თანამშრომელთა რაოდენობის სიმცირე. ეს ართულებს შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორთა საქმიანობის ინსტრუქციების მოთხოვნათა დაცვას. ქალ თანამშრომელთა რაოდენობის ზრდას აფერხებს ქალთა მხრიდან ამ პოზიციებზე დასაქმების სურვილის ნაკლებობა.

დროებითი მოთავსების იზოლატორთა თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობა

დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლები დამატებით საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებისა და დაკავებულთათვის შესაბამისი დახმარების გაწევის კუთხით.

ნორმატიული ბაზის დახვეწის აუცილებლობა

დროებითი მოთავსების იზოლატორების ფუნქციონირების პროცესში გამოიკვეთა გარკვეული შეუთავსებლობა პრაქტიკულ საქმიანობასა და საკანონმდებლო ბაზას შორის. საჭირო გახდა ზოგიერთი არაფუნქციური ნორმის შეცვლა ან ამოღება დროებითი მოთავსების იზოლატორის საქმიანობის მარეგულირებელი ინსტრუქციებიდან.

დაკავებულთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების აუცილებლობა

შსს–ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარ სამმართველოში დასაქმებულია 3 (სამი) ექიმი–თანამშრომელი. ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში (გარდა ქ.თბილისის №1 და ქ.თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის დროებითი მოთავსების იზოლატორებისა) დაკავებულებს სამედიცინო დახმარებას უწევს სასწრაფო დახმარების ბრიგადები, რაც გარკვეულ სირთულეებს წარმოქმნის, როგორც პიროვნების პირველადი რეგისტრაციისას, ასევე მისი დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოფნის პერიოდში.

2014 წლის პრიორიტეტები

დაკავებულთა უფლებების დაცვა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულთა უფლებების დაცვასა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

დაკავებულთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, დაგეგმილია ექვს რეგიონულ დმი-ში (ზუგდიდის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის, თელავის და გორის) 18 ექიმი-თანამშრომლის დასაქმება და მედიკამენტების მარაგის შექმნა. აღნიშნული ცვლილების საშუალებით შესაძლებელი გახდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების გამოძახებების 50%-ით შემცირება. ეს, თავის მხრივ, დადებითად აისახება როგორც იზოლატორთა საქმიანობის ეფექტიანობაზე, ასევე დაკავებულთა სამედიცინო მომსახურების ხარისხზე.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

შსს–ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველო 2014 წელს გეგმავს თანამედროვე სტანდარტების ახალი დროებითი მოთავსების იზოლატორების გახსნას თელავში, ზუგდიდსა და ქუთაისში. აღნიშნული იზოლატორები ჩაანაცვლებენ ამჟამად მოქმედ დროებითი მოთავსების იზოლატორებს. ქვეყნის მასშტაბით განხორციელდება დროებით მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. იზოლატორებს აგრეთვე გადაეცემათ თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა და პირველადი სამედიცინო დახმარების კომპლექტები.

თანამშრომელ ქალთა რაოდენობის გაზრდა

კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის, იზოლატორის გამართულად ფუნქციონირებისა და გენდერული ბალანსის გაუმჯობესების მიზნით, შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველო 2014 წელს განაგრძობს ქალ თანამშრომელთა რაოდენობის ზრდას.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

შსს–ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორიგნის მთავარი სამმართველო 2014 წელს გეგმავს იზოლატორების თანამშრომელთა ტრენინგს დაკავებულთათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევის, მათი ფსიქოლოგიური პრობლემების განსაზღვრის და სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის კუთხით. დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომლებს ასევე ჩაუტარდებათ ზოგადი ტრენინგები დაკავებულთა ჯანმრთელობის დაცვის (ხელშეწყობა და პრევენცია) და დაკავებულთა მხრიდან თვითმკვლელობის, თვითდაზიანების პრევენციისა და ფსიქოზის ადრეული ნიშნების იდენტიფიკაციის შესახებ. დაგეგმილია ექიმ–თანამშრომელთა და მონიტორინგის სამმართველოს თანამშრომელთა გადამზადება.

2014 წელს იგეგმება სპეციალური კურსის შემუშავება, რომლის ფარგლებში დმი-ს თანამშრომლები შეისწავლიან იზოლატორის ფუნქციონირების პრინციპებს, თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებს და დაკავებულთათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებებს. აღნიშნული კურსის ჩატარებას უზრუნველყოფს შსს-ს აკადემია.

ნორმატიული ბაზის დახვეწა

უცხოელი ექსპერტის დახმარებით, იზოლატორების თანამშრომელთათვის შემუშავდება სტანდარტული სამოქმედო პროცედურები (SOP). ასევე დაგეგმილია ცვლილებების შეტანა დროებითი მოთავსების იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელ ინსტრუქციებში.

სასაზღვრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

საქართველოს საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ–ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. ქვეყანაში სასაზღვრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხორციელდება საზღვრის ინტეგრირებული მართვის პრინციპების გამოყენებით. აღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან სახელმწიფო საზღვარზე ორის ნაცვლად სამი ქვეუწყებაა წარმოდგენილი: ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური და შსს–ს ორი დანაყოფი – საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და სასაზღვრო პოლიცია.

საქართველოს სასაზღვრო გამტარი პუნქტები სრულად ითვალისწინებს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, დაპროექტებულია ერთგვაროვანი მიდგომით, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სახელმწიფო საზღვარზე ტვირთებისა და მგზავრთა უსაფრთხო და ორგანიზებულ გადაადგილებას. ყველა გამტარი პუნქტი აღჭურვილია რადიაციის დეტექტორით, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს რადიოაქტიური ნივთიერებების კონტრაბანდის შესაძლებლობას. პუნქტები აგრეთვე აღჭურვილია სამგზავრო დოკუმენტების ინსპექტირებისა და რეგისტრაციის თანამედროვე აპარატურით, ისევე როგორც შესაბამისი კომპიუტერული პროგრამებით, რომელთა გამოყენებაც შსს–ს ცენტრალური მონაცემთა ბაზის მეშვეობით ე.წ. „ონლაინ რეჟიმში“ ფიზიკური პირების მყისიერ ვერიფიკაციას უზრუნველყოფს. ყველა სასაზღვრო გამტარ პუნქტში დამონტაჟებულია სამგზავრო დოკუმენტების მეორადი ინსპექტირების ლაბორატორიები, რაც დამატებითი ექსპერტიზის გარეშე პირდაპირ სახელმწიფო საზღვარზე გაყალბებული დოკუმენტების გამოვლენის საუკეთესო პირობას ქმნის.

გასული წლების განმავლობაში სახმელეთო საზღვრის კუთხით, ძირითადი ყურადღება მიმართული იყო სასაზღვრო გამტარი პუნქტების განვითარებისა და მოდერნიზაციისკენ. შესაბამისად, სახმელეთო საზღვრის (ე.წ. „მწვანე საზღვარი“) დაცვისა და კონტროლის შესაძლებლობებიც შედარებით ნაკლებად ვითარდებოდა.

2013 წელს სასაზღვრო ინფრასტრუქტურაში ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მიღწევები აღინიშნა. კაპიტალურად რეაბილიტირდა სასაზღვრო სექტორების შენობები. სახელმწიფო საზღვრის სხვადასხვა მონაკვეთებზე სასაზღვრო ბლოკ–პოსტებისა და სექტორების შენობების მოსაწყობად განთავსდა საცხოვრებელი კონტეინერები, ხოლო სასაზღვრო კონტროლის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით,

მოეწყო საგუშაგო ჯიხურები და სათვალთვალო კოშკურები. აღსანიშნავია სექტორებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, ჰიდროლოგიური ჭაბურღილების მოწყობა, მაღალი გამავლობის სპეცტექნიკითა და საავიაციო საშუალებებით უზრუნველყოფა, რაც საგრძნობლად აუმჯობესებს მესაზღვრეთა სამსახურის გავლის პირობებსა და შესაბამისად, სასაზღვრო კონტროლის ხარისხს. აქვე აღსანიშნავია, რომ 2013 წელს სასაზღვრო მდინარეებზე განხორციელდა დამბების მშენებლობა, ნაპირის ეროზიისა და საქართველოს მიწების მდინარის გაღმა დარჩენის თავიდან აცილების მიზნით.

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვა ერთადერთ საზღვაო ძალოვანი უწყებაა. სანაპირო დაცვის უპირველესი ამოცანაა საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და ექსკლუზიურ ზონაში სამართალდაცვითი ღონისძიებების გატარება. იგი პასუხისმგებელია საზღვაო საძიებო-სამაშველო ოპერაციებზე, ხოლო ომის შემთხვევაში ახორციელებს სამხედრო ფლოტის ფუნქციებს. ინფრასტრუქტურა მოდერნიზებული და გამართულია, სანაპირო დაცვას გააჩნია მცურავი საშუალებების მიმდინარე მომსახურების საკუთარი ძალებით განხორციელების შესაძლებლობა. ფუნქციონირებს თანამედროვე სარადარო სადგურები, რომელთა დაფარვის რადიუსიც ვრცელდება საქართველოს მთელს სანაპირო ზოლზე, ტერიტორიულ წყლებსა და ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონაში. აღსანიშნავია, რომ სარადარო სადგურების მოდერნიზაცია და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მუდმივად ხორციელდება. 2013 წლის აპრილიდან სუფსაში მიმდინარეობს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტებისა და სახელმწიფო სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის მშენებლობა.

გამოწვევები

დაუდგენელი სახელმწიფო საზღვრები

საქართველოსთვის მეზობელ სახელმწიფოებთან (რუსეთის ფედერაციასთან, სომხეთის რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან) დაუდგენელი სახელმწიფო საზღვრები მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ეს მესაზღვრეთა ყოველდღიურ საქმიანობაში ხელისშემშლელი ფაქტორია.

სასაზღვრო სექტორების ინფრასტრუქტურის გაუმართაობა

სასაზღვრო სექტორების ინფრასტრუქტურის გამართულობა უმნიშვნელოვანესია პირადი შემადგენლობისათვის სათანადო სამუშაო პირობების შესაქმნელად, ინფრასტრუქტურის მოწყობით გაუმჯობესდება სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და კონტროლის ხარისხი.

სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთის რთული რელიეფი

მთიანი რელიეფის გამო სამართალდამცავი ორგანოებისათვის სახელმწიფო საზღვრის ზოგიერთი მონაკვეთი რთულად მისადგომია, რაც ართულებს პირადი შემადგენლობის როტაციასა და ლოგისტიკურ უზრუნველყოფას.

ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები

სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში განვითარებული ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფების დროს, აუცილებელი ხდება განსაკუთრებული რეაგირება. ამ მხრივ, აუცილებელია მეზობელ სახელმწიფოთა სასაზღვრო სამსახურებთან პრევენციული ღონისძიებების კოორდინირება.

საქართველოს საზღვაო სივრცეში არსებული საფრთხეები

საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის აკვატორიის ისეთი უკანონო საქმიანობის გამოყენებისათვის, როგორიცაა: ტერორიზმი, ნარკობიზნესი, არალეგალური მიგრაცია, იარაღის, საბრძოლო მასალების, რადიოაქტიური, მომწამვლელი და ფსიქოტროპული ნივთიერებების, სხვა აკრძალული საგნებისა და ტვირთების შეტანა-გადატანა, მეკობრეობა, უკანონო თევზჭერა, ზღვის გარემოს დაბინძურება და სხვა.

მეზობელ ქვეყნებში კონფლიქტური კერების არსებობა

კვლავაც დღის წესრიგშია მეზობელი ქვეყნების კონფლიქტური კერებიდან საქართველოს ტერიტორიაზე ლტოლვილთა ნაკადებისა და მათთან ერთად ქვეყნის ტერიტორიაზე შეიარაღებული ჯგუფების შემოღწევის საშიშროება.

2014 წლის პრიორიტეტები

სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების გაუმჯობესება

სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთის ეფექტიანი მართვის განსახორციელებლად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეზობელ სახელმწიფოებთან (რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, სომხეთის რესპუბლიკა) სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის პროცესს. სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, ამ მიმართულებით აუცილებელია დელიმიტაცია-დემარკაციის სახელმწიფო კომისიების მუშაობის გააქტიურება. სასაზღვრო ქვედანაყოფების (სექტორები, სასაზღვრო პოსტები) უმრავლესობის ინფრასტრუქტურა საჭიროებს ახალი შენობა-ნაგებობებით უზრუნველყოფას, ხოლო არსებული - რეაბილიტაციას. სახელმწიფო საზღვრის მთელს პერიმეტრზე, საზღვრის დაცვის ხასიათიდან გამომდინარე, ტექნიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით მოსაწყობია სასაზღვრო თვალთვალის, ელექტრონული დაკვირვებისა და კავშირგაბმულობის სისტემები.

სახელმწიფო საზღვარზე სასაზღვრო სამსახურის, სასაზღვრო ოპერაციის, სახელმწიფო საზღვრის დამრღვევთა ძებნისა და დევნის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, აუცილებელია კინოლოგიური სამსახურის ჩამოყალიბება და მისი განვითარება.

სახელმწიფო საზღვრის რთული რელიეფიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასაზღვრო ავიაციას. ავიაციის გამოყენების გარეშე შეუძლებელია ძნელად მისადგომი სასაზღვრო პოსტების მომარაგება და პერსონალის როტაცია. გარდა ამისა, ავიაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ძებნა–გადარჩენის ოპერაციებისა და საჰაერო პატრულირების განსახორციელებლად.

სექტორების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

სახელმწიფო საზღვრის კონტროლირებადი სივრცის მონიტორინგის, კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, იგეგმება სასაზღვრო სექტორებისთვის ახალი ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა, დასაცავი მონაკვეთებისათვის სათვალთვალო კოშკურების მოწყობა და არსებულის რეაბილიტაცია, აგრეთვე საგუშაგოებისა და პოსტების ელექტრიფიკაციის მიზნით, ჯამში 120 კმ-დე სიგრძის ელექტრო სადენების დამონტაჟება. ეს საგრძნობლად გააუმჯობესებს სამუშაო პირობებს სასაზღვრო პოლიციის გარკვეულ ქვედანაყოფებში.

რადიოკავშირის სისტემის მოდერნიზაცია

პრიორიტეტულია კავშირგაბმულობის სისტემის მოდერნიზაცია და სახელმწიფო საზღვრის სრული პერიმეტრის დაფარვა სათანადო რადიოკავშირის საშუალებებით. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბაზისო მაღალსიჩქარიანი საკომუნიკაციო ქსელის განვითარებას, სასაზღვრო სექტორებს შორის დროის რეალურ რეჟიმში ინფორმაციისა და მონაცემების გაცვლას.

სანაპირო დაცვის შესაძლებლობების შემდგომი გაუმჯობესება

აუცილებელია სანაპირო დაცვის შესაძლებლობების შემდგომი განვითარება, ახალი, უფრო ეფექტური მცურავი საშუალებებით აღჭურვა და პირადი შემადგენლობის მუდმივი გადამზადება. საქართველოს პარტნიორი სახელმწიფოების ხელშეწყობით, საქართველოს საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ბაზაზე იქმნება სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტებისა და სახელმწიფო სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ერთობლივი ოპერაციების მართვის ცენტრი, რომლის ინფრასტრუქტურაც მშენებლობის პროცესშია. ცენტრი იქნება საქართველოს საზღვაო სივრცეში ერთობლივი საზღვაო ოპერაციების საკონსულტაციო და მაკოორდინირებელი ორგანო. იგი აღიჭურვება მართვის, კონტროლის, კომუნიკაციის, ზღვაზე დაკვირვების სენსორული ტექნოლოგიების შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკით და უზრუნველყოფს სახელმწიფო ინტერესების დაცვას, საქართველოს საზღვაო სივრცეში არსებული რისკებისა და საფრთხეების წინააღმდეგ ეფექტიან

ბრძოლას, როგორც შიდაუწყებრივ, ასევე უწყებათშორის და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავებას.

ერთობლივი მართვის ცენტრის ძირითადი მიზნებია: საქართველოს საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის ერთობლივი კონტროლი, ვითარების ასახვისა და საზღვაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლის ერთიანი სისტემის შექმნა და მონაწილე უწყებების მიერ ერთობლივ საზღვაო ოპერაციებსა და კრიზისულ სიტუაციებში შეთანხმებულ მოქმედებათა დაგეგმვა, განხორციელება, გადაწყვეტილების მიღება და რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მოქნილი მექანიზმის ჩამოყალიბება.

უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, სანაპირო დაცვის ბაზაზე საგრძნობლად განვითარდა მცურავი საშუალებების სარემონტო შესაძლებლობები. 2014 წელს დასრულდება გემსარემონტო სახელოსნოს აღჭურვა და შესაბამისი პერსონალის გადამზადება, აგრეთვე დაიწყება ზღვიდან მცურავი საშუალებების ამოსაღები ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რომლის დასრულებაც წლის ბოლომდე იგეგმება. 2014 წელსვე დაიწყება ანაკლიაში გემსაყუდელისა და ბათუმში სანაპირო დაცვის ახალი სადგურის მშენებლობა, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს ოპერატიულობის ხარისხს.

პირადი შემადგენლობის მომზადება/გადამზადება

უმცროს და უფროს ოფიცერთა შემადგენლობის მომზადება/გადამზადების უწყვეტი პროცესის განსახორციელებლად აუცილებელია კარიერული ზრდის თანამედროვე მოდელის დანერგვა/განვითარება.

სანაპირო დაცვის პირადი შემადგენლობის მომზადება/გადამზადება მუდმივი პროცესია. ბათუმისა და ფოთის ინგლისური ენის ლაბორატორიებში საკუთარი ძალებით ხორციელდება პერსონალის მომზადება სანავიგაციო/საზღვაო სპეციფიკის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია პირადი შემადგენლობის მომზადების გაგრძელება შსს-ს აკადემიასა და ბათუმის საზღვაო აკადემიასთან თანამშრომლობით.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით და საერთაშორისო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან ბრძოლის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. სასაზღვრო პოლიციის მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა FRONTEX-თან (ევროკავშირის გარე საზღვრების დაცვის ორგანიზაცია) და მისი აქტიური მონაწილეობა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების სასაზღვრო/სანაპირო დაცვის სამსახურების თანამშრომლობაში ხელს შეუწყობს სახელმწიფო საზღვარზე არსებული პრობლემების თავიდან აცილებას.

საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო პოლიტიკის განსახორციელებლად, სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების დასარეგულირებლად და სასაზღვრო ინციდენტების მოსაგვარებლად, საზღვრის გარკვეულ უბნებზე მნიშვნელოვანია სასაზღვრო წარმომადგენლების ინსტიტუტის შექმნა. მისი მიზანი იქნება მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით

განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში კონტროლის განხორციელება სახელმწიფო საზღვრის რეჟიმთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებების მოთხოვნათა შესრულებაზე.

სასაზღვრო–სამიგრაციო კონტროლის მექანიზმების დახვეწა

სასაზღვრო–სამიგრაციო კონტროლის გაუმჯობესებისა და სამგზავრო დოკუმენტების ინსპექტირებისას საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიზნით, მიმდინარეობს მუშაობა პროექტზე ,,სამგზავრო დოკუმენტების ინსპექტირების წესი“. მნიშვნელოვანია ამგვარი დოკუმენტების შემუშავება და დანერგვა, თითოეული სასაზღვრო გამტარი პუნქტისთვის სტანდარტული სამოქმედო პროცედურების შემუშავების პარალელურად.

<u>საგანგებო სიტუაციების პრევენცია და ეფექტიანი მართვა</u>

საქართველო, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, განაგრძობს საგანგებო სიტუაციების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებას. „ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებზე რეაგირების ეროვნული გეგმა“ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს სხვადასხვა უწყებების ძალისხმევის კოორდინაციისათვის. ის უზრუნველყოფს მათი შესაბამისი როლების განსაზღვრას მოსალოდნელ საგანგებო სიტუაციების რისკების გამოვლენის, შეფასების, პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების პროცესში.

ეროვნულ დონეზე საგანგებო სიტუაციების პრევენციასა და რეაგირების კოორდინაციაზე და ომის შემთხვევაში სამოქალაქო თავდაცვის უზრუნველყოფაზე შსს–ს სტრუქტურაში საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტია პასუხისმგებელი. ის აგრეთვე პასუხისმგებელია კატასტროფებზე რეაგირების ეროვნული გეგმით გათვალისწინებული ფუნქციების ამოქმედებასა და საერთო კოორდინაციაზე.

დეპარტამენტის შემადგენლობაში მორეაგირეთა ქვედანაყოფიც შედის. აღნიშნული ქვედანაყოფის დაქვემდებარებაში სხვადასხვა ტიპის სპეციალიზებულ მორეაგირეთა ჯგუფებია გაერთიანებული: ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) ჯგუფი, მეხანძრე–მაშველთა, სამთო–სამაშველო, საძიებო–სამაშველო, საწყლოსნო, სამედიცინო და კინოლოგიური ჯგუფები. თითოეული მათგანი აღჭურვილია საჭირო, სტანდარტიზებული ხელსაწყოებითა და ტრანსპორტით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთიან რეგიონებში ტურისტული ნაკადის ზრდასთან ერთად, ტურისტულად აქტიურ ზონებში, აუცილებლობას წარმოადგენდა კვალიფიციური და სათანადოდ აღჭურვილი სამთო–სამაშველო დანაყოფების ჩამოყალიბება. წლების განმავლობაში ეს პრობლემა გადაუჭრელი

რჩებოდა. შესაბამისად, საგრძნობლად დიდი იყო შემთხვევებზე რეაგირების დრო და ხდებოდა ტექნიკური საშუალებების რესურსის ფუჭი ხარჯვა. აღნიშნული პრობლემა 2013 წელს გადაწყდა. დღეისათვის, მესტიასა და სტეფანწმინდაში უკვე ფუნქციონირებს სამაშველო ქვედანაყოფები, რომლებიც უზრუნველყოფილია სათანადო სამუშაო პირობებით, აღჭურვილობითა და ტექნიკით.

დეპარტამენტი და შსს–ს აკადემია მორეაგირეთათვის უზრუნველყოფს სპეციალიზებულ მომზადება/გადამზადების კურსს. გარდა ამისა, საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლები მუდმივად მონაწილეობენ საერთაშორისო პარტნიორების მიერ მხარდაჭერილ ტრენინგებში, სწავლება–ვარჯიშებსა თუ სასწავლო ვიზიტებში. ამასთან, დეპარტამენტი ახორციელებს ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებელ პირთა და საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალისა და სკოლის მოსწავლეთა პერიოდულ მომზადება/გადამზადებას საგანგებო სიტუაციების მართვის საკითხებში.

შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 12 ივლისის №479 ბრძანებით, შეიქმნა საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია მოსახლეობის უსაფრთხოების მაქსიმალური უზრუნველყოფისა და შესაძლო ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა ტიპის ზემოქმედებისგან დაცვისათვის რეკომენდაციათა პაკეტის შემუშავებაზე.

საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში შსს აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. 2012 წლის აგვისტოდან 2013 წლის ივლისის პერიოდში განხორციელდა ,,საჯარო სამსახურების დაძმობილების პროგრამა შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტისთვის“ (TWINNING) პროექტი. პროექტის ფარგლებში განხორციელდა კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული ხელს უწყობს შსს–ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის პრევენციის მექანიზმების გაუმჯობესებასა და საზოგადოების ცნობიერების ზრდას რისკების გამოვლენის, პრევენციისა და რეაგირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. ევროკავშირის მხარდაჭერით, 2011 წლის ივნისიდან ხორციელდება აღმოსავლეთ პარტნიორობის საფლაგმანო ინიციატივის პროგრამა „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნა და პრევენცია“ (PPRD East). ამგვარი პროექტების განხორციელება უმნიშვნელოვანესია საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით.

გამოწვევები

ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის გაუარესება

ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები საფრთხეს უქმნის საქართველოს ეკოსისტემას, მის ბიომრავალფეროვნებასა და მოქალაქეების კეთილდღეობას. საქართველოს სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარეობა პირდაპირ კავშირშია ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეულ საფრთხეებთან. განსაკუთრებულ

ყურადღებას იმსახურებს ისეთი სტიქიური მოვლენები, როგორებიცაა: მიწისძვრა, წყალდიდობა, ზვავი, მეწყერი, ღვარცოფი, ტყის ხანძრები, გვალვა, სეტყვა და ეროზიული პროცესები.

ტექნოგენური კატასტროფების საშიშროება

ქვეყნის ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, იზრდება ტექნოგენური კატასტროფების საშიშროება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიტიკული ინფრასტრუქტურის, ქარხნების, ენერგომაგისტრალების, საკომუნიკაციო ხაზებისა და ა.შ. ტექნიკურად გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მაღალი რისკის შემცველია ქიმიური ნივთიერებების გაჟონვა, ჰიდროდინამიკური ავარიები, ავარიები მაგისტრალურ მილსადენებზე და სარკინიგზო მაგისტრალებზე.

საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი

პირველადი რეაგირების შესაძლებლობების განვითარებასთან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოწყვლად რეგიონებში, არსებული რისკების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, რათა მაქსიმალურად მოხდეს საგანგებო სიტუაციებისას შედეგების მინიმიზაცია.

ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული ხარვეზები

დღეისათვის, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა სახანძრო დაცვა და საგანგებო სიტუაციების მართვა, ძირითადად ფუნქციონირებს ადგილობრივ თვითმმართველობებში, სადაც ფაქტობრივად მოშლილია ინფრასტრუქტურა, მწყობრიდან არის გამოსული სახანძრო-სამაშველო ტექნიკა, არ არსებობს ერთიანი მართვის სისტემები და აუცილებელი სამოქმედო გეგმები.

მატერიალურ–ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების აუცილებლობა

შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური შესაძლებლობების არსებობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს რეაგირების ხარისხის გაუმჯობესებას. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება საგრძნობლად ამცირებს დატვირთვას პირად შემადგენლობაზე. ასევე, მცირდება რეაგირებისათვის საჭირო დრო და მაქსიმალურად უზრუნველყოფილია მსხვერპლთა სიცოცხლის შენარჩუნება. ამ კუთხით აღსანიშნავია შესაბამისი საწვრთნელი პირობების შექმნის აუცილებლობა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მორეაგირეთა პროფესიონალიზმის ამაღლებასა და ეფექტიანობის გაზრდას.

შესაბამისი ნორმატიული აქტების დახვეწის აუცილებლობა

აუცილებელია საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში არსებული საკანონმდებლო თუ ნორმატიული აქტების შესაბამისობაში მოყვანა. ეს ხელს

შეუწყობს მზადყოფნის, პრევენციისა და რეაგირების მექანიზმების ეფექტიან გამოყენებას.

2014 წლის პრიორიტეტები

რისკის რუკების განვითარება

წინმსწრები საფრთხეებისა და მოწყვლადობის (მოსახლეობის სიმჭიდროვე, არსებული რესურსები, რეაგირების ძალები) მიხედვით, უწყვეტად მიმდინარეობს მომზადებული რისკის რუკების სრულყოფა და განვითარება. მნიშვნელოვანია, ზემოხსენებული საფრთხეების საფუძველზე, გეოინფორმაციული (GIS) ტექნოლოგიების გამოყენებითა და რეგიონული მასშტაბის გათვალისწინებით, რისკის რუკების შემდგომი დახვეწა. ამ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია შესაბამისი ტექნოლოგიური საშუალებებით უზრუნველყოფა.

პრევენციისა და რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესება

სამაშველო–სახანძრო საბაზისო მომზადება რეაგირების პროცესის სწორად წარმართვის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. რეგიონული მაშველებისა და მუნიციპალური მეხანძრე–მაშველების საბაზისო მომზადების გარდა, შსს–ს პრიორიტეტია უფრო მაღალი დონის სპეციალური პროფესიული მომზადება/გადამზადების შესაძლებლობების განვითარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია შსს–ს აკადემიის ბაზაზე არსებული შესაძლებლობის უფრო აქტიური გამოყენება და შემდგომი დახვეწა. აგრეთვე, მნიშვნელოვანია რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვისა და მუნიციპალური სახანძრო–სამაშველო სამსახურების ხელმძღვანელთა და ადგილობრივი თვითმმართველობების პასუხისმგებელ პირთა პერიოდული ტრენინგი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და შესაძლებლობების შექმნა პროფესიული მომზადება/გადამზადების კუთხით. ამერიკელი პარტნიორების დახმარებით, 2014 წელს განხორციელდება პროექტი, რომლის ფარგლებშიც სამაშველო ბაზის ტერიტორიაზე სასწავლო ცენტრის მშენებლობა იგეგმება. პროექტის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზრდება ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეებზე შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის შესაძლებლობები მეხანძრე–მაშველების მომზადება/გადამზადების კუთხით.

საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ორგანიზებით, გაგრძელდება მუნიციპალიტეტების საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შემუშავება. ამ მიზნით, ჩატარდება სპეციალური სასწავლო კურსები ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი წარმომადგენლებისათვის გეგმების მომზადებისა და საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის საკითხებზე. შესაბამისი გეგმების გამოცდის

თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტებში დეპარტამენტის მიერ სამაგიდო ვარჯიშების რეგულარული განხორციელება.

ამ მიმართულების გაძლიერებისა და შემდგომი განვითარებისათვის, მიზანშეწონილია სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების უფლებამოსილი პირების მომზადება და გადამზადება. ამ პროცესის უმნიშვნელოვანეს ნაწილს ერთობლივი/საერთაშორისო სამაგიდო ვარჯიშების განხორციელება წარმოადგენს.

მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება არსებული რისკების, პრევენციისა და რეაგირების კუთხით

რეგიონული და მუნიციპალური სახანძრო–სამაშველო სამსახურების წარმატებით შექმნის შემდეგ, მიზანშეწონილია მეტი ყურადღება დაეთმოს მოხალისე–მაშველთა ჯგუფების ჩამოყალიბებას. ამით ისინი შეძლებენ დაზიანების კერაში პირველად რეაგირებას და აუცილებლობიდან გამომდინარე პროფესიონალი მაშველებისათვის დახმარების აღმოჩენას.

საგანგებო სიტუაციებისას უსაფრთხოების შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით, სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრობლობით, დაგეგმილია მოსახლეობის სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის შესაბამისი პროგრამების განხორციელება და მხარდაჭერა. ამ მიმართულებით დაგეგმილია ოჯახების მიერ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შესახებ ბროშურისა და სოციალური ხასიათის მოკლე ვიდეორგოლების შექმნა, რომლებშიც ასახული იქნება საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათი თავიდან აცილებისა და რეაგირების საკითხები. მოსახლეობის გათვითცნობიერებისთვის, მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობისათვის რეკომენდაციებისა და სასწავლო მასალების შემუშავება და მათი დანერგვის პროცესის მხარდაჭერა.

სამოქალაქო თავდაცვისა და კატასტროფების მართვის კუთხით კანონმდებლობის დახვეწა

აღმასრულებელი ხელისუფლების სუბიექტებს შორის კომპეტენციების გადანაწილების შედეგად, ასევე საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და პრევენციის კომპონენტის გაძლიერებისთვის, საჭიროა საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში არსებული ნორმატიული აქტების ადეკვატური კორექტირება და შემდგომი დახვეწა. ეს გულისხმობს საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში არსებული კანონების სრულყოფას, სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონის პროექტის შემუშავებას, ასევე, არსებულ ეროვნული რეაგირების გეგმაში პრევენციისა და მზადყოფნის კომპონენტების გააქტიურებასა და საგანგებო დახმარების ფუნქციების ოპტიმიზაციას და სხვა. კანონმდებლობაში აღნიშნული ცვლილებების განხორციელება ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის მიზნით საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოების ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმების შექმნასა და ამოქმედებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახანძრო დაცვის სამსახურებში ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების ორგანიზებასა და განხორციელების წესის შესრულების, აგრეთვე ტაქტიკური და პროფესიული მომზადების სრულყოფაზე კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, დაგეგმილია შესაბამის ნორმატიულ აქტებში ცვლილება-დამატების განხორციელება და ზოგადად, ქვეყანაში სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, შესაბამისი ნორმატიული აქტების მომზადება.

საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის რეფორმა

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში შექმნილი მდგომარეობა ცალსახად მიუთითებს მისი რეფორმის აუცილებლობაზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ევროპელი ექსპერტების რეკომენდაციებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე, შეიმუშავა სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემის ისეთი მოდელი, რომელიც მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს სისტემის მდგრად მუშაობასა და განვითარებას.

პროექტი ითვალისწინებს შსს-ში საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს შექმნას, რომელიც იმავდროულად იქნება ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების განმახორციელებელი ძირითადი დანაყოფი. პროექტის ძირითადი მიზნებია საგანგებო სიტუაციების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, სახანძრო დაცვის დანაყოფების შექმნა, საგანგებო სიტუაციების პრევენციის მექანიზმების შემუშავება, შედეგების ლიკვიდაცია და სხვა.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარება

ქბრბ საფრთხეების კუთხით, საქართველო და ზოგადად, სამხრეთ კავკასიის რეგიონი საკმაოდ არასტაბილურია. ამასთან, საქართველოს სატრანზიტო ფუნქციიდან გამომდინარე, ქვეყანაში მატულობს მგზავრთა ნაკადი და ტვირთბრუნვა, რაც, თავის მხრივ, ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ჯგუფების დაინტერესების საფუძველს წარმოადგენს. რეგიონსა და ქვეყანაში განთავსებულია მრავალი მაღალი რისკის მქონე ობიექტი, რომელიც სათანადო მიდგომებსა და კონტროლს საჭიროებს.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მიერ დაფიქსირებულ იქნა ქბრბ საფრთხეების მიმართ განსაკუთრებული მიდგომების ჩამოყალიბების აუცილებლობა. აღნიშნული აგრეთვე განხილულ იქნა აშშ–საქართველოს სტრატეგიული ქარტიის მოლაპარაკებებისა და ევროკავშირთან არსებულ სხვადასხვა ფორმატების ფარგლებში. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №220 განკარგულების საფუძველზე, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების სტრატეგიის შემუშავების მიზნით, ჩამოყალიბდა უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის მიერ

უკვე შემუშავებული დოკუმენტის დამტკიცებით საქართველოში ქბრბ საფრთხეებთან მიმართებაში ერთიანი პოლიტიკა ჩამოყალიბდება.

სტრატეგიის პროექტი ეხება აღნიშნულ სფეროში არსებულ გამოწვევებს, პრიორიტეტებსა და იმ კომპლექსურ ღონისძიებებს, რომელთა გატარებაც საჭიროა არსებული პრობლემატური საკითხების მოწესრიგებისთვის. დოკუმენტის უმთავრესი მიზანია სტრატეგიულ დონეზე საქართველოს წინაშე მდგარი ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირება და გამოწვეული ზიანის შემსუბუქება.

შსს-ს აკადემიის ტერიტორიაზე გაიხსნა „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) რისკების შემცირების გამოცდილების გაზიარების ცენტრი“-ს თბილისის რეგიონული სამდივნო. აღნიშნული პროექტი წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივას, რომელიც ხორციელდება ევროკომისიის ერთიანი კვლევითი ცენტრის (JRC) და გაერო-ს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევის ინსტიტუტის (UNICRI) ერთობლივი ძალისხმევით. არსებული უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, აღნიშნული სამდივნოს თბილისში განთავსება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოსა და მთელი რეგიონისთვის.

შსს-ს მიერ, ქბრბ პოლიტიკის მიმართ ინოვაციური მიდგომებიდან გამომდინარე, საერთაშორისო დონეზე გადაწყდა 2014 წლის ივნისში, თბილისში, „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული მეცნიერებისა და შედეგების მართვის კონგრესის“ ჩატარება. აღნიშნული ღონისძიების შინაგან საქმეთა სამინისტროს მასპინძლობით ჩატარება, კიდევ ერთხელ ადასტურებს მთავრობისა და კერძოდ სამინისტროს მიერ ქბრბ უსაფრთხოების კუთხით არჩეული კურსის სწორ მიმართულებას.

გამოწვევები

რეგიონსა და ქვეყანაში არსებული მაღალი საფრთხის შემცველი ობიექტები

მეზობელ სომხეთში მდებარე ატომური ელექტროსადგური, მოძველებული ტექნოლოგიებისა და სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარეობის გამო, საქართველოსთვის საკმაოდ დიდ საფრთხეს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ რეგიონში განთავსებულია მრავალი მიტოვებული, შესუსტებულ კონტროლქვეშ მყოფი ობიექტი, სადაც დღესაც შესაძლებელია მოიპოვებოდეს გარკვეული რადიოაქტიური თუ ქიმიური საფრთხის შემცველი ნივთიერებები.

ქბრბ ნივთიერებების უკანონო ტრანზიტი

საქართველოს სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ მაღალია იმ რისკის ფაქტორი, რომელიც უკავშირდება ქბრბ ნივთიერებების უკანონო ტრანზიტს. მნიშვნელოვანია მსგავსი ფაქტების ადრეული გამოვლენა და ოპერატიული ღონისძიებების გატარება პრევენციის მიზნით.

ბიოლოგიური საფრთხეები

ბიოლოგიური საფრთხეების თვალსაზრისით, კავკასიის რეგიონი წარმოადგენს ენდემურ არეალს გარკვეული ტიპის განსაკუთრებით საშიში პათოგენებისთვის, როგორებიცაა, მაგალითად, ჯილეხი და ცოფი. შესაბამისად, ქვეყანაში და რეგიონში მნიშვნელოვანია ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება ბიოუსაფრთხოების თემატიკაზე. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოში განთავსებულია ბიოუსაფრთხოების მე–3 დონის ლაბორატორია, რომლის არსებობაც სათანადო ფიზიკური დაცვის უზრუნველყოფისა და ინციდენტის შემთხვევაში რეაგირების განსაკუთრებული რეჟიმის აუცილებლობას ქმნის.

2014 წლის პრიორიტეტები

ქბრბ უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს ჩამოყალიბება

ქბრბ სტრატეგიის განხორციელებაზე ზედამხედველობისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, მთავრობის განკარგულებით ჩამოყალიბდება უწყებათშორისი საბჭო, რომელიც ქბრბ სტრატეგიის შემუშავებისთვის შექმნილ სამუშაო ჯგუფს ჩაანაცვლებს. საბჭოს შსს უხელმძღვანელებს და იგი დაკომპლექტდება ყველა კომპეტენტური უწყებისა თუ ქბრბ სფეროში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებით.

ქბრბ საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავება

ქბრბ საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შემდეგ აუცილებელია შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება. აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაძლებელი გახდება საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება, შესაბამისი სტანდარტების შემუშავება, არსებული შესაძლებლობების განვითარება და, საჭიროების შემთხვევაში, ახლის ჩამოყალიბება, მატერიალური და ფინანსური რესურსების სწორი გადანაწილება და ა.შ.

ბიოუსაფრთხოების კუთხით უწყებათშორისი კოორდინაციის მექანიზმების დახვეწა

უწყებათშორისი კოორდინაციის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია „განსაკუთრებით საშიშ პათოგენებზე და ბიოლოგიურ ინციდენტებზე რეაგირების გეგმა–დანართის“ პროექტის დამტკიცება. დოკუმენტში აღწერილია საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი უწყებების რეაგირების ღონისძიებები განსაკუთრებით საშიში ბიოლოგიური აგენტებით გამოწვეული დაავადებების გავრცელების შემთხვევაში.

ბიოლოგიურ ინციდენტებზე რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესება

შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფის გადამზადება და შესაბამისი აღჭურვა მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების, კერძოდ, აშშ–ის ძალისხმევა, რათა ქვეყანაში მოხდეს არსებული ბიოლოგიური პროფილის ობიექტების შესაბამისი უსაფრთხოების ნორმებისა და ინციდენტებზე რეაგირების სტანდარტების სრულყოფილი დანერგვა/განხორციელება, როგორც მატერიალურ–ტექნიკური, აგრეთვე ინტელექტუალური კუთხით.

„ქბრბ მეცნიერებისა და შედეგების მართვის კონგრესის“ ჩატარება

შსს-ს მიერ ქბრბ პოლიტიკისადმი ინოვაციური მიდგომებიდან გამომდინარე, საერთაშორისო დონეზე გადაწყდა 2014 წლის ივნისში, „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული მეცნიერებისა და შედეგების მართვის კონგრესის“ თბილისში ჩატარება. აღნიშნული საერთაშორისო კონგრესი უკვე მეორე ათწლეულია ძირითადად ხორვატიაში იმართება. 2014 წელს, ამ ღონისძიებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უმასპინძლებს.

სამართლებრივი ბაზის დახვეწა

მიზანშეწონილია უწყებათშორისმა სამუშაო ჯგუფმა მოახდინოს ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ საფრთხეებთან დაკავშირებით ეროვნული კანონმდებლობის ნაკლოვანებების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების შემუშავება. ეს მიზნად ისახავს ნორმატიული აქტების დახვეწასა და საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას. აღნიშნული მიმართულებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან ერთად დაგეგმილია „საქართველოში შეზღუდულად ბრუნვადი მასალებისა და ორმაგი დანიშნულების ნივთიერებების შესახებ“ კანონპროექტის შემუშავება.

ქბრბ უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში შსს–ს გამოცდილების გაზიარება

მრავალ საერთაშორისო შეხვედრაზე არაერთგზის იქნა აღნიშნული შსს-ს მიერ არჩეული ქბრბ უსაფრთხოების კურსის სწორი მიმართულება. კერძოდ, ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების გადაწყვეტილება და პროცესი. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრესის შენარჩუნება და საქართველოს მიერ დადებითი გამოცდილების გაზიარება არამარტო რეგიონის ქვეყნებში, აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმსა თუ ფორმატში.

მიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვა

არაკონტროლირებადი მიგრაციული პროცესები საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობას. შესაბამისად, მიგრაციული პროცესების მართვა ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

მიგრაციული პროცესების მართვის გაუმჯობესებისთვის, 2010 წელს, მიგრაციის სამთავრობო კომისია შეიქმნა, რომელიც კოორდინაციას უწევს სამიგრაციო პოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებას. სამთავრობო კომისიას თავმჯდომარეობს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო თანათავმჯდომარე უწყება შინაგან საქმეთა სამინისტროა.

სამთავრობო კომისიის ფარგლებში შემუშავდა მიგრაციის 2013-2015 წლების სახელმწიფო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. სტრატეგია 2013 წლის 15 მარტს დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ, ხოლო სამოქმედო გეგმა 2013 წლის 14 ივნისს მიგრაციის სამთავრობო კომისიამ მიიღო.

2013 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტრო განისაზღვრა არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის წამყვან სახელმწიფო უწყებად. არსებული გამოწვევების საპასუხოდ, სამინისტრომ მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელა. კერძოდ, მიგრაციული პროცესების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის დახვეწის მიზნით, შსს-მ, სხვა პასუხისმგებელ უწყებებთან ერთად, მიგრაციის სამთავრობო კომისიის ფარგლებში შეიმუშავა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონპროექტი და სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების პროექტი.

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად განისაზღვრა: საქართველოს ვიზის კატეგორიები, მისი გაცემის, გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესი; სასაზღვრო გამტარ პუნქტებში ინსპექტირება; გადამყვანი კომპანიების ვალდებულებები; ბინადრობის ნებართვის გაცემის წესი და პირობები; საქართველოდან გასვლის მექანიზმები; უცხოელთა საქართველოდან გაძევების საფუძვლები და პროცედურები; გაძევების გადაწყვეტილების საფუძველზე ქვეყნის ნებაყოფლობით დატოვება; საქართველოდან უცხოელის გაძევების შესახებ გადაწყვეტილების გადავადება; გაძევების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადები; უცხოელთა გაძევების მიზნით დაკავების საფუძვლები, პირობები და პროცედურები; დაკავების ალტერნატიული ზომები. აღნიშნული ცვლილებების შემუშავებაში მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე ევროპელი ექსპერტები.

2013 წლის მარტში, სამინისტრომ შეიმუშავა მიგრაციის სამსახურის კონცეფცია, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ქვეყნის შიგნით არალეგალი მიგრანტების აღმოჩენაზე, დაკავებასა და გაძევებაზე. სამინისტრომ შეიმუშავა არალეგალ მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრის დებულება, სადაც მოხდება სამართლებრივი საფუძვლის არმქონე უცხოელთა განთავსება მათ იდენტიფიცირებამდე ან/და ქვეყნიდან გაძევებამდე. ცენტრის შექმნა

გათვალისწინებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციით. 2013 წლის დეკემბერში დაიწყო ცენტრის მშენებლობა.

მიგრაციული პროცესების მართვის, მათ შორის, არალეგალთა დაკავებისა და განთავსების სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, შსს-ს თანამშრომლები სასწავლო ვიზიტების ფარგლებში ეცნობოდნენ მოლდოვის, პოლონეთის, ავსტრიის, ბელგიისა და ჰოლანდიის გამოცდილებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა არალეგალ მიგრანტთა გამოვლენის ელექტრონული პროგრამა, რომელიც 2013 წლის მარტიდან ფუნქციონირებს სატესტო რეჟიმში. აღნიშნული პროგრამა შეაგროვებს უცხოელთა შესახებ სხვადასხვა უწყებაში არსებულ ინფორმაციას, დაამუშავებს მას და გამოავლენს იმ პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ ქვეყანაში ყოფნის სამართლებრივი საფუძველი. აღნიშნულის საშუალებით შესაძლებელი გახდება უცხოელთა ქვეყანაში ყოფნის მონიტორინგი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო პასუხისმგებელია რეადმისიის ხელშეკრულებებისა და საიმპლემენტაციო ოქმების გაფორმებაზე. საქართველოს გაფორმებული აქვს რეადმისიის შეთანხმება ევროკავშირთან, შვეიცარიასთან, ნორვეგიასთან და უკრაინასთან. რეადმისიის ხელშეკრულების საიმპლემენტაციო პროტოკოლები ხელმოწერილია ბულგარეთთან, ესტონეთთან, უნგრეთთან, ავსტრიასთან, ბელგიასთან, ჰოლანდიასთან და ლუქსემბურგთან. სლოვაკეთთან ოქმი მზად არის ხელმოსაწერად. დანიასთან და მოლდოვასთან რეადმისიის ხელშეკრულების პროექტი მზად არის ხელმოსაწერად. რეადმისიის ხელშეკრულების პროექტი მოლაპარაკებების პროცესშია ბოსნია-ჰერცოგოვინასთან და სერბეთთან. საქართველომ ასევე მოახდინა რეადმისიის ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებების ინიცირება შემდეგ ქვეყნებთან: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბანგლადეში, ბელარუსი, შრი ლანკა, ინდოეთი და პაკისტანი.

„პოლიციის შესახებ“ ახალი კანონის საფუძველზე, შსს-ს სხვა უფლებამოსილებებთან ერთად, დაეკისრა არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულება.

გამოწვევები

არალეგალ მიგრანტთა მიერ ქვეყნის დატოვების მექანიზმების ჩამოყალიბების აუცილებლობა

ქვეყანაში არ არსებობს არალეგალ მიგრანტთა აღმოჩენის, დაკავებისა და გაძევების სისტემა და მათი დროებითი განთავსების პირობები. ეს, თავის მხრივ, სირთულეებს უქმნის შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე პასუხისმგებელ ორგანოს. ასევე, გამოწვევად რჩება ამ სისტემის მარეგულირებელი შიდაუწყებრივი ნორმატიული ბაზის დახვეწის აუცილებლობა.

მიგრაციის ნაკადების მონიტორინგისა და სტატისტიკის წარმოების სისტემის დახვეწის აუცილებლობა

მიგრაციული პროცესების მართვაში ჩართული უწყებები კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ მიგრაციის ნაკადების მონიტორინგს. შსს-ში შექმნილი არალეგალ მიგრანტთა გამოვლენის პროგრამა მუშაობს სატესტო რეჟიმში და არ მოიცავს ყველა სასაზღვრო გამტარ პუნქტს. შესაბამისად, ვერ ხერხდება სხვადასხვა უწყებაში არსებული ინფორმაციის სრულად შეგროვება და დამუშავება. გარდა ამისა, საჭიროა პროგრამაში არსებული ინფორმაციის დამუშავებისთვის სათანადო მეთოდოლოგიის დახვეწა.

უცხოელთა არასათანადო ინფორმირებულობა

ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ლეგალური მიგრაციის შესახებ უცხოელების არასაკმარისი ინფორმირებულობა. ისინი არ არიან ინფორმირებული „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონპროექტით განსაზღვრული ახალი სამიგრაციო პროცედურების შესახებ.

2014 წლის პრიორიტეტები

არალეგალ მიგრანტთა მიერ ქვეყნის დატოვების მექანიზმების ჩამოყალიბება

მიგრაციის სამსახურის კონცეფციის შესაბამისად, 2014 წელს, შსს-ს სისტემაში შეიქმნება მიგრაციის სამსახური, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელი იქნება მიგრაციული პროცესების მართვაზე, მათ შორის, ქვეყნის შიგნით არალეგალი მიგრანტების გამოვლენაზე, დაკავებასა და მათი ქვეყნიდან გაძევებაზე. ამისათვის შემუშავდება მიგრაციის სამსახურის სტრუქტურა, დებულება და მოხდება შესაბამისი კადრების მოძიება.

2014 წელს, აშენდება და ექსპლოატაციაში შევა არალეგალ მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრი. ცენტრი აშენდება და იფუნქციონირებს საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მასში გათვალისწინებული იქნება შესაბამისი პირობები სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ასევე ოჯახებისთვის, ბავშვებისთვის, ქალებისა და ხანდაზმულებისთვის.

მიგრაციის სამსახურისა და დროებითი განთავსების ცენტრის პერსონალისთვის შემუშავდება შესაბამისი სტანდარტული სამოქმედო პროცედურები.

დაგეგმილია არალეგალ მიგრანტთა ნებაყოფლობით დაბრუნების სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და მათი მხრიდან შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

დაურეგულირებელი მიგრაციული პროცესების მოწესრიგების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მიგრაციის სამთავრობო კომისიის ფარგლებში, სხვა უწყებებთან ერთად, შეიმუშავა საკანონმდებლო პაკეტი. აღნიშნული მოიცავს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონპროექტსა და მასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“, „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“, „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“, „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონებში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილებებსა და დამატებებს.

შემუშავებული ცვლილებები საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობისა და არსებული პრაქტიკული საჭიროებების გათვალისწინებით ახლებურად არეგულირებს საქართველოში უცხოელთა ყოფნის საფუძვლებს, პროცედურებს (ვიზა, ბინადრობის ნებართვა), საქართველოდან გასვლის ზოგად მოთხოვნებსა და გაძევების პროცედურებს;

მიმდინარეობს აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტის განხილვა საქართველოს პარლამენტში.

მიგრაციის მართვაში ჩართული შსს-ს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მიგრაციის პროცესების მართვაში ჩართული შსს-ს პერსონალის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას სასწავლო ვიზიტებისა და ტრენინგების გზით. შსს-ს აკადემიის შესაბამის სასწავლო პროგრამებში მოხდება მიგრაციის მოდულის ინტეგრირება.

სრულყოფილი სტატისტიკის წარმოება და მიგრაციული ნაკადების მონიტორინგი

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადდა არალეგალ მიგრანტთა გამოვლენის პროგრამა, რომელიც სატესტო რეჟიმში მუშაობს. სამინისტროს მიერ იგეგმება პროგრამის სრულად ამოქმედება და ყველა სასაზღვრო გამტარი პუნქტის დაფარვა, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელს გახდის ზუსტი სტატისტიკის წარმოებასა და არალეგალური მიგრაციასთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებული სიტუაციის ანალიზს.

მიგრაციის მართვის სფეროში შიდაუწყებრივი კოორდინაციის გაუმჯობესება

მიგრაციის სამსახურის ჩამოყალიბების შემდეგ, ყურადღება დაეთმობა შსს-ს შესაბამის დანაყოფებს შორის მიგრაციული პროცესების მართვის სფეროში კოორდინაციის დახვეწისა და გაღრმავების საკითხებს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სამინისტროს კანონქვემდებარე აქტების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების გაუმჯობესებას.

ლეგალური მიგრაციის სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

სამინისტრო გეგმავს პრეზენტაციების ჩატარებას იმ ორგანიზაციების ბენეფიციარებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ უცხოეთში როგორც გაცვლითი სასწავლო კურსები, ასევე მოკლევადიანი და გრძელვადიანი დასაქმების პროგრამები. ეფექტიანი კომუნიკაციის მიზნით, შემუშავდება საინფორმაციო ბროშურები პოტენციური საფრთხეების, ტრეფიკინგის წინაპირობებისა და მისი ინდიკატორების შესახებ (გავრცელების ძირითადი არეალი - სოციალურად დაუცველი ოჯახები).

გარდა ამისა, სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობას მიიღებს უცხოელებისთვის ახალი სამიგრაციო რეგულაციების შესახებ საინფორმაციო კამპანიების წარმოებაში.

რეადმისიის ხელშეკრულებებისა და საიმპლემენტაციო ოქმების გაფორმება

სამინისტროსთვის პრიორიტეტულ საკითხად რჩება ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან რეადმისიის ხელშეკრულების საიმპლემენტაციო ოქმების გაფორმება. ასევე, ეტაპობრივად, სხვა სახელმწიფოებთან რეადმისიის ხელშეკრულებების გაფორმება, საიმპლემენტაციო ოქმების მომზადება და ხელმოწერა.

<u>ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა</u>

აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მოხმარება და მოხმარებით გამოწვეული ზიანი, აგრეთვე წამალდამოკიდებულება, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ყველა ფენაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად მონაწილეობს ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაში. 2013 წლის დეკემბერში, საბჭომ დაამტკიცა ნარკომანიასთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია და 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა.

2010-2012 წლებში, შავ ბაზარზე „ტრადიციული“ ოპიოიდების მკვეთრად შემცირების ფონზე, ნარკოტიკების ინექციურმა მომხმარებლებმა გადაინაცვლეს აფთიაქებსა და საყოფაცხოვრებო მაღაზიებში და მოიხმარენ ადვილად

ხელმისაწვდომი პრეკურსორებიდან კუსტარულად დამზადებულ კოდეინის შემცველ ოპიოიდებს. აღნიშნულ პრობლემასთან ბრძოლის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის 2013 წლის 9 აგვისტოს გაფორმდა „ფარმაცევტულ ბაზარზე პირველი ჯგუფისთვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლისა და ზედამხედველობის ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ თანამშრომლობის მემორანდუმი. აღნიშნული მიზნად ისახავს ფარმაცევტულ ბაზარზე პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალური ბრუნვის კონტროლსა და ზედამხედველობას, ლეგალური ბრუნვიდან უკანონო არხებში გადინებასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების პრევენციასა და გამოვლენას.

ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის სრულყოფილი შეგროვებისა და ანალიზის მიზნით, 2012 წლის დეკემბერში, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსა და შსს-ს შორის ჩამოყალიბდა მონაცემთა გაცვლის ონლაინ რეჟიმი. აღნიშნულის საშუალებით, ყველა იმ პირის შესახებ ინფორმაცია, რომელიც აღრიცხულია სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში, ნაცვლად წერილობითი რეჟიმისა, შსს-ს რეალურ დროში მიეწოდება.

ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისა და მისგან გამოწვეული ზიანის თავიდან აცილების, ასევე პოტენციურ ნარკომომხმარებელთა კონტინგენტის შემცირების მიზნით, პროექტის „სამართლებრივი კულტურა“ ფარგლებში, უბნის ინსპექტორები სკოლის პედაგოგებთან ერთად მოსწავლეებს უტარებენ გაკვეთილებს ნარკოტიკების არალეგალური ბრუნვის თემაზე.

2013 წლის ივლისში, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრმა შექმნა სააღრიცხვო მოდული, რომელიც წარმოადგენს სააღრიცხვო მონაცემთა ერთობლიობას, სადაც ცენტრალიზებული და სისტემატიზებულია „ბიო“ ნარკოტიკის მოხმარებაში გამოვლენილ პირთა შესახებ დეტალური ინფორმაცია.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის შემცირების მიზნით, შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკურმა მთავარმა სამმართველომ შეიძინა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების აღმოჩენისთვის საჭირო ეტალონური ნიმუშები, რაც ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შემოდინების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების საშუალებას იძლევა.

2013 წლის 22 მაისს, საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის გამოვლენის მიზნით, ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს ერთი მხრივ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურსა და მეორე მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, ცენტრალურ კრიმინალურ პოლიციასა და საექსპერტო–კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოს შორის. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში ხორციელდება კინოლოგიური სამსახურის განვითარება, რომელსაც 2013 წლის მაისიდან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის დაფინანსებით ახორციელებს

აშშ-ის სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიურო (INL).

ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მიმდინარეობს შსს-ს თანამშრომელთა კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების გზით. 2013 წელს, DEA-სა (აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაცია) და INL-ის მხარდაჭერით, შსს-ს შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებმა გაიარეს კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

2013 წლის ივლისში, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა 116.5 კგ ჰეროინი ამოიღო. შსს-ს მიერ მსგავსი მასშტაბის ოპერაციას მანამდე ადგილი არ ჰქონდა.

2012 წლიდან ხორციელდება კონტეინერების კონტროლის პროგრამა. ხელმოწერილია ურთიერთგაგების მემორანდუმი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის დანაყოფებსა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისს (UNODC) შორის.

გამოწვევები

საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა

ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ რისკებზე და საფრთხეებზე საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა ხელს უწყობს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მოხმარებას მოზარდებში, ახალგაზრდებსა და ზოგადად მოსახლეობაში, ხოლო საზოგადოების ინფორმირებისა და განათლების ხელშეწყობა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთგვარ პრევენციულ მექანიზმს წარმოადგენს.

პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის განხორციელების აუცილებლობა

წინა წლებში ჩატარებულმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ქვეყანაში ოფიციალური გზით შემოტანილი ნარკოტიკული საშუალება „კოდეინის“ შემცველი კომბინირებული პრეპარატების 80% აფთიაქებიდან ურეცეპტოდ იყო რეალიზებული. აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა 2013 წელს.

შინაგან საქმეთა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებს შორის ხელმოწერილი მემორანდუმის საფუძველზე შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა ამ მიმართულებით ერთობლივი ღონისძიებების გატარება დაიწყო. 23 ავტორიზებული აფთიაქის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ფორმა №2 რეცეპტის გარეშე, კანონის დარღვევით, ამ აფთიაქებიდან გაცემულია 3 272 654 ერთეული "კოდეინის" შემცველი კომბინირებული პრეპარატი. ეს აღნიშნული აფთიაქების მიერ სრულად გაცემული "კოდეინის" შემცველი კომბინირებული პრეპარატების რაოდენობის 99,992%–ს შეადგენს.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული და ზოგიერთი ფსიქოაქტიური ნივთიერების შემცველ კომბინირებულ სამკურნალო საშუალებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის ნაკლოვანება

პირველი ჯგუფისთვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეცეპტის გარეშე რეალიზაციისას გამოვლენილმა სამართალდარღვევებმა ცხადყო ამ სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზის ნაკლოვანება. 2013 წელს, კანონმდებლის მიერ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მნიშვნელოვნად გამკაცრების მიუხედავად, გატარებულ ცვლილებებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. მხოლოდ ადმინისტრაციული სახდელის არსებობა საკმარისი არ არის და აუცილებელია პასუხისმგებლობის გამკაცრება. ასევე, დაუდგენელია კოდეინის, ეფედრინის, ფსევდოეფედრინისა და ნორეფედრინის შემცველი ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტ-ექსპორტის კვოტები. სახელმწიფო კვოტების განსაზღვრა ხდება იმპორტით დაინტერესებული პირის და არა პაციენტების რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე.

შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორებში ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მომხმარებელთა მკურნალობის, რეაბილიტაციისა და ზიანის შემცირების საშუალებებით უზრუნველყოფის აუცილებლობა

ამ ეტაპზე, არ არსებობს სრულყოფილი მექანიზმი, რომლითაც შესაძლებელი გახდება შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორებში ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მომხმარებელთა მკურნალობის, რეაბილიტაციისა და ზიანის შემცირების საშუალებებით უზრუნველყოფა.

2014 წლის პრიორიტეტები

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

შსს-ს პრიორიტეტს განეკუთვნება ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ავადმოხმარების საკითხზე საზოგადოების ცნობიერების გაზრდა. ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისა და მისგან გამოწვეული ზიანის თავიდან აცილების, ასევე პოტენციურ ნარკომომხმარებელთა კონტინგენტის შემცირების მიზნით, პროექტ „სამართლებრივი კულტურის“ ფარგლებში, შსს-ს უბნის ინსპექტორები სკოლის პედაგოგებთან ერთად, გააგრძელებენ გაკვეთილების ჩატარებას ნარკოტიკების ავადმოხმარების თემატიკაზე.

პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალური ბრუნვის მონიტორინგი

აუცილებელია პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ბრუნვის უფლების მქონე იურიდიულ პირთა საქმიანობის კონტროლი, არალეგალური

ქმედებების პრევენცია და გამოვლენა. აღნიშნული ხელს შეუწყობს კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკული საშუალებების (დეზომორფინისა და ამფეტამინების) მოხმარების აღმოფხვრასა და სააფთიაქო დაწესებულებებიდან მათი მომზადებისთვის საჭირო ფარმაცევტული პროდუქტების უკანონო არხებში გადინების პრევენციას. ამ მიზნით, შსს-სა და ჯანდაცვის სამინისტროს ერთობლივი ჯგუფების მიერ გაგრძელდება ავტორიზებული აფთიაქების შემოწმება, გამოვლენილი დარღვევების ანალიზი და მათი აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი წინადადებების შემუშავება.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ, აგრეთვე, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული და ზოგიერთი ფსიქოაქტიური ნივთიერების შემცველ კომბინირებულ სამკურნალო საშუალებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

პირველ ჯგუფს მიკუთვნებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან დაკავშირებით, საქართველოში არსებული ვითარება კომპლექსურ მიდგომასა და მის მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას მოითხოვს. აუცილებელია გაუქმდეს კოდეინის, აცეტილდიჰიდროკოდეინის, დიჰიდროკოდეინის, ნიკოდიკოდინის, ნიკოკოდინის, ნორკოდეინის, ფოლკოდინისა და ეთილმორფინის შემცველი კომბინირებული პრეპარატების დოზის გრადაციები, რითაც კოდეინის შემცველი კომბინირებული პრეპარატები ავტომატურად გადავა ნარკოტიკული საშუალებების II სიაში. შედეგად, ამ პრეპარატების რეცეპტის გარეშე რეალიზაცია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამოიწვევს, როგორც აფთიაქისთვის, ისე აფთიაქში დასაქმებული პერსონალისთვის. ასევე, აუცილებელია გამკაცრდეს პასუხისმგებლობა საქმიანობის უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებით. ნებისმიერი ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში (გარდა 260-ე და 261-ე მუხლებისა), პირს საექიმო საქმიანობასთან ერთად, უნდა ჩამოერთვას სააფთიაქო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება. ასევე, აუცილებელია საქართველოს წლიური მოთხოვნილების გათვალისწინებით, განისაზღვროს კოდეინის, ეფედრინის, ფსევდოეფედრინისა და ნორეფედრინის შემცველი ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტ-ექსპორტის კვოტები. აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციები ამ პრეპარატების ლეგალურ ბრუნვას მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცევს.

შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოხვედრილ ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების მომხმარებელ პირთა სამედიცინო დახმარების მექანიზმების დანერგვა

აუცილებელია შსს-სა და ჯანდაცვის სამინისტროს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება, რომლის საფუძველზეც მოხდება დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოხვედრილ ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მომხმარებელთა გადაუდებელი დახმარება და ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ პირთა მკურნალობის უზრუნველყოფა.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული დანაყოფების შესაძლებლობების განვითარება

ნარკომანიისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, აუცილებელია შსს-ს სტრუქტურული დანაყოფების შესაძლებლობების გაუმჯობესება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების გზით.

აშშ-ის სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს კინოლოგიური სამსახურის განვითარება. დაგეგმილია სამძებრო ძაღლების შესყიდვა და კინოლოგების გადამზადება.

ნარკოტიკების უკანონო მოძრაობის შესაძლო მარშრუტებზე კონტროლის შენარჩუნება/გაძლიერება

აუცილებელია კონტროლის შენარჩუნება და საჭიროების შემთხვევაში მისი გაძლიერება აეროპორტებზე, პორტებზე, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებზე. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რისკის შემცველი მარშრუტებისა და ქვეყნების განსაზღვრას. ამ მიმართულებით, აუცილებელია ანგარიშების მომზადება ტრანზიტულად გადაადგილებული ტვირთებიდან და სატრანსპორტო საშუალებებიდან უკანონო ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების აღმოჩენის შესახებ.

ნარკომანიასთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაგრძელება და გაღრმავება

შინაგან საქმეთა სამინისტრო გააგრძელებს თანამშრომლობას პარტნიორ ქვეყნებთან, ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

<u>ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა</u>

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის განხორციელება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები როგორც სახელმწიფო პოლიტიკის, ასევე სამართალდამცავი უწყებების დონეზე.

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შექმნილია ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანით ვაჭრობის ფაქტების პრევენციაზე, გამოვლენასა და აღკვეთაზე. პრევენციული ზომების გაუმჯობესების მიზნით, 2013 წლის განმავლობაში, აღნიშნულ სამმართველოში ჩამოყალიბდა შემოწმების 3 (სამი)

მობილური ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია ორ-ორი დეტექტივ-გამომძიებლით. სამმართველომ შეიმუშავა და დაამტკიცა მობილური ჯგუფების მიერ გასატარებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული ჯგუფების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკის შემცველი დაწესებულებების/ადგილების გამოვლენა და რისკჯგუფებს მიკუთვნებულ პირთა გამოკითხვა, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან დეპორტირებული საქართველოს მოქალაქეების გამოკითხვა, მათ მიმართ განხორციელებული შესაძლო ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით. მობილური ჯგუფების მიერ ასევე ხორციელდება გასვლები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

მიმდინარეობს შსს-ს თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარება. 2013 წლის ნოემბრიდან დღემდე, ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტრენინგსა და შეხვედრაში.

ასევე, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო საინფორმაციო ბუკლეტების შემუშავებასა და გავრცელებაში როგორც საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე, ასევე თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ცნობიერების გაზრდის უზრუნველსაყოფად.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისთვის შესაბამისი სახელმწიფო უწყებების საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, შექმნილია უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო. საბჭომ, სამოქმედო გეგმის შესრულების ფარგლებში და ეროვნული რეფერალური მექანიზმის დახვეწის კუთხით, დაამტკიცა „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის სტრატეგია“.

შსს აქტიურად მონაწილეობდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. სამოქმედო გეგმის მიხედვით, შსს-ს აღებული აქვს შემდეგი ვალდებულებები: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის შესახებ ცნობიერების ამაღლება, სადაც ყურადღება დაეთმობა მაღალი რისკის შემცველი ადგილებისა და მიუსაფარი ე.წ. ,,ქუჩის ბავშვების“ იდენტიფიცირების, ინფორმირებისა და მათი უფლებების სათანადოდ დაცვის საკითხს; უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში უსაფრთხოდ, ნებაყოფლობით დაბრუნების უზრუნველყოფა და დაბრუნებულთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიებისთვის პროაქტიური მიდგომებისა და სხვა უახლესი მეთოდოლოგიების დანერგვა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით; ტრეფიკინგის შემთხვევების პროაქტიური გამოვლენა, რაც ითვალისწინებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას; ტრეფიკინგის საქმეების გამოძიების დახვეწის მიზნით სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების

პროფესიული განვითარება; ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

ქვეყანაში ფუნქციონირებს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, რომელიც ემსახურება ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დახმარებასა და დაცვას. ფონდის ფუნქციებში, ასევე შედის მსხვერპლთა თავშესაფრითა და შესაბამისი სარეაბილიტაციო პროგრამებით უზრუნველყოფა. ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფო ფონდთან.

რაც შეეხება სამართლებრივ ბაზას, ამ მხრივ აღსანიშნავია ,,საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. აღნიშნული კანონი წარმოადგენს ტრეფიკინგის, როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაულის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ საფუძველს. გარდა ამისა, საქართველოს მიერ რატიფიცირებულია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაერო-სა და ევროპის საბჭოს კონვენციები.

საქართველოს ოც ქვეყანასთან აქვს გაფორმებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პოლიციის სფეროში თანამშრომლობის ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც მოიცავს თანამშრომლობას ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლის სფეროშიც. კონკრეტულად, ტრეფიკინგის წინააღმდეგ აღმკვეთი ღონისძიებების გატარების მიზნით, შესაბამისი ოქმი ხელმოწერილია მხოლოდ თურქეთის რესპუბლიკასთან.

გამოწვევები

ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობა

პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით, საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან არასათანადო თანამშრომლობა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების/ოქმების არარსებობა ართულებს მსხვერპლთა ადგილმდებარეობის დროულ დადგენასა და აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ზომების გატარებას.

ტრეფიკინგის მსხვერპლთან /პოტენციურ მსხვერპლთან მოპყრობის სტანდარტების დახვეწის საჭიროება

ტრეფიკინგის მსხვერპლთა/პოტენციურ მსხვერპლთა დაკითხვის სპეციალური მეთოდი არ არის სათანადოდ დახვეწილი, რაც ართულებს გამოძიების პროცესის ეფექტიან წარმართვას, შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებასა და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას. გარდა ამისა, დღის წესრიგში დგას მსხვერპლთან მოპყრობის სტანდარტების გაუმჯობესების საჭიროება, მათი ინფორმირებულობის გაზრდისა და თანამშრომლობის სათანადო პირობების შექმნის კუთხით.

პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება

ტრეფიკინგის ფაქტების გამოძიების ხელშეწყობისთვის აუცილებელია შსს-ს პერსონალის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება.

საკანონმდებლო ბაზის შეუსაბამობა თანამედროვე გამოწვევებთან

მოქმედი საკანონმდებლო ბაზა, კერძოდ სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლი (ადამიანით ვაჭრობა /ტრეფიკინგი) აღარ შეესაბამება არსებულ ტენდენციებს. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ დამნაშავეების (ტრეფიკიორების) მხრიდან შეიცვალა დანაშაულის ჩადენის ხერხები და ტრეფიკინგის მსხვერპლთა ექსპლოატაციის მეთოდები. სწორედ ამიტომ, დღის წესრიგში დგას სისხლის სამართლის კოდექსის გადახედვა, ანალიზი და სრულყოფა თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად.

მიუსაფარი ე.წ. „ქუჩის ბავშვების“ იდენტიფიცირების, ინფორმირებისა და დახმარების ხელშეწყობის მექანიზმის დახვეწის აუცილებლობა

მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებით არ არსებობს ქმედითი სახელმწიფო მექანიზმი, რომლის მიხედვითაც მოხდება მათი სრულყოფილი იდენტიფიცირება, ინფორმირებულობის გაზრდა იძულებით შრომასა და სექსუალურ ექსპლოატაციაზე და დახმარების ხელშეწყობის გაუმჯობესება.

საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა

საზოგადოება არ არის საკმარისად ინფორმირებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ, რაც აფერხებს როგორც აღნიშნული დანაშაულის პრევენციას, ასევე მის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას.

2014 წლის პრიორიტეტები

პრევენციული ზომების გაუმჯობესება

არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული საფრთხეებსა და ტრეფიკინგის შესაძლო მხვერპლად გახდომის თავიდან ასარიდებლად, შსს მონაწილეობას მიიღებს საინფორმაციო ბროშურების მომზადებაში, სასაზღვრო გამტარ პუნქტებსა და რისკის შემცველ ადგილებში მათ გავრცელებაში. მნიშვნელოვანია მოსახლეობის, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების, ცნობიერების ამაღლების მიზნით, საინფორმაციო შეხვედრების გამართვა და კამპანიების წარმოება.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში შექმნილი შემოწმების მობილური ჯგუფების ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა უფრო სისტემატურ ხასიათს მიიღებს. მათი საშუალებით განხორციელდება ტრეფიკინგის რისკის შემცველ დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის იდენტიფიცირება, შესწავლა და აღრიცხვა. განხორციელდება საზღვარგარეთიდან დეპორტირებული მოქალაქეების გამოკითხვა,

მათ მიმართ შესაძლო ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით. მობილური ჯგუფები შეისწავლიან იმ ორგანიზაციებსა და პირებს, რომლებიც ახორციელებენ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შსს სხვადასხვა უწყებასთან ერთად გეგმავს პროაქტიური ღონისძიებების გატარებას მიუსაფარ ე.წ. ,,ქუჩის ბავშვებთან" დაკავშირებით. კერძოდ, სამინისტრო აქტიურად ჩაერთვება ამ ბავშვების იდენტიფიცირებისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ მათი ინფორმირებულობისა და დახმარების შესაბამის ღონისძიებებში.

სამართლებრივი ბაზის დახვეწა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის განხორციელების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე გადაიხედოს არსებული კანონმდებლობა. ამ მხრივ აღსანიშნავია უწყებათშორისი საბჭოს ფარგლებში შექმნილი კანონმდებლობის ხარვეზებსა და ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც მუშაობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1]-ე მუხლის (ადამიანით ვაჭრობა/ტრეფიკინგი) შენიშვნის ნაწილის დახვეწაზე და აქედან გამომდინარე, ,,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" კანონში შესატან შესაბამის ცვლილებებზე.

ტრეფიკინგის (პოტენციურ) მსხვერპლთან მოპყრობის სტანდარტების შემუშავება/დახვეწა

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის მიზნით, აუცილებელია დაკითხვის სპეციალური მეთოდოლოგიის დახვეწა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით. ასევე, მნიშვნელოვანია გამომძიებელმა შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს ტრეფიკინგის (პოტენციურ) მსხვერპლს და დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით მკაფიოდ განუმარტოს როგორც საკუთარი უფლებები, ასევე არსებული საფრთხეები და შესაძლო შედეგები. სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას, ინფორმაციის მიღების დასახვეწად საჭიროა სამართალდამცავებისთვის შემუშავდეს ერთიანი კითხვარი როგორც არასრულწლოვანი, ასევე ზრდასრული (პოტენციური) მსხვერპლის დასაკითხად.

შსს–ს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შსს–ს თანამშრომელთა უნარ-ჩვევების გაღრმავებას შესაბამისი ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების მეშვეობით.

ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებში პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება

აუცილებელია საქართველოს პარტნიორ ქვეყნებთან, განსაკუთრებით მოსაზღვრე სახელმწიფოებთან, ოპერატიული თანამშრომლობის გაღრმავება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის დროულად მოწოდებას გამოვლენილი შესაძლო ტრეფიკინგის ფაქტების შესახებ, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს უკავშირდება. ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათთან აქტიური თანამშრომლობის განვითარებას ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

ამ მხრივ, აღსანიშნავია, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) პროექტი ,,შესაძლებლობების ზრდა აჭარასა და ქვემო ქართლში ტრეფიკინგის მსხვერპლთა პროაქტიური გამოვლენისათვის". პროექტის მიზანია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ქართველი სამართალდამცავების კვალიფიკაციის ამაღლება. იგეგმება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს უწყებათშორისი თანამშრომლობის გაუმჯობესებას. აღნიშნულ პროექტებს კოორდინაციას გაუწევს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM).

<u>კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა</u>

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ–ერთი მთავარი პრიორიტეტია. 2012 წლის ნოემბერში, სამინისტროში შეიქმნა ანტიკორუფციული სააგენტო, რომელიც ახორციელებს საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის გამოვლენას, სამოხელეო, კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას. 2013 წელს, შსს-ს ახლადშექმნილი ანტიკორუფციული სააგენტოს აქტიური ქმედებების შედეგად, გამოვლინდა და აღიკვეთა კორუფციისა და სხვა სამოხელეო დანაშაულის მრავალი შემთხვევა. პასუხისგებაში მიეცა 40–ზე მეტი პირი.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად მონაწილეობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაში. 2013 წლის 5 ივლისის სხდომაზე, საბჭომ დაამტკიცა კორუფციასთან ბრძოლის 2014–2016 წლების ახალი სტრატეგიული პრიორიტეტები. იმავე სხდომაზე, 2014–2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, შეიქმნა შესაბამისი თემატური სამუშაო ჯგუფები. აღნიშნული ჯგუფების აქტივობა მოიცავს ანტიკორუფციული საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და ფარავს აღნიშნული კუთხით სახელმწიფოსთვის აქტუალურ პრობლემატიკას. 2013 წლის ივლისში, შსს-ს სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენელთა მონაწილეობით დაკომპლექტდა შესაბამისი სამუშაო ჯგუფები.

კორუფციული დანაშაულის ეფექტიანი გამოძიების მიმართულებით, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. აღნიშნული დანაშაულის გამოძიებასთან დაკავშირებით არ არსებობდა მკაფიო რეგულაციები შესაბამის სფეროში საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის №34 ბრძანების საფუძველზე, განისაზღვრა სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობა. სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას, თუ ხსენებული ბრძანება სხვაგვარ რეგულირებას არ ითვალისწინებს. ბრძანების დანართში განსაზღვრულია სამოხელეო დანაშაულის გამოძიებასთან დაკავშირებული საკითხები და პროკურატურისა და შსს-ს გამომძიებლებს შორის შესაბამისი კომპეტენციის გადანაწილების საკითხი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332–ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 335–ე (განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება), 337–ე (სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა) და 342–ე (სამსახურებრივი გულგრილობა) მუხლებთან მიმართებით მოცემულია რეგულირება, რომელიც პროკურატურისა და შსს-ს ურთიერთქმედებას ეხება. აღნიშნული რეგულირების თანახმად, შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტი) მიერ ხსენებული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში, გამოძიების წარმოება, ყველა საგამოძიებო მოქმედების დაგეგმვა და განხორციელება ანტიკორუფციული სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება, ხოლო გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს მთავარი პროკურატურა.

2013 წელს შსს–ში, OECD-ის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, აგრეთვე „კორუფციის წინააღმდეგ“ გაერო-ს კონვენციის, „კორუფციაზე სისხლის სამართლის“ ევროპის საბჭოს კონვენციისა და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის დებულებების გათვალისწინებით, შემუშავდა საბაზისო ტრენინგ მოდულები კორუფციაზე, რომლებიც გაერთიანდა შსს-ს აკადემიის სასწავლო პროგრამაში.

2013 წელს შსს-ს კომპეტენციის ფარგლებში ხელი მოეწერა თერთმეტ ორმხრივ საერთაშორისო შეთანხმებას. აქედან ორი შეთანხმება (ლიტვასთან და ისრაელთან) ეხება დანაშაულის, მათ შორის, კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის საკითხებს.

შსს–ს მიერ ინიცირებული კანონპროექტი „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 4 ოქტომბერს მიიღო, ქმნის მყარ სამართლებრივ საფუძველს დანაშაულის, განსაკუთრებით კი ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო პოლიციური თანამშრომლობის განსახორციელებლად.

გამოწვევები

კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლაში ჩართული შსს-ს დანაყოფების შესაძლებლობების განვითარების საჭიროება

კორუფციასთან ეფექტიანი ბრძოლა მოითხოვს შესაბამისი პერსონალის მაღალ კვალიფიკაციასა და განვითარებულ უნარ–ჩვევებს. ასევე, აუცილებელია გამოწვევების შესაბამისად, უმჯობესდებოდეს სათანადო მატერიალურ–ტექნიკური ბაზა. ამ თვალსაზრისით, საჭიროა შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს შესაძლებლობების გაუმჯობესება.

საკანონმდებლო ბაზის გადახედვისა და დახვეწის საჭიროება კორუფციასთან ბრძოლის სფეროში

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, სახელმწიფო დგას საკუთარი კანონმდებლობის სრულყოფის საჭიროების წინაშე. აღნიშნული ეხება როგორც სისხლისსამართლებრივ სფეროს, ასევე კანონმდებლობის სხვა ასპექტებს.

კორუფციასთან ბრძოლაში ჩართულ უწყებებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა

კორუფციასთან წარმატებული ბრძოლა დიდწილად არის დამოკიდებული უწყებათშორისი თანამშრომლობის ეფექტიანობაზე. მნიშვნელოვანია იმ პრობლემური საკითხების გადაჭრა, რომლებიც გამოიხატება ეფექტიანი უწყებათშორისი კოორდინაციის ნაკლებობაში.

2014 წლის პრიორიტეტები

შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს შესაძლებლობების შემდგომი განვითარება

2014 წელს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომელთა პროფესიული უნარ–ჩვევების განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას შესაბამის სფეროში სხვადასხვა ტრენინგისა და სასწავლო ვიზიტის განხორციელების გზით. აღნიშნულის მიზანია კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების დახვეწა და ამ მიმართულებით საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასთან ერთად, აუცილებელია ანტიკორუფციული სააგენტოს მატერიალურ–ტექნიკური ბაზის შემდგომი გაუმჯობესება.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში

შინაგან საქმეთა სამინისტრო გააგრძელებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებული ქვეყნებისა და შესაბამისი საერთაშორისო ინსტიტუტების გამოცდილების შესწავლას. აღნიშნულის მიზანია სხვადასხვა სახის რეკომენდაციების, პროექტების, ინიციატივების შემუშავება და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ეროვნულ დონეზე იმპლემენტაცია.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ბაზის ანალიზი და საჭიროებისამებრ, ცვლილებების ინიცირება

შინაგან საქმეთა სამინისტრო, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, გააგრძელებს არსებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზს. აღნიშნულის საფუძველზე, შესაძლებელი გახდება საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირება და მათ აღმოფხვრაზე ორიენტირებული ინიციატივების შემუშავება.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში უწყებათშორისი კოორდინაცია

შსს აქტიურ მონაწილეობას მიიღებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაში. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს სტრუქტურული დანაყოფების ჩართულობას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის 2014–2016 წლების ახალი სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად შექმნილ სამუშაო ჯგუფებში. სამუშაო ჯგუფების საქმიანობა მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა საჯარო სამსახურის რეფორმა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მოქალაქეთა ჩართულობა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, ასევე სამართალდამცავ ორგანოებში და მართლმსაჯულების სისტემაში კორუფციის პრევენცია.

<u>ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა</u>

ტერორიზმის პრობლემა საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტებმა პრაქტიკულად შეცვალა მსოფლიოს დამოკიდებულება ტერორიზმის მიმართ.

საქართველო გლობალური ანტიტერორისტული კოალიციის აქტიური წევრია და მონაწილეობს საერთაშორისო ანტიტერორისტულ, სამშვიდობო, სამძებრო-სამაშველო და ჰუმანიტარულ ოპერაციებში.

2011 წელს საქართველოში შეიქმნა უწყებათშორისი კომისია ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებზე, რომლის ერთ-ერთი წევრი შინაგან საქმეთა სამინისტროა. კომისია პასუხისმგებელია გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების იმპლემენტაციაზე (სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა №1267 და №1373 რეზოლუციებს) და მუშაობს სამი ძირითადი მიმართულებით: გაერო-ს უშიშროების საბჭოს სანქციების კომიტეტის მიერ განსაზღვრული ფიზიკური და იურიდიული

პირებისთვის ფინანსური აქტივების დაყადაღება, ფიზიკური პირებისთვის მგზავრობის აკრძალვა და იარაღზე ემბარგო.

შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული კონტრტერორისტული ცენტრი ახორციელებს ტერორისტული საფრთხეების გამოვლენას, პრევენციასა და მათ აღმკვეთ კონტრტერორისტულ ღონისძიებებს.

ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით, საქართველო არის გაერო-ს 13 კონვენციის, ასევე ევროპის საბჭოს შესაბამისი კონვენციების წევრი და უზრუნველყოფს ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას მათ მოთხოვნებთან. უახლოეს პერიოდში იგეგმება გაერო-ს ფარგლებში მიღებული ახალი ანტიტერორისტული კონვენციების სავალდებულოდ აღიარების შესაძლებლობის განხილვა. ასევე, საერთაშორისო, რეგიონულ და ორმხრივ დონეზე საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს შესაბამის ორგანოებთან და პარტნიორ სახელმწიფოებთან. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, საქართველო „ევროპის სამეზობლო პოლიტიკასა“ და „აღმოსავლეთ პარტნიორობას“ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორებად მიიჩნევს.

მჭიდრო თანამშრომლობა ხორციელდება ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რომელთანაც საქართველოს შემდეგი სახის შეთანხმებები აქვს გაფორმებული: განზრახულებათა მემორანდუმი „საქართველოსა და აშშ-ის შორის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობისა და თანამშრომლობის განმტკიცების შესახებ“, შეთანხმება „საქართველოსა და აშშ-ის მთავრობებს შორის ტერორიზმის შეჩერების პროგრამის უზრუნველყოფის შესახებ“, ასევე, საიმპლემენტაციო შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტს შორის ბირთვული და სხვა რადიოაქტიური მასალის უკანონო კონტრაბანდის თავიდან აცილებაში თანამშრომლობის შესახებ“.

2013 წელს განხორციელდა შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის რეორგანიზაცია. შეიქმნა რეგიონული სამსახურები, რაც რეგიონებში არსებული ოპერატიული ვითარების სრულყოფილი კონტროლის საშუალებას იძლევა. ჩამოყალიბდა ცენტრის კომპეტენციაში შემავალი განახლებული პრიორიტეტული მიმართულებები. ინერგება ოპერატიული შემადგენლობის მეთოდური უზრუნველყოფის პრაქტიკა (მომზადებულია ტერორისტული აქტის მზადების სავარაუდო ნიშნების გამოვლენის მეთოდოლოგია).

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების მიზნით, კონტრტერორისტული ცენტრისთვის შეძენილ იქნა სატრანსპორტო საშუალებები, კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნიკა, ასევე სპეცტექნიკა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

2013 წლის ივნისში, შსს-მ ტერორისტული აქტის ჯგუფურად მომზადების ფაქტზე დააკავა რუსეთის ფედერაციის ორი მოქალაქე. ასევე, 2013 წლის 13 სექტემბერს, ქ.ბათუმში შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა დააკავეს რუსეთის ფედერაციის ერთი და საქართველოს ორი მოქალაქე.

გამოწვევები

ოკუპირებული ტერიტორიები

საქართველოს ტერიტორიაზე ოკუპირებული რეგიონების არსებობა ხელსაყრელ გარემოს ქმნის ტერორიზმისთვის. კერძოდ, მნიშვნელოვანი ტერორისტული საფრთხე მომდინარეობს აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ოკუპირებული ტერიტორიებიდან. არსებობს ქვეყანაში სხვადასახვა ტერორისტული დაჯგუფებების ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოღწევის საფრთხეც. საფრთხე ასევე გამოიხატება აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან აფხაზურ და ოსურ მოსახლეობაში ქართველი ხალხისადმი სიძულვილის გრძნობის დანერგვაში.

იარაღის უკანონო შემოდინების, გავრცელებისა და ტრანზიტის საშიშროება

მაღალია საბრძოლო და ასაფეთქებელი ნივთიერებების გავრცელების საფრთხე, როგორც საქართველოში, ასევე მის მეზობელ ქვეყნებში დესტაბილიზაციის შექმნის მიზნით. რეგიონული უსაფრთხოების გარემოდან გამომდინარე, არსებობს მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებისთვის ქვეყნის ტერიტორიის გამოყენების საშიშროებაც (აღსანიშნავია სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტები). საქართველოში არსებობს ისეთი ცეცხლსასროლი იარაღის და მისი აქსესუარების ლეგალური შეძენის საშუალება, რომელიც თავისი ეფექტურობისა და გამოყენების სპეციფიკის გამო შესაძლოა გამოყენებულ იქნას ტერორისტული აქტის განხორციელებისთვის (მაღალი კლასის პისტოლეტები, შაშხანები, ოპტიკური სამიზნეები, ღამის ხედვის მოწყობილობები, რადიოკავშირის საშუალებები, ამუნიცია და სხვა აღჭურვილობა).

რადიკალური ისლამის (ვაჰაბიზმის) გავრცელება

ქვეყანაში არსებობს ვაჰაბიზმის გავრცელების საფრთხე. მას მძლავრი გარე ფინანსური წყაროები და სოციალურ-ეკონომიკური ნიადაგი გააჩნია. აღნიშნულმა შესაძლებელია ხელი შეუწყოს მუსლიმ მოსახლეობაში (განსაკუთრებით ახალგაზრდებში) რადიკალური რელიგიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

საერთაშორისო ტერორიზმი

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესები, საშუალებას აძლევს რადიკალურ ისლამისტურ დაჯგუფებებს და ტერორისტულ ორგანიზაციებს გამოიყენონ ქვეყნის ტერიტორია, როგორც თავისი საქმიანობის დასაყრდენი პლაცდარმი. ვითარების განსაკუთრებულად გართულება მოსალოდნელია სირიაში მიმდინარე მოვლენების გადამწყვეტ ფაზაში შესვლისა და ავღანეთიდან 2014 წელს ანტიტერორისტული კოალიციის ჯარების გაყვანის შემდეგ.

ქართული კანონმდებლობის ნაკლოვანებები ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVIII თავში მოცემული ნორმების გარკვეული კატეგორია ვერ პასუხობს იმ გამოწვევებს, რომლებითაც თანამედროვე ტერორიზმი ემუქრება სახელმწიფოებს. არ არსებობს სპეციალური ნორმა, რომელიც მოახდენდა იმ ტერორისტული საქმიანობის კრიმინალიზაციას, რომელიც არ ხორციელდება საქართველოს ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებში და ვრცელდება მის ფარგლებს მიღმა, ანუ ჩადენილია საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში სტატუსის მქონე პირის მიერ. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის ტერორიზმის თავის ის მუხლები, რომლებიც ტერორისტული ორგანიზაციის ფარგლებში პირის მოქმედებას ეხება, ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ტერორისტული ორგანიზაციების სტრუქტურულ წყობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

არადამაკმაყოფილებელია ტერორისტული მიზნით წვრთნის არსებული რეგულირება, რომელიც არ არის მოცულობითი და ვერ ფარავს იმ საშუალებებისა თუ მეთოდების მრავალფეროვან სპექტრს, რომელთა გამოყენებაც თანამედროვე ტერორიზმის კონტექსტში ხდება. დახვეწას საჭიროებს ასევე ტერორიზმის დაფინანსების მუხლი. თანამედროვე პირობებში, ტერორიზმის დაფინანსებასთან ერთად, ვიწრო გაგებით, ხორციელდება ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა მრავალფეროვანი საშუალებებით, რასაც ვერ ფარავს არსებული ნორმის ვიწრო რეგულირების სფერო.

2014 წლის პრიორიტეტები

საზღვრების უსაფრთხოების განმტკიცება

ტერორისტების მიერ საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტად გამოყენების საფრთხის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია საზღვრის დაცვის გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ: საჭიროა შსს-ს სასაზღვრო პოლიციასთან, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტთან და სხვა სამინისტროების შესაბამის სამსახურებთან კოორდინირებული მუშაობის მექანიზმის შემუშავება; საქართველოსთვის არასასურველ პირთა არდაშვების, ინტერნირების და დეპორტაციის მექანიზმის შემუშავება და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება; ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა (მათ შორის, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებთან ვიდეო-ონლაინ კავშირის დამყარება, კონტრაბანდის სამალავების აღმოჩენის ტექნიკური საშუალებების შექმნა, ადგილზე პირველადი ქიმიური, რადიოლოგიური და ფარმაცევტული ექსპერტიზის ჩატარება); აუდიო, ვიდეომასალების და ბეჭდვითი მასალების, ციფრულ საშუალებებზე გადატანილი ინფორმაციის ექსპერტული

შეფასების მექანიზმების შექმნა შესაძლო ექსტრემისტული იდეოლოგიის ექსპორტის აღკვეთის მიზნით.

შსს–ს კონტრტერორისტული შესაძლებლობების გაძლიერება

აუცილებელია კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, განსაკუთრებით, ტერორიზმის დაფინანსების მექანიზმების გამოვლენის, შესწავლის და აღკვეთის კუთხით. მნიშვნელოვანია ქვეყნის მასშტაბით მოსალოდნელი ან/და დაგეგმილი დივერსიული ან/და ტერორისტული აქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის კოორდინაციის მექანიზმების გაუმჯობესება და მასშტაბური ანტიტერორისტული სწავლების ჩატარება (ან ამ სწავლებისათვის შესაბამისი საორგანიზაციო ღონისძიებების დაგეგმვა და დაფინანსება). ამავდროულად, ყურადღება უნდა დაეთმოს არსებული მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განახლებას, კონტრტერორისტული ცენტრის სტრუქტურული და ფუნქციონალური შესაძლებლობების დასახულ ამოცანებთან შესაბამისობაში მოყვანას. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია საქართველოს პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა.

საქართველოში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის, სპეციალური მოწყობილობებისა და ტექნიკის კონტროლი

ლეგალურად შეძენილი და რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღის, სპეციალური მოწყობილობების და სპეცტექნიკის შესაძლო ტერორისტულ აქტებში გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა შსს-ს შესაბამისი დანაყოფების მიერ გაძლიერდეს კონტროლი მაღალი საბრძოლო მახასიათებლების მქონე კატეგორიის იარაღის მფლობელებზე, გამკაცრდეს მისი აღრიცხვაზე აყვანის წესები და შენახვის პირობების მოთხოვნები.

ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ზონების ოპერატიული კონტროლის გაძლიერება

შესაძლო ტერორისტული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, უნდა გაძლიერდეს კოორდინირებული მუშაობა ,,რისკის ზონებში“ შსს-ს მივლინებულ და ადგილობრივ რეგიონულ დანაყოფებს შორის. აუცილებელია შემუშავდეს შესაძლო ტერორისტული საფრთხის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციების (მათ შორის, რეგიონებში მოქმედი დამკვირვებელთა მისიების) სწრაფი ინფორმირების მექანიზმი.

თანამშრომლობის გაღრმავება რეგიონულ, ორმხრივ და საერთაშორისო დონეზე

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, საქართველო გააგრძელებს ქვეყნის კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, აქტიურად ითანამშრომლებს ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის სტრუქტურებთან, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მეზობელ სახელმწიფოებთან. აუცილებელია პარტნიორი ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობის გაღრმავება,

გამოცდილების გაზიარება, მონაცემთა მუდმივი და ოპერატიული გაცვლა. აუცილებელია მუდმივად განხორციელდეს ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების, დანადგარების და ნივთიერებების შესაძლო ტრანზიტის ან ექსპორტის მონიტორინგი.

ტერორისტული დარტყმის პოტენციური სამიზნეების გამოვლენა და პასპორტიზაცია

უნდა განხორციელდეს ტერორისტული დარტყმის პოტენციური სამიზნეების გამოვლენა და მათი პასპორტიზაცია, რათა სპეციალური ოპერაციების ჩატარებასთან დაკავშირებით წინასწარ მოხდეს რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული, თავის მხრივ, პირად შემადგენლობას გაუადვილებს დასახული ამოცანის შესრულებას.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

2013 წლის აგვისტოში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო მუშაობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების პროექტზე. აღნიშნული ითვალისწინებს ცვლილებებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. სახელმძღვანელო პრინციპად აღებულ იქნა თანამედროვე ტერორიზმის პრობლემატიკა, თანამედროვე ტერორისტული ორგანიზაციების სტრუქტურა და დამახასიათებელი ნიშნები. სწორედ მათთან დაკავშირებული გამოწვევებისადმი გარკვეული „ადაპტაციის“ მიზნით იქნა შემუშავებული აღნიშნული პროექტი.

კოდექსს ემატება ახალი 323[2] მუხლი, რომელიც ეხება საერთაშორისო ტერორიზმს, რაც არეგულირებს საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში სტატუსის მქონე პირის მონაწილეობას ტერორისტულ საქმიანობაში. შემოდის ტერორისტული ორგანიზაციის „წევრობის“ და „წევრობისთვის გადაბირების“ კომპონენტები. ხორციელდება ორგანიზაციის საქმიანობაში „აქტიური მონაწილეობის“ კრიმინალიზაცია. ამასთანავე, კანონმდებლობაში შემოდის სამხედრო წვრთნა ტერორისტული ორგანიზაციის მიერ. ტერორიზმის დაფინანსებასთან ერთად, შესაბამისი მუხლით მოხდება ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერის კრიმინალიზაცია. კანონმდებლობაში შემოდის ტერორისტული საქმიანობის ხელშეშლისათვის ზომების მიუღებლობის მუხლი.

<u>კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა</u>

კიბერდანაშაული 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა და მისი მასშტაბების გათვალისწინებით განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს. ეს, თავის მხრივ, სახელმწიფო, კერძო თუ არასამთავრობო სექტორებს შორის აქტიურ თანამშრომლობას მოითხოვს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რაც შეამცირებს კიბერდანაშაულით გამოწვეულ ეკონომიკური,

პოლიტიკური და სოციალური ხასიათის საფრთხეებს და შექმნის მეტად უსაფრთხო გარემოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარებისათვის.

2008 წლიდან დაიწყო კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. 2012 წლიდან მოქმედებს საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“. საქართველოს მიერ რატიფიცირებულია ევროპის საბჭოს კონვენცია „კიბერდანაშაულის შესახებ“. სრულად განახლდა სისხლის სამართლის კოდექსის XXXV თავი. ცვლილებები შეეხო საპროცესო კანონმდებლობასაც. შემოღებულ იქნა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კიბერდანაშაულის ჩადენისათვის. დაიხვეწა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ მუხლი (საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფა). დაიხვეწა ბავშვთა პორნოგრაფიის მუხლი. ასევე, ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონებში „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ.“

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შექმნილია კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო, რომლის მთავარი ფუნქციაა კომპიუტერული და ელექტრონული დანაშაულის გამოძიება და შსს-ს ცენტრალური და ტერიტორიული დანაყოფებისთვის შესაბამისი დახმარების აღმოჩენა კიბერდანაშაულის სფეროში ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისას. აღნიშნული სამმართველო მოიცავს 24/7 საერთაშორისო საკონტაქტო პუნქტს, რომელიც კონვენციის 35–ე მუხლის თანახმად ახორციელებს ევროპის საბჭოს კონვენციის წევრი ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოებისგან კიბერდანაშაულის სფეროში სამართლებრივი დახმარების აღმოჩენას და შესაბამისი ინფორმაციის გაცვლას.

2013 წლის მაისში, შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში შეიქმნა ჰაბიტოსკოპიური და კომპიუტერულ-ტექნიკური ექსპერტიზის განყოფილება. შეძენილ იქნა სხვადასხვა სახის მოწყობილობები კომპიუტერის მყარი დისკიდან, მობილური ტელეფონებიდან და სხვა ელექტრონული მოწყობილობებიდან ციფრული მტკიცებულებების სახეცვლილებისა და დაზიანების გარეშე ამოღებისთვის და მათი შემდგომი საექსპერტო დამუშავებისთვის.

2013 წელს, შსს-ს შესაბამისი დანაყოფებისთვის განხორციელდა არაერთი ტრენინგი და სასწავლო ვიზიტი.

საქართველო აგრძელებს თანამშრომლობას კიბერდანაშაულთან ბრძოლაში ჩართულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან. 2012 წლის სექტემბრიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ესტონეთის მთავრობის დაფინანსებით ახორციელებს პროექტს „შსს-ს თანამშრომლების შესაძლებლობების განვითარება კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შემდგომი ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების განხორციელება, ასევე ქართულ ენაზე კიბერდანაშაულის სასწავლო მოდულების შემუშავება, რომელიც გამოყენებული იქნება როგორც სასწავლო მასალა.

გამოწვევები

საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებელი

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასთან ერთად, იზრდება კიბერსაფრთხეები და მასთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ქმედებები. კიბერკრიმინალები სწრაფად პოულობენ ახალი ტექნოლოგიების ნაკლოვანებებს და ახდენენ მათ უკანონო ექსპლოატაციას.

დამნაშავეები დანაშაულებრივ საქმიანობაში ხშირად მიმართავენ კიბერდანაშაულის ისეთ სახეებს, როგორებიცაა: კომპიუტერულ სისტემაზე უნებართვო წვდომა, მონაცემთა ხელში ჩაგდება, მონაცემთა ხელყოფა, სისტემაში ჩარევა, მოწყობილობათა ბოროტად გამოყენება, კომპიუტერთან დაკავშირებული თაღლითობა, საბანკო თაღლითობა, ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაული, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებული დანაშაული, არაფინანსური დანაშაულის ისეთი სახეები, როგორებიცაა მუქარა, შეურაცხყოფა და სხვა. დამნაშავეების სამიზნეა ადამიანთა პირადი ცხოვრებაც. შესაბამისად, აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კიბერ საფრთხეებისა და მისგან გამოწვეული ზიანის შესახებ.

საკანონმდებლო ბაზის დახვეწის აუცილებლობა

კიბერდანაშაულთან ბრძოლაში საკანონმდებლო ბაზის გადახედვისა და განახლების აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ თანამედროვე მსოფლიოში შეუქცევადად მიმდინარეობს ტექნოლოგიური პროგრესი. ეს უკანასკნელი ზრდის კიბერსივრცის გამოყენებით უპრეცედენტო მასშტაბის დანაშაულების ჩადენის საშიშროებას. საჭიროა ტექნოლოგიური პროგრესის შესაბამისად იხვეწებოდეს საკანონმდებლო ბაზა, რათა სამართლებრივად შესაძლებელი გახდეს კიბერსივრცეში ჩადენილ ქმედებებზე რეაგირება. სხვაგვარად, შესაძლებელია შეიქმნას სიტუაცია, რომ საკანონმდებლო ხარვეზის გამო კონკრეტული კიბერდანაშაული სამართლებრივი რეაგირების გარეშე დარჩეს.

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული სტრუქტურული დანაყოფების შესაძლებლობების განვითარების საჭიროება

გამოწვევად რჩება კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული სტრუქტურული დანაყოფების პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფა, კიბერდანაშაულის გამოვლენისა და გამოძიების საკითხებზე მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და შესაბამისი კადრების მოძიება.

2014 წლის პრიორიტეტები

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

კიბერდამნაშავეები არა მარტო აზიანებენ კრიტიკულ ინფორმაციულ სისტემებს, აგრეთვე იყენებენ კიბერსივრცეს სხვადასხვა დანაშაულის ჩასადენად. კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის მიზნით, აუცილებელია საინფორმაციო კამპანიების წარმოება კიბერდანაშაულისა და მისგან გამოწვეული ზიანის შესახებ. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ როგორ დაიცვას თავი კიბერდანაშაულისგან, უნდა გააჩნდეს ინფორმაცია პოტენციური საფრთხეების, მათი იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების შესახებ.

კიბერდანაშაულთან ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ბაზის პერიოდული გადახედვა და საჭიროებისამებრ, ცვლილებების შეტანა

აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს კიბერსივრცეში ჩადენილ დანაშაულთა შემდგომი კლასიფიკაცია, ასევე მოხდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ციფრულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით რამდენიმე საპროცესო ღონისძიების ინკორპორირება. ამასთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს შიდაუწყებრივი დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს ციფრული მტკიცებულებების ამოღების, პირველადი მოპყრობისა და მისი შემდგომი ექსპერტიზის საკითხებს. აღნიშნული შესაძლებელს გახდის სამართლებრივ დონეზე განისაზღვროს ციფრული მტკიცებულებების მოპოვებისა და მათი შემდგომი დამუშავების წესები, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ამ მტკიცებულებათა დაზიანების ან ფალსიფიკაციის საფრთხეს. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია ინტერნეტის პროვაიდერების ვალდებულებების გადახედვა საკანონმდებლო დონეზე, ანალიზი და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება, რაც უფრო გააღრმავებს პროვაიდერებსა და სახელმწიფოს შორის კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობას.

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული სტრუქტურული დანაყოფების შესაძლებლობების განვითარება

აუცილებელია კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული დანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ტრენინგებისა და სასწავლო ვიზიტების განხორციელება. საჭიროა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება. მნიშვნელოვანია საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოსა და ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის შესაძლებლობების განვითარება ციფრულ მტკიცებულებებთან (კიბერკრიმინალისტიკა) მუშაობის მიმართულებით.

კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავება

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში სამართალდამცავ სტრუქტურებთან ერთად აუცილებელია ბიზნესის მონაწილეობაც. დასაცავი ინფრასტრუქტურის უდიდეს ნაწილს ფლობს და ოპერირებს სწორედ კერძო სექტორი. აუცილებელია კომპანიების ინფორმირება, თუ როგორ დაიცვან კომერციულად სენსიტიური ინფორმაცია, ინტელექტუალური საკუთრება, მომხმარებელთა მონაცემები და როგორ მოახდინონ რეაგირება მსგავსი ტიპის დანაშაულზე. ამ კუთხით აუცილებელია ბიზნესზე ორიენტირებული საინფორმაციო კამპანიების წარმოება. ასევე აუცილებელია ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან საჭიროებისამებრ საინფორმაციო შეხვედრების გამართვა.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

კიბერუსაფრთხოების სფეროში, საერთაშორისო ინიციატივებში აქტიური მონაწილეობა და სხვა ქვეყნებთან ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის ინიცირება, ასევე აღნიშნულ სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ევროკავშირი, ეუთო, ნატო, გაერო, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი, ევროსაბჭო) და სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

24/7 საერთაშორისო თანამშრომლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კიბერდანაშაულის ეფექტიანი გამოძიებისთვის. ყველა სხვა პროცედურა დროშია გაწელილი და ამ პერიოდში სავსებით შესაძლებელია ციფრული მტკიცებულებების განადგურება. შესაბამისად, კიბერდანაშაულის კონვენციით გათვალისწინებული 24/7 საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით შესაძლებელია კიბერსივრცეში ჩადენილი დანაშაულების ცხელ კვალზე გამოძიება.

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

<u>შსს-ს მომსახურების სააგენტო</u>

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მოქალაქეთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მომსახურების სააგენტო მიზნად ისახავს თანამედროვე ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებასა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვას მომსახურების ყველა სფეროში.

სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია: სატრანსპორტო საშუალებებზე საბაჟო პროცედურების განხორციელება, სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია, მართვის უფლების მინიჭება და მართვის მოწმობის გაცემა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

სააგენტოში დანერგილია დოკუმენტბრუნვისა და საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა. შექმნილია ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც შესაბამისი პროგრამების მეშვეობით მომსახურების სააგენტოს ყველა დანაყოფს დროის რეალურ რეჟიმში ერთმანეთთან ეფექტური თანამშრომლობის საშუალებას აძლევს. აღსანიშნავია, რომ სააგენტოში არ არსებობს მომსახურების გაწევის ტერიტორიული პრინციპი. მოქალაქეს მომსახურების მისაღებად უფლება აქვს მიმართოს სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ დანაყოფს, თავისი საცხოვრებელი ან რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა პარალელურად დანერგილია ყველა იმ სახელმწიფო სტრუქტურაში, რომლის ინფორმაციამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომსახურების გაწევაზე. კერძოდ, შექმნილი ელექტრონული სერვერების მეშვეობით ხორციელდება ინფორმაციის გაცვლა შინაგან საქმეთა, იუსტიციის და ფინანსთა სამინისტროების სისტემაში შემავალ სტრუქტურებთან, აგრეთვე სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან.

2013 წელს მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, მომსახურების სააგენტოში (თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი, 21-ე კმ) აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა „E" ბლოკის შენობა. შენობაში ხორციელდება სატრანსპორტო საშუალებათა სანომრე ნიშნების, რეგისტრაციის მოწმობებისა და მართვის მოწმობების დამზადება და გაცემა. ამავე შენობაში ხორციელდება საბანკო მომსახურებაც. აღნიშნული სერვისების ერთ სივრცეში განთავსებით დაინერგა „ერთი სარკმლის" პრინციპი.

მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დამატებით შეძენილ იქნა სატვირთო სატრანსპორტო საშუალების მისაბმელები. ქ. რუსთავში მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდის მოედანს დაემატა „უკუსვლით პარკირების" ორი და „პარალელური პარკირების" ერთი საგამოცდო ელემენტი, რაც პრაქტიკულ გამოცდაზე უფრო მეტი გამოსაცდელის მიღების საშუალებას იძლევა.

მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების საექსპერტო შემოწმების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შეძენილ იქნა და მომსახურების სააგენტოს ყველა რეგიონულ სტრუქტურულ ერთეულში დამონტაჟდა ავტომობილების დასათვალიერებელი ამწე მოწყობილობები.

იარაღის ბალისტიკური ექსპერტიზის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შეძენილ იქნა და მომსახურების სააგენტოს ყველა რეგიონულ სტრუქტურულ ერთეულს გადაეცა პნევმატური იარაღის ტყვიის სიჩქარის მზომი ქრონოგრაფები.

მომზადდა შესაბამისი ელექტრონული პროგრამა, რომელიც უცხო სახელმწიფოში მყოფი საქართველოს მოქალაქის მიერ შესაბამისი ელექტრონული სახის დოკუმენტების სააგენტოს ვებ-გვერდზე წარმოდგენის (ატვირთვის) საფუძველზე, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სატრანსპორტო საშუალებათა მართვის მოწმობის ან რეგისტრაციის მოწმობის გაცემის (შეცვლა ან დაკარგულის აღდგენა) საშუალებას იძლევა.

დაიხვეწა გირავნობის რეგისტრაციის პროგრამა. აღნიშნული ავტორიზებულ მოგირავნეებს საშუალებას აძლევს სააგენტოს, მატერიალური დოკუმენტაციის

წარდგენის გარეშე, ელექტრონულად მიაწოდონ ინფორმაცია გირავნობის რეგისტრაციაზე, რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელებაზე ან რეგისტრაციის გაუქმებაზე.

2013 წელს მიმოქცევაში შევიდა ახალი, ,,TT" სერიის შიდა ტრანზიტული სანომრე ნიშანი, რაც განპირობებული იყო აღნიშნული ტიპის დროებით სანომრე ნიშანზე მოთხოვნის გაზრდით. დაიწყო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, თანამედროვე დიზაინის მქონე სატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო მოწმობის გაცემა, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს „საგზაო მოძრაობის შესახებ" ვენის 1968 წლის 8 ნოემბრის კონვენციისა და ევროკავშირის მოთხოვნებს.

დაწყებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და მათი, როგორც საგზაო მოძრაობის სრულფასოვანი მონაწილეების უსაფრთხოების დაცვისათვის საჭირო სისტემის შექმნა.

გამოწვევა

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და ახალი სერვისების დანერგვის საჭიროება

გაუმჯობესებული მომსახურების და ახალი სერვისების მზარდი მოთხოვნის პირობებში, აუცილებელია ხარისხის არსებული სტანდარტის მუდმივი დახვეწა. მნიშვნელოვანია თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარება. სააგენტოს მიერ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებზე ეფექტიანი რეაგირების უზრუნველსაყოფად, უნდა განხორციელდეს არსებული შესაძლებლობების ანალიზი, რაზე დაყრდნობითაც მოხდება სააგენტოს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. მნიშვნელოვანია დაიხვეწოს არსებული ტექნოლოგიური შესაძლებლობები, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს სააგენტოს მომსახურების სფეროს განვითარებას და ხარისხის გაუმჯობესებას.

2014 წლის პრიორიტეტები

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

საზოგადოებრივი მოთხოვნილებების საპასუხოდ, პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება მომსახურების არსებული მექანიზმების გაუმჯობესება და დივერსიფიკაცია, ასევე ტექნოლოგიური და მატერიალური შესაძლებლობების განვითარება.

მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების გაუმჯობესებისა და მომხმარებლისთვის კომფორტული გარემოს შექმნის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. მოხდება

სარეგისტრაციო დარბაზის მოდერნიზაცია. ასევე, დაგეგმილია მომსახურების სააგენტოს ცხელი ხაზის რეფორმა.

მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების სისტემის დახვეწა

ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, 2014 წელს უკვე შესაძლებელია ავტომატური გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებებზე მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება. ეს კიდევ უფრო გაზრდის საერთაშორისო დონეზე მართვის მოწმობის აღიარების მაჩვენებელს. გარდა ამისა, პრაქტიკული გამოცდა ჩატარდება ქალაქში, რეალურ მოძრაობაში, რის ფარგლებშიც მოხდება გამომცდელების გადამზადება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პერიოდული ტექნიკური დათვალიერების შემოღებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება

ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესების პირობებით დადგენილი აუცილებელი მოთხოვნების შესაბამისად, საქართველო იღებს ვალდებულებას დანერგოს სავალდებულო პერიოდული ტექნიკური დათვალიერება ყველა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებისთვის. მომსახურების სააგენტო ეცნობა ევროპის ქვეყნებში არსებულ პრაქტიკას და აქტიურად თანამშრომლობს შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან. 2014 წელს აღნიშნული პროცესი გადავა განხორციელების აქტიურ ფაზაში.

ახალი ტიპის სანომრე ნიშნების შემოღება

2014 წელს იგეგმება ახალი ტიპის სანომრე ნიშნების შემოღება, რომელიც თავისი ფორმითა და შინაარსით შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ახალი ნიმუშის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება.

ახალი ელექტრონული სერვისის დანერგვა

იქმნება ელექტრონული არქივი, სადაც განთავსდება მომსახურების სააგენტოში არსებული მატერიალური მასალა, რაც ხელს შეუწყობს მონაცემთა სწრაფ დამუშავებას. აგრეთვე, სახელმწიფო უწყებებს ექნებათ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში გაეცნონ შესაბამის დოკუმენტაციას.

ავტოსკოლების რეფორმა, საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის წესების საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა

2014 წელს დაგეგმილია აქტიური თანამშრომლობა ქვეყანაში მოქმედ ყველა ავტოსკოლასთან, მართვის მოწმობის მისაღები გამოცდის ჩაბარების დახვეწისა და საერთო დონის ამაღლების მიზნით.

2014 წელს დაგეგმილია საქართველოში მოქმედ სკოლებში საგზაო ნიშნებისა და მოძრაობის წესების სწავლების დანერგვა.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და გამოცდილების გაზიარება

2014 წელს დაგეგმილია ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება, როგორებიცაა ევროპის სატრანსპორტო საშუალებებისა და მძღოლების სარეგისტრაციო უწყებების ასოციაცია და პრაქტიკული გამოცდის გამომცდელების საერთაშორისო კომისია. აღნიშნული ორგანიზაციების მეშვეობით მოხდება შესაბამის ორგანოებს შორის ინფორმაციისა და გამოცდილების ორმხრივი გაცვლა, წამოჭრილი საკითხის გადაწყვეტა და იმ დირექტივების სტანდარტების გაზიარება, რომლებიც ინერგება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში როგორც სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციისა და მართვის უფლების მინიჭების, აგრეთვე პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების პროცესის ფარგლებში.

<u>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „112“</u>

2012 წლიდან ფუნქციონირებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „112“. მისი ძირითადი ფუნქციაა სხვა უფლებამოსილ სუბიექტებთან კოორდინირებული საქმიანობით საგანგებო სიტუაციებსა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში გადაუდებელი დახმარების ოპერატიული და ეფექტიანი მართვა და ამ მიზნით შეტყობინებების მიღება ერთიანი სატელეფონო ნომრის „112“-ის საშუალებით.

ზარების ეფექტიანი მართვის მიზნით, დაწყებულია სარეზერვო რეგიონული ოფისის მშენებლობა.

,,112“-ში პროგრამული შეფერხების თავიდან აცილებისთვის, 2013 წლის აგვისტოში, ჩამოყალიბდა პროგრამისტთა ჯგუფი, რომელიც „112“-ის უწყვეტი ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფს პროგრამული სისტემის სარეზერვო გეგმის შექმნას და ქსელის უსაფრთხოებას. მოქალაქეებისგან შეტყობინებების უწყვეტ რეჟიმში მიღების უზრუნველსაყოფად, მიმდინარეობს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა.

2013 წელს დაიწყო „112“-ის რებრენდინგის პროცესი და განისაზღვრა ბრენდის პლატფორმა. რებრენდინგის მიზანია, „112“-ის ლოგო გახდეს მოსახლეობისთვის მარტივად დამახსოვრებადი და ცნობადი. ცნობადობის გაზრდისა და სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლების მიზნით, პერმანენტულად შუქდება „112“-თან დაკავშირებული სიახლეები და მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია ცენტრის მუშაობის სპეციფიკის და მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

„112“-ში შემუშავდა პერსონალზე მორგებული სამუშაო სტანდარტები, გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა და დაიხვეწა სამუშაო გრაფიკი. ღამის ცვლის ოპერატორებისა და დისპეტჩერებისათვის მოეწყო მოსასვენებელი ოთახები. მოგვარდა „112“-ში დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ტრანსპორტირების საკითხთან დაკავშირებით არსებული ტექნიკური პრობლემები.

„112“-ში პერმანენტულად ხორციელდება თანამშრომელთა პროფესიული გადამზადება. აღნიშნულის მიზანია გადაუდებელი შემთხვევების შეფასება და მართვის ხარისხის გაუმჯობესება. შსს-ს აკადემიაში, ოპერატორებისა და დისპეტჩერებისათვის სისტემატურად ტარდება ტრენინგები საპატრულო, სასწრაფო და სახანძრო-სამაშველო დახმარების თემატიკაზე, საბაზისო განათლების ამაღლებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით.

ცრუ გამოძახებების რაოდენობის შემცირების მიზნით, 2013 წელს ჩატარდა მრავალი სარეკლამო კამპანია და განხორციელდა სხვადასხვა პროექტი. არამიზნობრივი ზარების პრევენციის მიზნით განხორციელებული კამპანიების დაგეგმვისას, გათვალისწინებულ იქნა ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლების რეკომენდაციები. „112“-ის მუშაობას ადგილზე ეცნობოდნენ და აკვირდებოდნენ მოწვეული სკოლის მოსწავლეები.

2013 წლის სექტემბერში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო შსს-ს მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომლის თანახმადაც გამკაცრდა სანქციები „112“-ის საგანგებო ნომრის არამიზნობრივი გამოყენებისა და ცრუ შეტყობინებების განხორციელებისთვის.

გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც ევროკავშირის ფარგლებში არსებულ სხვადასხვა ქვეყნის „112“-თან, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედ „911“-თან. 2013 წელს „112“ „ევროპის ერთიანი საგანგებო ნომრის ასოციაციის“ (EENA) სრულუფლებიანი წევრი გახდა. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება იძლევა მომსახურების ეფექტიანობის გაზრდისა და სამუშაო სტანდარტების საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის საშუალებას.

გამოწვევები

სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფის აუცილებლობა

გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის უწყვეტი და გამართული ფუნქციონირებისათვის, ზარების დაუბრკოლებლად მიღებისა და ინფორმაციის დროული გადაცემის მიზნით, აუცილებელია სისტემის მდგრადობის შენარჩუნება და ქსელის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. „112“-ის სისტემის განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების და ოპერაციული სისტემების დანერგვა.

ზარის ინიციატორის ადგილსამყოფელის დადგენის შეუძლებლობა

ინიციატორის ადგილსამყოფელის დადგენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ისეთ შემთხვევებში, როცა ინიციატორმა არ იცის თავისი ადგილსამყოფელი, ან სხვადასხვა მიზეზების გამო, ამ ინფორმაციის მიღება შეუძლებელია მისგან.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სისტემის ადაპტაციის საჭიროება

არსებული სისტემა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა (სმენადაქვეითებული და მეტყველების პრობლემის მქონე პირები) „112“-ით დაუბრკოლებლად ისარგებლონ.

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობა

მომსახურების ხარისხის მუდმივი ზრდა და მონიტორინგი „112“-ის ეფექტიანი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. აუცილებელია საზოგადოების უსაფრთხოების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა ოპერაციული სისტემების განვითარებით და მუდმივი სისტემური სტანდარტიზაციით.

არამიზნობრივი ზარები

მოსახლეობის მიერ ხშირად ხდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ნომრის არამიზნობრივი გამოყენება. არასაგანგებო ხასიათის ზარები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის გადაუდებელი დახმარების მართვის სისტემაში ჩართული სამსახურების ეფექტიან ფუნქციონირებას. სტატისტიკის მიხედვით, არამიზნობრივად განხორციელებული ზარების ინიციატორთა უმეტესობას მოზარდები წარმოადგენენ.

2014 წლის პრიორიტეტები

არსებული პროგრამის გაუმჯობესება

პროგრამული ხარვეზების პრევენციის, სამუშაო პროცესის შემსუბუქებისა და საკომუნიკაციო ქსელის განტვირთვის მიზნით, იგეგმება არსებული პროგრამის გამარტივება, რაც მონაცემთა ორი ბაზის - საოპერაციო და საარქივო - ფორმირებას გულისხმობს. მონაცემთა საოპერაციო ბაზაში დარეგისტრირებული საქმეები, ინფორმაციის დარეგისტრირებიდან 2 კვირის შემდეგ, ავტომატურ რეჟიმში გადავა საარქივო მონაცემთა ბაზაში, სადაც დარეგისტრირებული საქმეების შესახებ დეტალური ინფორმაცია უვადოდ იქნება შენახული.

„112“-ის ალტერნატიული ცენტრის შექმნა

2014 წელს ექსპლოატაციაში შევა „112“-ის ალტერნატიული ცენტრი. შემოსული ზარების გადანაწილება მოხდება ორ ცენტრს შორის, რაც უზრუნველყოფს ზარების ეფექტიან მართვას, მოახდენს სისტემის გადატვირთვის პრევენციას და ცენტრალური ოფისის ავარიული გათიშვის შემთხვევაში უზრუნველყოფს ზარების შეუფერხებლად

მიღებას. ცენტრის გამართული ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, აგრეთვე თანამედროვე სტანდარტიზებული ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთათვის ხელსაყრელი სამუშაო გარემოს შექმნას.

ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა

შსს-ს სსიპ „112“ წარმოადგენს კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტს, რომლის უწყვეტი ფუნქციონირება მნიშვნელოვანია ქვეყნის უსაფრთხოებისთვის და საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური ტემპის შენარჩუნებისთვის. ორგანიზაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია ტექნიკური საშუალებების გამართულად ფუნქციონირება და ინფორმაციული აქტივების მთლიანობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, „112“ შეიმუშავებს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის პოლიტიკის დოკუმენტს. ასევე, შიდა და გარე საფრთხეების ინფორმაციის და რეპუტაციის დასაცავად უზრუნველყოფილი იქნება სათანადო ინფორმაციული უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმების შექმნა.

სტატისტიკის პროგრამის შექმნა

იგეგმება დამოუკიდებელი, სტატისტიკური მონაცემების აღმრიცხველი პროგრამის შემუშავება. აღნიშნული პროგრამა გულისხმობს ისეთი სტატისტიკური რუკის შექმნას, რომელიც დეტალურად აღრიცხავს საქართველოს თითოეული რეგიონიდან შემოსული ზარების რაოდენობას და დეტალურად გამიჯნავს საქმეთა კატეგორიებს. შესაძლებელი გახდება სტატისტიკური ანგარიშების წარმოება, სხვადასხვა სახის ანალიზის განხორციელება და სრულყოფილი საინფორმაციო ბაზების ფორმირება.

ზარის ინიციატორის ადგილმდებარეობის განსაზღვრისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება

ზარის ინიციატორის ადგილმდებარეობის განსაზღვრის სისტემის დანერგვის მიზნით, 2013 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები შესაბამის ტექნიკურ პროვაიდერებთან და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ მობილურ ოპერატორებთან. ამ მიმართულებით, 2014 წელს შემუშავდება შესაბამისი პროექტი, განისაზღვრება მისი განხორციელების ეტაპები და დაფინანსების წყარო.

სისტემის ადაპტაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის

2014 წლიდან ამოქმედდება „112“-თან მოკლეტექსტური შეტყობინებისა და ვიდეოზარის საშუალებით დაკავშირების სერვისი. ვიდეოზარი საშუალებას მისცემს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს (ასევე ზარის ნებისმიერ ინიციატორს) გადაუდებელი შემთხვევებისას გადმოსცენ ადგილზე არსებული ვითარება, რათა ოპერატორმა მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. SMS შეტყობინების მომსახურების

დანერგვა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, რათა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს მუდმივი წვდომა ჰქონდეთ „112“- ის ცენტრთან.

ოპერატიული და სადისპეტჩერო სამუშაო პროცესის ტექნოლოგიური გაუმჯობესება

საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, „112“ მუშაობს სადისპეტჩერო პროტოკოლების პრიორიტეტების (AMPDS) სისტემის დანერგვაზე. ეს გულისხმობს, საქმეთა პრიორიტეტების ავტომატურ რეჟიმში განსაზღვრას. ამ მიზნით სამედიცინო, საპატრულო-კრიმინალური და სახანძრო სამაშველო შინაარსის შეტყობინებების მიღებისას, ოპერატორის მიერ მოხდება ინტერვიუს წარმოება სადისპეტჩერო სახელმძღვანელოებისა და პროტოკოლების მიხედვით. ასევე, აღნიშნული ითვალისწინებს მოქალაქეთათვის შესაბამისი კონსულტაციების გაწევას და აუცილებელი პირველადი ინფორმაციის მიწოდებას, საგანგებო სიტუაციებსა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევებზე მორეაგირე სუბიექტების დანიშნულების ადგილზე მისვლამდე.

ამ კუთხით, აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები მომიჯნავე სამსახურებთან და ტექნიკურ პროვაიდერებთან. 2014 წლისთვის განისაზღვრება პროექტის დაფინანსების წყარო, მომიჯნავე სამსახურების ზუსტი როლი და პასუხისმგებლობა.

„112“-ის მომსახურების პაკეტის დივერსიფიკაცია - უსაფრთხოების სერვისების დანერგვა

მოსახლეობისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი და მოქნილი სისტემის უზრუნველყოფის მიზნით, „112“ გეგმავს უსაფრთხოების სხვადასხვა სერვისის დანერგვას.

2014 წლიდან „112“ მოსახლეობას შესთავაზებს ევაკუატორებით დახმარების სერვისს, რომელიც მაქსიმალურად მოქნილია და მორგებულია საზოგადოების ინტერესებზე. აღნიშნული სერვისის საშუალებით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ თითოეულ პირს გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერზე „112“ დარეკვით შეეძლება ევაკუატორებით სარგებლობა.

2014 წლისათვის „112“ ტურისტებს შესთავაზებს ადგილმდებარეობის განმსაზღვრელ პერსონალურ აღჭურვილობას (ე.წ. „GPS ტრეკერები“), რომელიც განკუთვნილი იქნება საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ტურისტებისათვის. სერვისი უზრუნველყოფს ტურისტების ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრას სატელიტური სისტემის მეშვეობით.

2014 წლიდან იგეგმება განგაშის (SOS) ღილაკების განთავსება სხვადასხვა სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილზე, როგორებიცაა გვირაბები, ხიდები, გზაჯვარედინები, სხვადასხვა დაწესებულებები და ობიექტები. აღნიშნული უზრუნველყოფს გადაუდებელ შემთხვევებზე ოპერატიულ რეაგირებას.

იგეგმება ახალი პროექტის შემუშავება, რომელიც გულისხმობს ავტომანქანებში განგაშის ღილაკების განთავსებას. აღნიშნული ღილაკი ავტოსაგზაო შემთხვევის დროს

ავტომატურად გააგზავნის „112“-ში განგაშის სიგნალს და ინფორმაციას ინციდენტის ადგილმდებარეობის შესახებ. აღნიშნული სერვისის საქართველოში დანერგვა ხელს შეუწყობს ავტოსატრანსპორტო შემთხვევების დროულ დაფიქსირებასა და გადაუდებელ შემთხვევებზე ეფექტიან რეაგირებას.

დაგეგმილია სახანძრო უსაფრთხოების სერვისის (ხანძარსაწინააღმდეგო და მხუთავი აირის (CO) დეტექტორები) განვითარება.

„112“-ის ცნობადობის გაზრდა და არამიზნობრივი ხასიათის ზარების რაოდენობის შემცირება

„112“-ის ცნობადობის გაზრდისა და ცრუ გამოძახებების რაოდენობის შემცირების მიზნით, „112“ განახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს. აღნიშნული განკუთვნილი იქნება საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტთან კომუნიკაციისათვის, ტელევიზიის, რადიოს, პრესისა და სოციალური მედიის საშუალებით. დაგეგმილია სარეკლამო კლიპების განთავსება სხვადასხვა ტელევიზიაში. აგრეთვე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირ კომუნიკაციას. კერძოდ, გამოკითხვები ქუჩაში და გარე რეკლამების განთავსება ხელს შეუწყობს საზოგადოებაში „112“ - ის ცნობადობის გაზრდას.

„112“-ის ერთ-ერთ პრიორიტეტს გადაუდებელ შემთხვევებში ბავშვების ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. მნიშვნელოვანია მათთვის მართვის ცენტრის სამუშაო სპეციფიკის გაცნობა. განათლების სამინისტროსთან ერთად შემუშავების პროცესშია პროექტი სკოლებისათვის, რომლის მიზანია მოზარდებში სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება, „112“-ის ცნობადობის გაზრდა, მისი პოპულარიზაცია და დადებითი იმიჯის ჩამოყალიბება, რაც განაპირობებს მოზარდების მხრიდან არამიზნობრივი ზარების შემცირებას.

სამუშაო პროცედურებისა და შინაგანაწესის მოდიფიცირება და დახვეწა

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, „112“ გეგმავს არსებული სამუშაო პროცედურებისა და შინაგანაწესის დახვეწას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ერთიანი სტანდარტის ჩამოყალიბება, რომლის თანახმად „112“-ის ოპერატორებისა და დისპეტჩერებისთვის დეტალურად გაიწერება ქცევის შიდა წესები და განისაზღვრება ზარის მიღებისა და საქმის მართვის ახალი პროცედურები.

მონიტორინგი და ხარისხის კონტროლი

მომსახურების პერმანენტულად გაუმჯობესების მიზნით, „112“ მუდმივად ითვალისწინებს აღნიშნულ დარგში ევროპისა და ამერიკის მასშტაბით არსებულ სიახლეებს და საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრისთვის მისაღები ინოვაციების დანერგვას. ამ მხრივ, აღსანიშნავია მონიტორინგი შემომავალ ზარებზე, რათა გამოაშკარავდეს და აღმოიფხვრას ოპერატორთა თუ დისპეტჩერთა მხრიდან დაშვებული შეცდომები. აღნიშნული უზრუნველყოფს სამუშაო სტანდარტებისა და

პროცედურების შესაბამისობას ანალიტიკურ და სტატისტიკურ შეფასებებზე დაყრდნობით.

აუცილებელია თანამშრომელთა სამუშაო პირობების შემდგომი გაუმჯობესება, განსაკუთრებით ოპერატორთა/დისპეტჩერთა სტრესული სამუშაო გარემოს გაჯანსაღება, მათი რელაქსაციისათვის და ფსიქოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება. აგრეთვე, მნიშვნელოვანია მათი მუდმივი გადამზადება.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

„112“-ის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება. მომსახურების ეფექტიანობის გაზრდისა და სამუშაო სტანდარტების საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, 2014 წლიდან „112“ დაიწყებს გაწევრიანების პროცესს სხვადასხვა ასოციაციაში/ორგანიზაციაში, რომლებიც საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელოვან პლატფორმას ქმნიან (PSCE – ევროპის საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომუნიკაციის ფორუმი; IAEM - საგანგებო სიტუაციების მენეჯერთა საერთაშორისო ასოციაცია; TIEMS - საგანგებო სიტუაციების მართვის საერთაშორისო საზოგადოება).

„112“ აღჭურვილია ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების ერთიანი ელექტრონული სისტემით - ERC, რომელიც დაწერილია ქართველი პროგრამისტების მიერ. პროგრამის ფუნქციონალური უნიკალურობიდან გამომდინარე, „112“ გეგმავს ERC პროგრამის შეთავაზებას იმ ქვეყნებისათვის, სადაც იგეგმება გადაუდებელი დახმარების ცენტრის შექმნა და ერთიანი ნომრის - „112“-ის ამოქმედება.

<u>დაცვის პოლიცია</u>

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფია. მისი მთავარი ამოცანაა მოქალაქეებისა და ორგანიზაციების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მათი ცხოვრებისა და საქმიანობისათვის მშვიდი და ჯანსაღი გარემოს შექმნა. ეს ხორციელდება თანამედროვე ტექნოლოგიების ეტაპობრივი დანერგვითა და მომსახურების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებით.

დაცვის პოლიცია წარმოადგენს გამოცდილი პოლიციელებით დაკომპლექტებულ, თანამედროვე აპარატურითა და მუდმივად განახლებადი ტექნოლოგიებით აღჭურვილ დაცვის სამსახურს. იგი თავის საქმიანობას ახორციელებს სამი მთავარი სამმართველოს, თბილისში დისლოცირებული ოთხი სამმართველოსა და რვა რეგიონული სამმართველოს მეშვეობით.

მუდმივად მიმდინარეობს GPS სისტემის განვითარება. მისი მეშვეობით შესაძლებელია ავტოპარკში შემავალი ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობის დადგენა, მარშრუტის ზუსტი განსაზღვრა, გავლილი მანძილის კონტროლი, ობიექტის რუკაზე დატანა, სამუშაო პროცესზე ონლაინ რეჟიმში

დაკვირვება, თანამშრომლების სამუშაო დროის განსაზღვრა. GPS მოწყობილობით აღჭურვილია 1500-მდე დაცვის პოლიციის და დამკვეთის სატრანსპორტო საშუალება.

განხორციელდა დაცვის პოლიციის მომსახურების გადახდის სისტემის ბანკებთან ინტეგრირება. სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით ხელმისაწვდომი გახდა დაცვის პოლიციის მომსახურების საფასურის გადახდა.

ავტოპარკის განახლების მიზნით, დაცვის სამსახურისთვის 2013 წელს შეძენილ იქნა ახალი საინკასაციო ავტომობილები.

2013 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა დაცვის პოლიციის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით. ქ. გორში დაცვის პოლიციას გადაეცა შესაბამისი სტანდარტების ახალი შენობა. შიდა ქართლში, ზესტაფონსა და სამცხე-ჯავახეთში გარემონტდა ძველი შენობები.

2013 წლის თებერვლიდან, დაცვის პოლიციაში ინერგება მოქნილი ტარიფების სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს დაცვის პოლიციის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდას.

პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მუდმივად მიმდინარეობს ოპერატიული რეაგირების ჯგუფების თეორიული და პრაქტიკული სწავლებები დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და შსს-ს აკადემიაში.

ცნობადობის გაზრდის მიზნით, დაცვის პოლიცია მჭიდროდ თანამშრომლობს წამყვან ტელე–რადიო სადგურებთან.

შსს-ს მიერ სისტემატურად ხორციელდება ქვეყნის დაცული ობიექტების სტატისტიკის მონიტორინგი. არსებული შესაძლებლობების ანალიზის შედეგად, განისაზღვრება სამომავლო პრიორიტეტები.

გამოწვევები

ობიექტების დაცვის ორგანიზების ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობა

აუცილებელია ხარისხის არსებული სტანდარტის მუდმივი დახვეწა, რაც გულისხმობს საპოლიციო ძალებით მომსახურების დონის მკვეთრ ამაღლებას და თანამედროვე დაცვითი ტექნოლოგიების დანერგვის ტემპების დაჩქარებას.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის აუცილებლობა

დაცვის პოლიციის მომსახურებაზე მზარდი მოთხოვნის საპასუხოდ, აუცილებელია ამ უკანასკნელის შესაძლებლობების გაუმჯობესება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას და არსებულის რეაბილიტაციას. დეპარტამენტის მიერ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, აუცილებელია საფინანსო სექტორში მართვის თანამედროვე კომპიუტერული სისტემების დანერგვა.

ნორმატიული აქტების დახვეწის საჭიროება

სამეწარმეო სუბიექტების ხელშეწყობისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს განვითარების მიზნით, აუცილებელია რიგი ცვლილებების შეტანა სამართლებრივ ბაზაში, რათა მოხდეს დადგენილ სტანდარტებთან მისი შესაბამისობაში მოყვანა.

სოციოლოგიურ-მარკეტინგული კვლევების წარმართვისა და სარეკლამო საქმიანობის განხორციელების აუცილებლობა

სამომხმარებლო სეგმენტის მოთხოვნებისა და საჭიროებების სრულყოფილი განსაზღვრა დადებით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და სარეკლამო სტრატეგიის განსაზღვრის პოცესებზე.

2014 წლის პრიორიტეტები

დაცვითი-საგანგაშო ქსელის უსაფრთხოებისა და საიმედოობის გაზრდა

დაცვითი-საგანგაშო ქსელის უსაფრთხოებისა და საიმედოობის გაზრდა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დაცვის პოლიციის ცენტრალური დაკვირვების პულტზე შემოსული განგაშის სიგნალების დაბრკოლების გარეშე მიღებას და მკვეთრად აამაღლებს მათზე რეაგირების ხარისხს. აეროპორტის უსაფრთხოების სისტემების განვითარების მიზნით, 2014 წელს იგეგმება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ციფრული ვიდეო-სამეთვალყურეო ტექნიკის მონტაჟი.

GPS და ნავიგაციის სისტემების დანერგვის არეალის გაფართოება

GPS მომსახურების ხარისხის ამაღლებისა და დაცული ობიექტების ლოკაციის პროცესის გამარტივების მიზნით, შეიქმნება ობიექტების GPS კოორდინატების ელექტრონული რუკა. აღნიშნული შესაძლებელს გახდის მყისიერად განისაზღვროს პრობლემური ობიექტის ადგილმდებარეობა. ზემოაღნიშნული პროექტის პარალელურად, იგეგმება ოპერატიული რეაგირების ჯგუფების ნავიგაციის სისტემებით აღჭურვა, რაც GPS კოორდინატების ელექტრონული რუკის მსგავსად, შეძლებს საძიებელი ობიექტის ადგილმდებარეობის სწრაფ იდენტიფიცირებას.

შიდა კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემების განვითარება

კავშირის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 2014 წლისთვის იგეგმება არსებული რადიოკავშირგაბმულობის ქსელის ჩანაცვლება თანამედროვე ციფრული ქსელით. აღნიშნული შესაძლებელს გახდის სრულად დაიფაროს საქართველოს ტერიტორია. განსახორციელებელი პროექტების რიცხვს, რომელიც ითვალისწინებს შიდა პორტალში ახალი სერვისების დანერგვას, განეკუთვნება შიდა კომპიუტერული ინფრასტრუქტურის განვითარება. ეს პროცესი მნიშვნელოვნად აამაღლებს ქსელის მუშაობის ხარისხს და საგრძნობლად გაუმარტივებს სამუშაო პროცესს დეპარტამენტის თანამშრომლებს.

საფინანსო-სამეურნეო სექტორის თანამედროვე კომპიუტერული სისტემებით უზრუნველყოფა

2014 წლისთვის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ცენტრალური სასაწყობო მეურნეობის მარაგების ბრუნვის აღრიცხვის მიზნით, ინერგება უნივერსალური სააღრიცხვო პროგრამა „FMG". პროგრამის ფარგლებში, ნებისმიერ პროდუქციას მიენიჭება შტრიხკოდი, რაც გაამარტივებს გაცემული პროდუქციის ადგილმდებარეობის დადგენისა და იდენტიფიცირების პროცესებს. 2014 წელს დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო სექტორში ამოქმედდება ახალი საბუღალტრო პროგრამა „ინფოსაწარმო", რომელიც ყველა საბალანსო ანგარიშის ანალიტიკური დამუშავების საშუალებას იძლევა.

დაცვის პოლიციის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

2014 წელს განხორციელდება დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები. დაბა ურეკსა და დაბა ბაკურიანში დაცვის პოლიციის რეგიონული სამმართველოს დანაყოფებისთვის აშენდება ვიტრაჟული ტიპის შენობები. განხორციელდება დაცვის პოლიციის იმერეთი-გურიის რეგიონული სამმართველოს თერჯოლის განყოფილებისა და ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს გარდაბნის ქვეგანყოფილების ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია. მოეწყობა ინკასაციის ოფისი და დაჯავშნული ავტომობილების ავტოსადგომი.

ნორმატიული ბაზის დახვეწა

2014 წლისთვის დაგეგმილია „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს კერძო დაცვითი ორგანიზაციებისთვის კანონით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების შემცირებას. ამასთანავე, ცვლილებებით გათვალისწინებულია მათ საქმიანობაზე კონტროლის ეფექტიანობის ამაღლება. 2014 წელს დამტკიცდება ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობის ინკასირების, საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთებისა და ფიზიკურ პირთა დაცვა-გაცილების, საბანკო დაწესებულებების დაცვის ინსტრუქციები და დეპარტამენტის ახალი შინაგანაწესი.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის გაუმჯობესება

2014 წლისთვის იგეგმება კერძო დაცვითი მომსახურების ბაზრის კვლევა. განხორციელდება ბაზრის დინამიკაზე რეგულარული დაკვირვება და ტენდენციების ანალიზი. მოხდება ბაზრის სეგმენტაცია პროდუქციის, ფასისა და მარკეტინგული აქტივობების მიხედვით. საზოგადოებაში სასურველი იმიჯის დამკვიდრების მიზნით, შემუშავდება მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის ამაღლების მეთოდოლოგია. იგეგმება ახალი ვებგვერდის შექმნა და მასმედიის საშუალებებში სარეკლამო კამპანიების წარმოება.

საქართველოს შსს-ს აკადემიის შესაძლებლობების განვითარება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია უზრუნველყოფს უწყების საგანმანათლებლო პროცესს. იგი აწყობს და წარმართავს სპეციალიზებულ კურსებს სხვადასხვა დანაყოფებისთვის და რეგულარულ შიდასამსახურებრივ სწავლებას ახორციელებს პოლიციის ოფიცრებისთვის.

აკადემიის სასწავლო პროგრამა შედგება როგორც საბაზისო, ასევე სპეკკურსებისგან. გარდა ამისა, აკადემია უზრუნველყოფს ხელშეკრულების საფუძველზე სხვადასხვა ორგანოებისთვის/დაწესებულებებისთვის სპეციალისტთა მოსამზადებლად შესაბამისი სასწავლო კურსების ორგანიზებასა და განხორციელებას.

სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის, მიმდინარეობს აკადემიის პერსონალის კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება. აკადემია აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხო ქვეყნების პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

2013 წლის განმავლობაში, შსს-ს სისტემაში განხორციელებული რეფორმების ფარგლებში, შემუშავდა ახალი პროგრამები, არსებითად გადამუშავდა და გაიზარდა როგორც სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე მოქმედი თანამშრომლების გადამზადების პროგრამების ხანგრძლივობა. მოხდა ახალი საგნებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების დამატება. სასწავლო პროგრამებში დეტალურად გაიწერა თითოეული ლექციის სწავლის შედეგები. 2013 წელს შსს-ს აკადემიაში დამტკიცდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც ეხება სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს და განსაზღვრავს შეფასების სისტემას, სასწავლო პროცესის (მათ შორის, გამოცდების) მიმდინარეობას. შეიქმნა მსმენელთა ცოდნისა და უნარების შეფასების უნივერსალური, 100 ქულიანი, ობიექტური და გამჭვირვალე სისტემა, დეტალურად გაიწერა შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები, მათ შორის, მსმენელის შეფასება პრაქტიკული საქმიანობისას.

გასულ წელს აკადემიამ დიდი ყურადღება დაუთმო აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას სხვადასხვა მიზნობრივი ტრენინგისა თუ სასწავლო ვიზიტის ორგანიზებით. შემუშავდა პროექტი პედაგოგთა როტაციული სისტემით ჩანაცვლების შესახებ. ასევე, შემუშავდა და დამტკიცდა მსმენელთა და მსმენელად მისაღებ კანდიდატთა ქცევის კოდექსი, შსს-ს აკადემიის თანამშრომელთა შინაგანაწესი, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესი, სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ კანდიდატთა ტესტირებისა და გასაუბრების ჩატარების წესი და ა.შ. მოქალაქეებთან ურთიერთობისა და ინფორმაციის შეუფერხებელი მიწოდების მიზნით, 2013 წლიდან აკადემიაში ფუნქციონირებს ცხელი ხაზის სამსახური.

გაუმჯობესდა აკადემიის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტების პირადი შემადგენლობის

რეალურ ვითარებასთან მიახლოებულ პირობებში სწავლების მიზნით, 2013 წელს შსს-ს აკადემიაში იმიტირებული სასაზღვრო-გამტარი პუნქტი გაიხსნა. ობიექტის მშენებლობა და აღჭურვა აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების ბიუროს (INL) დაფინანსებით და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მეშვეობით განხორციელდა. შენობა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. გადახალისდა საბიბლიოთეკო ფონდი, შეიქმნა ელექტრონული კატალოგი. სასწავლო პროცესის პრაქტიკულ გარემოსთან დაახლოების მიზნით, სპეციალური პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელები აღიჭურვნენ საჭირო სიმულაციური ტექნიკით. პროგრამებში საცეცხლე მომზადების კომპონენტის არსებითად გაზრდის გამო, დამატებით გაიხსნა ახალი სიმულაციური ტირი.

პარლამენტმა მიიღო „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონი, რომელიც ითვალისწინებს პოლიციის აკადემიის საპოლიციო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად ჩამოყალიბებას. აკადემიაში დაწყებულია „საპოლიციო რეგულირების სამაგისტრო პროგრამის“ შემუშავება. აღნიშნულის შედეგად, უმაღლესი საპოლიციო სასწავლებელი გამოუშვებს შსს-ს საშუალო რგოლის ხელმძღვანელ მუშაკებს, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს სისტემის კიდევ უფრო მეტ გაჯანსაღებას და სამინისტროს მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას.

შსს-ს აკადემიამ, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობის ფარგლებში, განახორციელა მათი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის შესარჩევი კონკურსებისთვის საჭირო ტესტების შემუშავება და ტესტირების ორგანიზება.

2013 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს მასშტაბით, პირველად გაიმართა მთელი ოპერატიული შემადგენლობის ტესტირება, რომლის მიზანი იყო არსებული ნაკლოვანებების დადგენა და მათ აღმოსაფხვრელად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

გამოწვევები

უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსის მოპოვების აუცილებლობა

ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში პოლიციელთა სწავლება მოიცავს უმაღლეს აკადემიურ განათლებას. აღნიშნულ ეტაპზე, შსს-ს აკადემიას არ აქვს უფლებამოსილება განახორციელოს უმაღლესი აკადემიური განათლება, რადგან ის წარმოადგენს სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. შესაბამისი სტატუსის არქონა შეუძლებელს ხდის პოლიციელთათვის აკადემიური განათლების მიწოდებას.

შსს-ს საშუალო რგოლის საპოლიციო მენეჯერულ პოზიციებზე შესაბამისი აკადემიური განათლების მქონე კადრების ნაკლებობა

აკადემიური პროგრამის არარსებობა განაპირობებს შსს-ს საშუალო დონის საპოლიციო მენეჯერულ პოზიციებზე შესაბამისი აკადემიური განათლების მქონე კადრების ნაკლებობას. საპოლიციო რეგულირების სამართლის სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების აუცილებლობა მდგომარეობს იმაში, რომ უმაღლეს განათლებაზე გადასვლა ხელს შეუწყობს აკადემიაში შესაბამისი განათლებისა და უნარების მქონე კადრების მოძიება/მომზადებას, რაც განაპირობებს საპოლიციო დანაყოფების მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას.

სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემის არარსებობა

შსს-ს აკადემიაში სასწავლო პროცესის ადმინისტრირება (მსმენელთა და სტუდენტთა მონაცემები და სწავლის შედეგები, ელექტრონული რეგისტრაცია) საჭიროებს ელექტრონულ სისტემაზე გადასვლას, მეტი ოპერატიულობისა და გამჭვირვალობისათვის.

პოლიციელთა მომზადების პროფესიულ პროგრამებში რიგი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა

არსებული პროგრამები მოითხოვს განახლებას რიგ საკანონმდებლო აქტებში შესული ცვლილებების შესაბამისად (მათ შორის, ახალი კანონი „პოლიციის შესახებ“). შსს-ს აკადემიის პოლიციელთა მომზადების პროფესიული პროგრამები არ მოიცავს რიგი პრაქტიკული უნარების გამომუშავებისათვის აუცილებელ სასწავლო კურსებს (მაგ.: ავტომობილისა და მოტოციკლის ტარების კურსი, სხვადასხვა კონსტრუქციის შენობა-ნაგებობებში ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეცსაშუალებების ექსტრემალურ პირობებში გამოყენება), რაც გამოწვეულია სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობით. შსს-ს ოპერატიული დანაყოფების თანამშრომლები საჭიროებენ კვალიფიკაციის პერიოდულ ამაღლებას. მათთვის აუცილებელია განგრძობადი განათლების სისტემის ჩამოყალიბება, ასევე არსებული სასწავლო კურსების განახლება.

სერტიფიცირებულ მეხანძრე-მაშველების ნაკლებობა

საკანონმდებლო რეგულაციით აუცილებელია, რომ მეხანძრე-მაშველი იყოს მომზადებული ხანძრის ქრობასა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად, რაც გამყარებული უნდა იყოს შესაბამისი სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატით. ამისათვის აუცილებელია როგორც მოქმედი, ასევე დამწყებ მეხანძრე-მაშველთა სერტიფიცირება შესაბამისი პროფესიული პროგრამის გავლის საფუძველზე.

სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

სასწავლო პროცესის პრაქტიკული ნაწილი არასრულად არის უზრუნველყოფილი სათანადო ინვენტარით. აკადემიის ტერიტორიაზე არსებული

შენობა-ნაგებობების ნაწილი საჭიროებს განახლებას. პოლიციელთა ფიზიკური მომზადების გაუმჯობესებისათვის არსებული ინფრასტრუქტურა ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს (დაბრკოლებათა ზოლი, სარბენი ბილიკი და სხვა). შსს-ს აკადემიაში შეინიშნება საერთო საცხოვრებლის საჭირო სივრცის ნაკლებობა, რაც შეიძლება სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი შემაფერხებელი მიზეზი გახდეს. დღეისათვის, მეხანძრე-მაშველთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის შსს-ს აკადემიაში არ არსებობს სათანადო ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო კრიმინალისტიკური ლაბორატორიის არარსებობა აფერხებს მსმენელთათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც აუცილებელს ხდის არსებული ინფრასტრუქტურის განახლებასა და ახალი ინვენტარის შეძენას.

აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობა

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი განაპირობებს სწავლების ახალი მეთოდების დანერგვასა და არსებული ცოდნის გაღრმავებას, რაც ზოგადად სასწავლო პროცესისთვის დამახასიათებელი უწყვეტი პროცესია. ყოველივე ეს საჭიროს ხდის შსს-ს აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის მუდმივად ამაღლებას.

საარქივო ინფრასტრუქტურის არარსებობა

შსს-ს არქივის უნიკალური დოკუმენტების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ დაუმუშავებელია და იმავდროულად საჭიროებს შესაბამისი სტანდარტების საცავში განთავსებას.

საარქივო მასალების რეაბილიტაციის აუცილებლობა

იმისათვის, რომ შსს-ს არქივში შემონახული უნიკალური მნიშვნელობის მქონე ისტორიული დოკუმენტები არ განადგურდეს და მოხდეს მათი სამეცნიერო მიზნებისთვის გამოყენება, საჭიროა მათი დაუყოვნებლივი და სათანადო დამუშავება, რესტავრაცია და პოპულარიზაცია.

2014 წლის პრიორიტეტები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება

შსს-ს აკადემიის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება წარმოადგენს, რათა შესაძლებელი გახდეს მოქმედი და მომავალი პოლიციელებისთვის აკადემიური განათლების მიცემა. ეს პოლიციის პროაქტიური აზროვნების განვითარების საფუძველია. ამ მიზნის მისაღწევად, აუცილებელი პირობაა სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსის მოპოვება, რაც გულისხმობს ავტორიზაციის პროცესის გავლას, შესაბამისი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევას,

სხვადასხვა ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებას, სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობას, საბიბლიოთეკო ფონდის შევსება-განახლებას, საბიბლიოთეკო ელექტრონული კატალოგის და ელექტრონული საძიებო სისტემის ამოქმედებას და სხვა.

საპოლიციო რეგულირების სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება

„საპოლიციო რეგულირების სამართლის“ სამაგისტრო პროგრამის შემუშავება და დანერგვა აუცილებელი პირობაა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი და მომავალი საშუალო რგოლის მენეჯერთა მომზადებისათვის. სტუდენტებს, გარდა კომპლექსური თეორიული ცოდნის შეძენისა, გამოუმუშავდებათ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია როგორც პოლიციური საქმიანობის განხორციელებისათვის, ასევე ხელმძღვანელობისთვის.

მიზნის მისაღწევად აუცილებელია აკრედიტაციის გავლა, სტუდენტების მიღება და სასწავლო პროცესის ორგანიზება.

სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემის შემუშავება

მსმენელთა/სტუდენტთა აკადემიის ტერიტორიაზე დაშვების გამარტივებისა და მათი აკადემიური დასწრების კონტროლის გაზრდის მიზნით, აუცილებელია ელექტრონული სისტემის დანერგვა. ამასთანავე, საჭიროა მსმენელთა და სტუდენტთა ელექტრონული რეგისტრაციის, შეფასების, რეიტინგების დათვლის და სასწავლო ცხრილების მიწოდების ელექტრონული სისტემის ამოქმედება.

სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/გადამუშავება

მნიშვნელოვანია სპეციალურ პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებში არსებული სალექციო კურსების გადამუშავება და ახალი სალექციო კურსების დამატება „პოლიციის შესახებ“ ახალი კანონით დადგენილი რეგულაციების, ასევე, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე.

საჭიროა სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში სასწავლო პრაქტიკული კომპონენტის გაზრდა, რაც გამოიხატება ისეთი საკითხების დამატებით, როგორებიცაა: ავტომობილისა და მოტოციკლის ექსტრემალური ტარების სასწავლო კურსები, საგზაო შემთხვევის ადგილზე საქმიანობის პრაქტიკული ნაწილი, შენობა-ნაგებობების დათვალიერება და ა.შ. შსს-ს ოპერატიული დანაყოფების შესაბამისი კადრების მომზადება-გადამზადებისათვის მნიშვნელოვანია სპეციალურ სასწავლო ცენტრში არსებული პროგრამის ხანგრძლივობის გაზრდა და ახლადშემუშავებული პროგრამების მიხედვით სასწავლო პროცესის ორგანიზება.

შსს-ს სხვადასხვა დანაყოფების საჭიროებებიდან გამომდინარე, შესამუშავებელია ახალი სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული საცეცხლე მომზადების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, „პოლიციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევებზე, საჭიროა ვიდეოსცენარების გადაღება ვირტუალური ტირისათვის.

მეხანძრე-მაშველთა სერტიფიცირება

აუცილებელია „სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების თანამშრომელთა (მეხანძრე-მაშველთა) სერტიფიცირებისათვის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.

მობილური ტრენინგ ჯგუფების ჩამოყალიბება

რეგიონებში შსს-ს დანაყოფების პირადი შემადგენლობის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების, დროის, ფინანსური და ადამიანური რესურსების მნიშვნელოვნად დაზოგვის მიზნით, აუცილებელია მობილური ტრენინგ ჯგუფების ჩამოყალიბება და სათანადო სწავლების განხორციელება (მაგ.: ორგანიზებული და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემებზე და სხვა).

დისტანციური სწავლების დანერგვა

მნიშვნელოვანია შსს-ს აკადემიის დისტანციური სწავლების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა, რაც რეგიონებში პოლიციელთათვის რიგი ტრენინგების დისტანციური მეთოდით განხორციელებას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, შესაძლებელი გახდება პოლიციელთა სისტემატური გადამზადება მათი სამუშაო ადგილიდან მოწყვეტის გარეშე და ამავდროულად, ფინანსური და ადამიანური რესურსების მნიშვნელოვნად დაზოგვა.

სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

საჭიროა პოლიციელთა ფიზიკური მომზადებისათვის არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს შსს-ს აკადემიაში არსებული დაბრკოლებათა ზოლის განახლებას, სარბენი ბილიკის მოწყობას და სპორტული დარბაზების შეასაბამისი ინვენტარით აღჭურვას, აგრეთვე დამატებით მსმენელთა\სტუდენტთა სადღეღამისო განთავსებისათვის ფართის გაზრდას. ასევე, აუცილებელია არსებული სასწავლო კრიმინალისტიკური კაბინეტის განახლება და თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა, მცირე სასწავლო-კრმინალისტიკური ლაბორატორიის და სპეციალური ოთახების მოწყობა საგამოძიებო მოქმედებების იმიტაციისათვის.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება

პრაქტიკული და თეორიული გამოცდილების გაზიარების მიზნით, საჭიროა ინსტრუქტორთა გაცვლითი პროექტების განხორციელება დასავლეთის ქვეყნების შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ასევე, მნიშვნელოვანია უცხოელი და ადგილობრივი პროფესორების მიერ საჯარო ლექციების ჩატარება, აკადემიის

ინსტრუქტორთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე საზღვარგარეთ მივლინება.

შსს-ს არქივის შესაძლებლობების განვითარება და საარქივო მასალის რეაბილიტაცია/დამუშავება/გამოყენება

შსს-ს არქივის შესაძლებლობების განვითარების მიზნით, საჭიროა დიგიტალიზაციის (ძირითადი ფონდების სკანირება და ციფრული ფონდების შექმნა) პროცესის გაგრძელება, დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია-კონსერვაცია, საარქივო ფონდების შევსება მოძიებული მასალებით (როგორც მოქალაქეებიდან, ასევე უცხოური არქივებიდან). აუცილებელია მოქალაქეთა მომსახურების სერვისის გაუმჯობესება, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება რესტავრაცია-კონსერვაციის საკითხში (ეროვნული ბიბლიოთეკის ბაზაზე), ინფორმაციის შეტანა მონაცემთა ბაზებში (სისხლის სამართლის საქმეები, დახვრეტილთა სიები, სამეულის სხდომის ოქმები და სხვა), ფონდების თემატური დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა.

შსს-ს საქმიანობის შემდგომი პოპულარიზაციის მიზნით, გაგრძელდება ჟურნალ „საარქივო მოამბის“ პერიოდული გამოცემა, მხატვრულ-დოკუმენტური ფილმების დამზადება, შემეცნებითი მოკლემეტრაჟიანი ფილმების მომზადება, სხვადასხვა პერიოდული გამოცემების დაგეგმვა-გამოცემა, საერთაშორისო პროექტების ფარგლებში სამეცნიერო შინაარსის წიგნების გამოცემა, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივი პროექტების მხარდაჭერა - განხორციელება და წიგნების გამოცემა.

<u>საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება</u>

შინაგან საქმეთა სამინისტრო საერთაშორისო თანამშრომლობას წარმართავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებისა და ინტერესების შესაბამისად. თანამშრომლობის მთავარი მიზანია საზღვარგარეთის ქვეყნებთან და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამართალდაცვით და უსაფრთხოების სფეროებში საერთაშორისო ურთერთობების დამყარება და შემდგომი განმტკიცება, რეფორმების პროცესის მხარდაჭერა საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და ინოვაციის დანერგვით, რაც უშუალო კავშირშია სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფების შესაძლებლობების განვითარებასთან.

სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების ფორმებია: ოპერატიული და არაოპერატიული თანამშრომლობა.

ოპერატიული თანამშრომლობა მოიცავს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის გაცვლას, ერთობლივი ოპერაციების ჩატარებას და სხვა მსგავს საკითხებს, რომლებიც ხორციელდება პოლიციის ატაშეების, ორმხრივი ხელშეკრულებების, ნაცვალგების პრინციპისა და საერთაშორისო, მათ შორის, რეგიონული ორგანიზაციების მეშვეობით.

არაოპერატიული თანამშრომლობა ფარავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება, დონორთა კოორდინაცია, ერთობლივი პროექტები, ღონისძიებები, გამოცდილების გაზიარება, ტრენინგები, თანამშრომლობის სამოქმედო გეგმების განხორციელება, შესაბამისი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და ანგარიშების მომზადება და სხვა.

საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ინსტრუმენტებით აღებული ვალდებულებების შესრულებისას, აგრეთვე რეფორმების პროცესების მხარდაჭერისა და სტრუქტურული დანაყოფების შესაძლებლობების განვითარებისას, სამინისტროს აქტიურ დახმარებას უწევენ შემდეგი სტრატეგიული პარტნიორები/დონორები: ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი, ნატო–სა და ევროკავშირის წევრი ქვეყნები, იაპონია, ისრაელი და თურქეთის რესპუბლიკა.

სამინისტრო თანამშრომლობს აშშ-სთან სამართალდამცავ სფეროში არსებული შეთანხმებების, მათზე დაფუძნებული პროექტებისა და ასევე საქართველო-აშშ სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის ფარგლებში.

საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, შსს აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული თანამშრომლობის ინსტრუმენტების მეშვეობით.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდგომ, რომლის ინიცირება 2013 წლის ვილნიუსის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის ფარგლებში მოხდა, ძალას დაკარგავს „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“ (PCA). ასოცირების შეთანხმების ამოქმედების შემდეგ, საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაღრმავდება და ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე ავა. მოცემული შეთანხმება, ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გარდა, მოიცავს უსაფრთხოების, ტრანსპორტის, განათლების და სხვა სფეროებს. აღსანიშნავია ასევე, ევროკავშირის ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც საქართველოს 2013 წლის თებერვალში გადმოეცა და რომელიც შსს–ს კომპეტენციაში შემავალ არაერთ საკითხს ეხება (საზღვრის მართვა, მიგრაცია, უსაფრთხოება და ა.შ.). 2014 წელს სამინისტროსთვის პრიორიტეტული იქნება მოცემული სამოქმედო გეგმითა და ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

აქტიურად გაგრძელდება აღმოსავლეთ პარტნიორობის სამუშაო პროგრამებით, „პარტნიორობა მობილურობისათვის“ პროგრამითა და რეადმისიის შეთანხმებით გათვალისწინებული აქტივობები.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შსს ჩართულია წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) განხორციელების პროცესში, რომელიც ნატო–ში ინტეგრაციის პროცესის პრაქტიკულ ინსტრუმენტს წარმოადგენს და განსაზღვრავს მასში მონაწილე უწყებების განვითარების მიმართულებებს. სამინისტრო ასევე ჩართულია დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესში (PARP), რომელიც წარმოადგენს

ნატო–სთან თავსებადობის ამაღლებისა და შეიარაღებული ძალების რეფორმირების პროცესში შესაძლებლობების შეფასების ინსტრუმენტს.

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის დამყარებისა და გაღრმავების მიზნით, სამინისტრო ახორციელებს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების მომზადებასა და დადებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობას როგორც ოპერატიულ, ასევე არაოპერატიულ დონეზე. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ხელშეკრულებების იმპლემენტაციის უზრუნველყოფაც, რაც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობის ანალიზს და მის ჰარმონიზაციას შესაბამის საერთაშორისო ვალდებულებებსა და სტანდარტებთან.

საქართველო გაწევრიანებულია ისეთ რეგიონულ ორგანიზაციებში, როგორებიცაა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC) და დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია (GUAM). საქართველო დამკვირვებელი ქვეყნის სტატუსით თანამშრომლობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სამართალდამცავ ცენტრთან (SELEC). ამასთანავე, არსებობს გარკვეული სახის ურთიერთობები ევროკავშირის სპეციალიზებულ სააგენტოებთან, როგორებიცაა ევროკავშირის გარე საზღვრებზე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა საზღვრის დაცვის ღონისძიებათა კოორდინაციის სააგენტო (FRONTEX) და ევროპის პოლიციის კოლეჯი (CEPOL).

შსს–ს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ორმხრივი ურთიერთობების დამყარება და გაღრმავება, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო ვალდებულებებისა და ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე ხორციელდება სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების მოძიება და ანალიზი, სასწავლო ვიზიტების ორგანიზება, ინფორმაციის გაცვლა უცხო ქვეყნებთან, პოლიციის ატაშეებთან თანამშრომლობა, სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის მიღება და მათი საქმიანობის მონიტორინგი.

2014 წლის პრიორიტეტები

საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან შედეგზე ორიენტირებულ მჭიდრო თანამშრომლობას უდიდეს ყურადღებას უთმობს.

ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის გაღრმავება

ევროკავშირთან თანამშრომლობის პროცესი და მასთან ეტაპობრივი ინტეგრაცია საქართველოს მშვიდობიანი განვითარების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. აღნიშნული პროცესის დაჩქარების მიზნით, მიმდინარე ვალდებულების ეფექტიანად შესრულება და თანამშრომლობის ახალი მექანიზმების შეთანხმება შსს-ს, როგორც საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვის მთავარი ორგანოს, უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

ამ მიმართულებით დაგეგმილია:

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, შსს–ს კომპეტენციაში შემავალი ვალდებულებების შესრულება

შსს აქტიურად გააგრძელებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რაც ხელს შეუწყობს შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობას და ურთიერთობის გაღრმავებას;

ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება

შსს გააგრძელებს ასოცირების შეთანხმებისა და მის კომპეტენციაში შემავალი სხვა საკითხების შესახებ მოლაპარაკებებში მონაწილეობას. აგრეთვე, კოორდინაციას გაუწევს II სამუშაო ჯგუფის „სამართალი, თავისუფლება, უსაფრთხოება“ საქმიანობას. 2014 წელს იგეგმება „ასოცირების დღის წესრიგის“ დოკუმენტის შემუშავება, რომელიც ჩაანაცვლებს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმას, განსაზღვრავს ევროკავშირთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ სფეროებს და ასოცირების შესახებ შეთანხმების სამოქმედო გეგმას;

ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება

ევროკავშირთან სავიზო დიალოგის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, მიგრაციისა და საზღვრის მართვის სფეროში აღებული ვალდებულებების იმპლემენტაციასა და მონიტორინგს. გაგრძელდება ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებთან რეადმისიის შეთანხმების იმპლემენტაცია, საიმპლემენტაციო ოქმების გაფორმება და მესამე სახელმწიფოებთან რეადმისიის შეთანხმების დადება. ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის თანახმად, მოხდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს შორის აღსანიშნავია სამართალდაცვით სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ვალდებულება. ამ მიზნით, შსს-ში შემუშავდა შიდა მარეგულირებელი აქტი, რომელიც ეყრდნობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს და ითვალისწინებს „პოლიციის სფეროში პერსონალური მონაცემების გამოყენების რეგულირების შესახებ“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 17 სექტემბრის № R(87)15 რეკომენდაციით დადგენილ სტანდარტებს. მოცემული აქტის ძალაში შესვლით (2014 წლის მარტი), პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი დარეგულირდება საერთაშორისო სტანდარტით და უზრუნველყოფილ იქნება ერთი მხრივ, ინფორმაციის თავისუფლებასა და მეორე მხრივ, ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას შორის ბალანსის დაცვა.

აღმოსავლეთ პარტნიორობის „საგზაო რუკებით“ აღებული ვალდებულებების შესრულება

გაგრძელდება ორმხრივი და მრავალმხრივი „საგზაო რუკებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს ურთიერთობებს შსს-სა და ევროპულ სტრუქტურებს შორის;

ევროკავშირის სპეციალიზებულ სააგენტოებთან თანამშრომლობის გაღრმავება

2014 წლისთვის შსს-ს პრიორიტეტს წარმოადგენს EUROPOL–თან თანამშრომლობის დამყარება, CEPOL და FRONTEX–თან არსებული თანამშრომლობის გაღრმავება.

ევროკავშირთან ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში თანამშრომლობა

ევროკავშირთან თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) პანელის ფარგლებში დაგეგმილ პროექტებსა და ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა და ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში შსს-ს წარმომადგენელთა ჩართულობა;

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობის გაღრმავება

შსს გააგრძელებს წლიური სამოქმედო პროგრამის (ANP) და დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის (PARP) ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ეს ვალდებულებები მოიცავს: 1)ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში თანამშრომლობას, სხვადასხვა სპეციალურ პროგრამებში მონაწილეობას, ინფორმაციის გაცვლასა და მეკავშირე ოფიცრის მივლინებას; 2) საგანგებო სიტუაციების მართვის მიმართულებით, ეროვნული რეაგირების გეგმისა და სექტორული რეაგირების გეგმების დახვეწასა და განახლებას, რისკების მართვისა და კატასტროფების პრევენციის მექანიზმების დანერგვას; 3) შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესებას; 4)სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაღრმავებას.

თანამშრომლობის გაღრმავება აშშ-ის შესაბამის სტრუქტურებთან

აშშ-ს, როგორც საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორს, დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს სამართალდამცავ სფეროში რეფორმების ხელშეწყობასა და განხორციელებაში. შესაბამისად, ქვეყნის უსაფრთხოებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების კუთხით, აშშ-სთან თანამშრომლობა (ოპერატიულ და არაოპერატიულ დონეებზე) შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. თანამშრომლობა ეფუძნება სამართალდამცავ სფეროში არსებულ შეთანხმებებსა და მათგან გამომდინარე პროექტებს. ამ მხრივ, 2014 წელს მნიშვნელოვანია:

აშშ-სთან სამართალდამცავ სფეროში დადებული შეთანხმებების იმპლემენტაცია

საქართველო-აშშ სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის ფარგლებში, შსს გააგრძელებს თავის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებული შეხვედრების გამართვას და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობას. აგრეთვე, აღსანიშნავია „საქართველოს მთავრობასა და აშშ-ს მთავრობას შორის ნარკოტიკების კონტროლისა და კანონიერების განმტკიცების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“ და მისი შესწორებების ყოველწლიური იმპლემენტაცია.

თანამშრომლობის გაგრძელება სამართალდამცავ სფეროში სხვადასხვა პროექტების ფარგლებში

შინაგან საქმეთა სამინისტრო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს აშშ–ის მხარდაჭერით განხორციელებულ პროგრამებსა და პროექტებს. ამ პროექტების მეშვეობით მოხდება ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის იმპლემენტაცია, საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის ჩამოყალიბება, საზღვრის მართვის, ტრანსასაზღვრო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროებში შესაძლებლობების გაძლიერება, შსს–ს აკადემიის რეფორმირების პროცესის ხელშეწყობა, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის ზომების გაძლიერება და კიბერდანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლება.

თანამშრომლობის გაღრმავება ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსა და წევრი ქვეყნების ეროვნულ ცენტრალურ ბიუროებთან

დიდი ყურადღება დაეთმობა ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსა და ინტერპოლის წევრი ქვეყნების ეროვნულ ცენტრალურ ბიუროებთან თანამშრომლობის გაღრმავებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს წევრი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლას, ძებნილებისა და საზღვარგარეთ მყოფი დამნაშავეების ადგილსამყოფელის დადგენასა და დაკავებას, და სხვა.

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გაღრმავება

შსს-ს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის განვითარება ხორციელდება სამი მნიშვნელოვანი კუთხით: 1) საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარება; 2) რეგიონული თანამშრომლობა; 3) ორმხრივი თანამშრომლობა. საერთაშორისო თანამშრომლობა მრავალმხრივ/ორმხრივ ფორმატში ძალზედ მნიშვნელოვანია ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ევროკავშირი-საქართველოს რეადმისიის შეთანხმების განხორციელება, მისი საიმპლემენტაციო ოქმების ხელმოწერა და სხვა ქვეყნებთან რეადმისიის შეთანხმებების გაფორმება.

საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის განვითარება

საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებისა და განვითარებისათვის გაგრძელდება ორმხრივი/მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება

პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან, ისეთი პრიორიტეტული მიმართულებებით, როგორებიცაა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში/პოლიციის სფეროში თანამშრომლობა, საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის სფეროში თანამშრომლობა, საგანგებო სიტუაციების სფეროში თანამშრომლობა, მართვის მოწმობების ურთიერთაღიარება, ევროკავშირთან დადებული რეადმისიის შეთანხმების საიმპლემენტაციო ოქმებისა და სხვა ქვეყნებთან რეადმისიის შეთანხმებების გაფორმება. ასევე პრიორიტეტული საკითხია გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების იმპლემენტაცია და სამართალდამცავი სფეროს მარეგულირებელი შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ანალიზი და ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან.

საქართველოს მრავალმხრივი და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანამშრომლობის დებულებების ქვეყნის კანონმდებლობაში ასახვის მიზნით, ძალაში შევიდა „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ეროვნულ დონეზე არეგულირებს სამართალდამცავ სფეროში არსებული საერთაშორისო თანამშრომლობის წესებსა და პროცედურებს და ქმნის მყარ სამართლებრივ საფუძველს საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელებისთვის, აგრეთვე უზრუნველყოფს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აღნიშნული კანონის იმპლემენტაცია და მონიტორინგი პრიორიტეტულია საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის კუთხით.

რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება

გაგრძელდება რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლისა და გამოცდილების გაზიარების მიმართულებით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია არსებული ფორმატების (GUAM, BSEC, SELEC და Europol) გამოყენება, მათი შემდგომი განვითარება და გაღრმავება. GUAM-ის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია თანამშრომლობა სამართალდაცვით, უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის, ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში, რაც შსს-ს რეგიონული თანამშრომლობის კუთხით მოქმედების მეტ საშუალებას მისცემს. აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან იგეგმება კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ქვეჯგუფის დაფუძნება, რაც მყარ საფუძველს შექმნის წევრი სახელმწიფოებისათვის, აქტიურად და ნაყოფიერად ითანამშრომლონ ამ სფეროში. საჭიროების შემთხვევაში, GUAM-ის ფარგლებში ჩატარდება ერთობლივი სამართალდაცვითი ოპერაციები ტრანსნაციონალური დანაშაულობების თავიდან ასაცილებლად.

ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება

შსს-ს საერთაშორისო თანამშრომლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ორმხრივი თანამშრომლობის დამყარება, განვითარება და გაღრმავება. აღნიშნული თანამშრომლობა განხორციელდება არსებული პრაქტიკის

გათვალისწინებით: შსს-ს კომპეტენციაში შემავალი ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე, თანამშრომლობის პროგრამების მომზადება და განხორციელება, შსს-ს კომპეტენციით ახალი ხელშეკრულებების დადების ინიცირება, სამინისტროს საჭიროებების შესაბამისად სასწავლო ვიზიტების ორგანიზება, ორმხრივ ფორმატში სამუშაო ჯგუფების შეხვედრების ჩატარების უზრუნველყოფა და მათ მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმების იმპლემენტაცია, ისევე როგორც სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების მოძიება და ანალიზი. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფის რეფორმირებასა და ეფექტიან მუშაობას.

საერთაშორისო ოპერატიული თანამშრომლობის განვითარება

შინაგან საქმეთა სამინისტრო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს ოპერატიული თანამშრომლობის განვითარებას საერთაშორისო დონეზე, რაც გამოიხატება ამ მიმართულებით ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების გაფორმებასა და მათთან მიერთებაში, ასევე ოპერატიული და სხვა სახის კლასიფიცირებული ინფორმაციის გაცვლაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ოპერატიული თანამშრომლობის განსახორციელებლად გააჩნია რამდენიმე ძირითადი პლატფორმა (პოლიციის ატაშეები, 24/7 კიბერდანაშაულთან ბრძოლის საერთაშორისო საკონტაქტო პუნქტი, რეგიონული თანამშრომლობის ფორმატები, ორმხრივი პირდაპირი კავშირები).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა მოცემული ოპერატიული თანამშრომლობის ფორმატების შემდგომი განვითარება და სრულყოფა. ამ მიმართულებით, 2014 წლისთვის იგეგმება მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება პოლიციის ატაშეების სამოქმედო არეალის გაზრდის მიზნით.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ასევე კიბერდანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება. შესაბამისად, 2014 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრო გააგრძელებს აქტიურ თანამშრომლობას „კიბერდანაშაულის შესახებ“ ბუდაპეშტის 2001 წლის კონვენციის მონაწილე ქვეყნებთან, რაც უმთავრესად გულისხმობს 24/7 საერთაშორისო საკონტაქტო პუნქტის მეშვეობით ოპერატიული ინფორმაციის გაცვლას.

ამასთან ერთად, საჭიროა შსს–ს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლებს გააჩნდეთ სათანადო ცოდნა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ოპერატიული თანამშრომლობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით. იმის გათვალისწინებით, რომ კიბერდანაშაულთან ბრძოლა რჩება 21-ე საუკუნის მთავარ გამოწვევად, 2014 წლისთვის შსს–ს აკადემიაში დაინერგება სპეციალური ტრენინგ მოდულები, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო ოპერატიულ თანამშრომლობაზე პასუხისმგებელი შსს–ს თანამშრომლები შეისწავლიან კიბერდანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამშრომლობის სპეციფიკას.

2014 წელს შსს გააგრძელებს რეგიონული თანამშრომლობის ფორმატებში მონაწილეობას. აღნიშნულ პერიოდში სამინისტრო აქტიურად წარმართავს

ურთიერთობებს Europol-თან, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება „სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.

2014 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრო გააგრძელებს თანამშრომლობას ორმხრივი პირდაპირი კავშირების ფარგლებში და ასევე, აქტიურად წარმართავს საკუთარ ძალისხმევას საზღვარგარეთის სხვა სახელმწიფოების შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის პირდაპირი ფორმატების შექმნის მიზნით.

გარდა ამისა, საერთაშორისო ოპერატიული თანამშრომლობის განსახორციელებლად აუცილებელია, რომ შსს–ს შესაბამის ორგანოებს გააჩნდეთ ეფექტიანი შიდა სამართლებივი მექანიზმი. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2014 წელს სამინისტრო საქართველოს კანონის „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ მე-7 მუხლის შესაბამისად, შეიმუშავებს ოპერატიული თანამშრომლობის თაობაზე მოთხოვნის შედგენისა და გაგზავნის წესს, რომელიც დამტკიცდება შსს–ს მინისტრის ბრძანებით. მოცემული სამართლებრივი აქტი სამინისტროს ოპერატიულ ქვედანაყოფებს მისცემს საშუალებას პრაქტიკულ დონეზე განახორციელონ „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების იმპლემენტაცია.

ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისა და რეკომენდაციების ჯეროვანი შესრულება

შსს გააგრძელებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშოროსო სამართლებრივი ინსტრუმენტებით ნაკისრი ვალდებულებებისა და რეკომენდაციების იმპლემენტაციას.

გამოცდილების გაზიარება

საქართველოს შსს–ს რეფორმამ და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში მიღწეულმა შედეგებმა, სხვა ქვეყნებიც დააინტერესა საკუთარი სისტემების მოდერნიზებაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, შსს-ს გააჩნია შესაძლებლობა მათ გაუზიაროს რეფორმების გამოცდილება. 2014 წელს ეს აქტივობა გაგრძელდება სასწავლო ვიზიტების, ექსპერტთა მისიების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზების გზით, ორმხრივად დაინტერესებულ ქვეყნებთან, თუ დონორი/საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით.

დონორ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება

შინაგან საქმეთა სამინისტრო, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, ხელს შეუწყობს თავისი სტრუქტურული დანაყოფების საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას, რაც მიიღწევა დონორებთან აქტიური თანამშრომლობითა და კოორდინაციით. ამ მიზნით გაგრძელდება:

- შსს–ს საჭიროებების ანალიზი და მისი შედეგების წარდგენა დონორებისთვის;

- საპროექტო წინადადების მომზადება;
- ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების მიერ მხარდაჭერილი პროექტების განხორციელება და ტექნიკური დახმარების პროგრამების გამოყენება;
- პროექტების შედეგების შეფასება;
- პროექტის ფარგლებში გადამზადებული კადრების შესახებ საინფორმაციო ბაზის წარმოება.

დასკვნითი დებულებები

2012 წლის ნოემბრიდან სამინისტრო გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან და ჩამოყალიბდა, როგორც საზოგადოებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია. შსს-ში გაგრძელდება დეპოლიტიზების აღებული კურსი. პოლიცია მხოლოდ საზოგადოებასა და მის საჭიროებებზე იქნება ორინტირებული. იზრდება შსს-ს სისტემის გამჭვირვალობის ხარისხი. დაიხვეწება საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმები. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიზანია, თავისი საქმიანობის განხორციელებისას მაქსიმალურად დაიცვას ადამიანის უფლებები. 2014 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შსს-ს სისტემის თანამშრომელთა გადამზადებას ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დაცვის მიმართულებით. სამინისტროში მკვიდრდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტი. ამ მხრივ, აღსანიშნავია შს მინისტრის ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“. გადაიდგმება მნიშვნელოვანი ნაბიჯები ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესების მიმართულებით. პრიორიტეტს წარმოადგენს სამინისტროს საქმიანობაში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობა და თანამშრომელ ქალთა რაოდენობის გაზრდა.

განხორციელდება საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის რეფორმა. შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნება სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო. რეფორმის შედეგად უზრუნველყოფილ იქნება საგანგებო სიტუაციების ერთიანი მართვისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება. 2014 წლიდან სამინისტროს სისტემაში ამოქმედდება შიდა აუდიტის მექანიზმები. ამ მიზნით, შსს-ში შეიქმნა შიდა აუდიტის მთავარი სამმართველო. არსებული გამოწვევების შესაბამისად, მოხდება საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება ქვეყნისთვის პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით.

შსს-ს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა საზოგადოებრივი მართლწესრიგისა და საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით 2014 წელს სამინისტროს პრიორიტეტებს წარმოადგენს საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაღრმავება, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, შსს-ს სტრუქტურული ერთეულების შესაძლებლობების განვითარება, საგზაო უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესება, საპატრულო პოლიციის

მოქმედების არეალის გაზრდა და მისი შესაძლებლობების გაუმჯობესება. მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და საგზაო უსაფრთხოების სფეროში.

გაუმჯობესდება ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს საქმიანობა. გაუმჯობესდება დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურა და დაკავებულთა სამედიცინო მომსახურება.

სასაზღვრო უსაფრთხოების მიზნით, გაუმჯობესდება სასაზღვრო სექტორების ინფრასტრუქტურა. დიდი ყურადღება დაეთმობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას, მოხდება რადიოკავშირის სისტემების მოდერნიზება და სანაპირო დაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესება.

შინაგან საქმეთა სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის კატასტროფებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური შედეგების თავიდან აცილებას. ამისთვის იგეგმება რისკის რუკების განვითარება და დახვეწა. მთავარ პრიორიტეტად რჩება შესაბამისი სასწავლო კურსებისა და ტრენინგების ორგანიზება, პრევენციისა და რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. აღსანიშნავია სამინისტროს საქმიანობა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარების მიმართულებით. შსს-ს ხელმძღვანელობით შეიქმნება უწყებათშორისი საბჭო, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ქბრბ საფრთხეების შემცირების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავება იქნება.

მიგრაციული პროცესების მართვა სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. შსს-ს სისტემაში შეიქმნება მიგრაციის სამსახური, აშენდება და ექსპლოატაციაში შევა არალეგალ მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრი. დაიხვეწება მიგრაციის ნაკადების მონიტორინგისა და სტატისტიკის წარმოების სისტემა.

ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში გასატარებელ ღონისძიებებს განეკუთვნება საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალური ბრუნვის მონიტორინგი, აღნიშნული მიმართულებით საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და სხვა.

ადამიანებით უკანონო ვაჭრობა (ტრეფიკინგი) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს წარმოადგენს. ამ კუთხით, პრევენციული ზომების გაუმჯობესებისთვის, დაგეგმილია საინფორმაციო კამპანიების წარმოება და შემოწმების მობილური ჯგუფების საქმიანობის გაგრძელება. აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია პარტნიორ ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი, საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოებთან ოპერატიული თანამშრომლობის გაღრმავება.

კორუფციასთან ბრძოლის კუთხით, აუცილებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს შესაძლებლობების შემდგომი

განვითარება. შსს ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და უწყებათშორისი კოორდინაციის გაღრმავებას.

სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. აღნიშნულის ეფექტიანობის მიზნით მნიშვნელოვანია სამინისტროს კონტრტერორისტული შესაძლებლობების გაძლიერება, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ზონების ოპერატიული კონტროლი, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და სხვა.

ინფორმაციულ სისტემებზე მზარდი დამოკიდებულების პირობებში იზრდება კიბერდანაშაულის საფრთხეები. აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის მიზნით, აუცილებელია კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ნორმატიული ბაზის დახვეწა, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების შესაძლებლობების განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების გზით. ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების გაზრდა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

2014 წელს დიდი ყურადღება დაეთმობა შსს-ს მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. ამ მხრივ, აღსანიშნავია მომსახურების სააგენტოს, „112“-სა და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მიმდინარე წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებები.

საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა პირდაპირ კავშირშია პროფესიონალ კადრებთან. შინაგან საქმეთა სამინისტროს პერსონალის მომზადებასა და გადამზადებას ახორციელებს შსს-ს აკადემია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აკადემიაში განათლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება. 2014 წელს აკადემიას დაგეგმილი აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება და საპოლიციო რეგულირების სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება. აკადემიაში ასევე დაინერგება დისტანციური სწავლება, გაუმჯობესდება სასწავლო ინფრასტრუქტურა, ყურადღება დაეთმობა პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

საერთაშორისო თანამშრომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. სამინისტრო საერთაშორისო ასპარეზზე, კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ოპერატიულ და არაოპერატიულ თანამშრომლობას. საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებებიდან გამომდინარე, კვლავ ძირითად პრიორიტეტად რჩება ევროკავშირთან და ნატო–სთან თანამშრომლობის გაღრმავება. შსს უდიდეს მნიშვენლობას ანიჭებს აშშ-სთან, როგორც რეფორმების განხორციელების პროცესში უმსხვილეს დონორთან, თანამშრომლობის გაღრმავებას. პრიორიტეტულია ასევე ორმხრივი და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება.

www.police.ge

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

თბილისი 0114
გენერალ გ. გულუას 10